ლუიზა აფხაზავა-თვალაძე

სამკაული სიფხვიერე

(ანუ მოგზაურობა ქართულ საზღაპრეთში)

მხატვარი დალი მუხაძე

© ლუიზა აფხაზავა-თვალაძე, 2012

მცირე წინასიტყვაობა

საახალწლო საბავშვო კონცერტზე მიწვეულ თოვლის პაპას, რომელსაც სანტა კლაუსის ტანსაცმელი ეცვა (ეს კიდევ სხვა სატკივარია!), „ამოსაცნობად“ სხვადასხვა ზღაპრის გმირი წარუდგინეს: ბურატინო, პიერო და მალვინა, კონკია, პეპი გრძელწინდა, მგელი და წითელქუდა... კარგია, მსოფლიო ლიტერატურას პატარაობიდანვე რომ ვაზიარებთ მოზარდებს, მაგრამ სად გადავკარგეთ ჩვენი, ქართული,ზღაპრის გმირები: ამირანი, ეთერი, მეჩონგურე, ასფურცელა, მზეჭაბუკი, ხუთკუნჭულა, ნაცარქექია, ცხრათავიანი დევი, ნახევარწინწილა, წუნა და წრუწუნა, ჩხიკვები – ზაქარა და ქეთევანი, ნიკორა, წიქარა... საერთოდ, კითხულობენ ჩვენი ბავშვები ქართულ ზღაპრებს?!...

გული მეტკინა!... ამიტომ გადავწყვიტე, ძველი ქართული ხალხური ზღაპრები გადამემუშავებინა და ისე შემეთავაზებინა პატარა მკითხველებისათვის...

ძალიან გავიხარებ, თუ მოეწონებათ!

თბილისი 2010 წ.

შინ

ბებომ ქართული ხალხური ზღაპრების წიგნი დახურა და საბას მიუალერსა:

– დაწექი, გენაცვალოს შენი ბებია, აი, ელისაბედმა უკვე დაიძინა. დაიღალა... კარგი დაბადების დღე გამოვიდა, არა?! იჩქარე, შენც დაიძინე, თორემ საზღაპრეთში შეგასწრებს!

საბამ ლოგინიდან ისკუპა და საყვარელ ბებოს კისერზე შემოხვია ხელები; მერე მეზობელ საწოლზე მძინარე ბიძაშვილს გადაუჩურჩულა:

– ელი, დამიცადე! – თქვა თუ არა, საბანში შესრიალდა, მოხერხებულად მოკალათდა და თვალები დახუჭა.

ბებიამ ორივეს ჯვარი გადასახა, შუქი გამორთო და კედლის ნათურის ღილაკს ხელი შეახო.

ოთახი ბრის იისფერი შუქით ოდნავ განათდა. მოხუცი საწოლებს შორის ჩადგმულ დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ხმა ააყოლა უნეტარესი ილია მეორის საგალობელს – „მოდი ჩემთან, უფალო!“ იგი ბებიასა და შვილიშვილებს ერთნაირად უყვარდათ და ძილის წინ ყოველთვის ისმენდნენ...

საზღაპრეთისაკენ

... საბამ ლურჯ-წითელი წყალგაუმტარი შარვალი და ქურთუკი შეარჩია. იცოდა, ძნელი გზა ედო, ამიტომ ტანზე მოხერხებულად და თბილად უნდა ცმოდა. ტყავის ყელიანი ფეხსაცმელი მოირგო, მამის ნაყიდი მშვილდ-ისრები მხარზე გადაიკიდა და სარკის წინ მოკეკლუცე ელისაბედს გასძახა;

– ელო, გეყოფა კოპწიაობა, სასეირნოდ ხომ არ მი-ვდივართ?! რასაც აგირჩევ, ის ჩაიცვი! აქედანვე გაფრთხ-ილებ, თუ არ დამიჯერებ, არ წაგიყვან!

ელისაბედმა პროტესტის სათქმელად პირი დააღო, მაგრამ გაახსენდა, თუ როგორი სიტყვის კაცი იყო მისი ძმა (ასე თანატოლებს აცნობდა ხოლმე მამიდაშვილს), ამიტომ უსიტყვოდ ჩაიცვა იმის მიერ შერჩეული; მერე სახეზე მუდარა გამოეხატა და ჩურჩულით შეეხვეწა:

– საბ, ბებიკოს ვაკოცებ, რა!

– კარგი, მეც მინდა, ოღონდ არ გავაღვიძოთ, თორემ არ გაგვიშვებს, ხომ იცი!

ხელიხელჩაკიდებულნი მეზობელ ოთახში ფეხაკრეფით შევიდნენ. მოხუცს მშვიდად ეძინა, შვილიშვილები ლოყებზე ნაზად ეამბორნენ. მძინ-არე ბებიას ტკბილად გაეღიმა, რა თქმა უნდა, ძილშიაც მათზე ფიქრობდა!... ელისაბედს ცრემლი მოერია, საბას რომ არ გამოეყვანა, საყვარელ ბებოს აღრიალებული ჩაეხუტებო-და!...

– წამოდი, თორემ მეც ამატირებ... ამის

დროა ახლა, გოგო?!. დავბრუნდებით და რამდენ ხანსაც მოგვესურვება, მოვეფერებით!...

ელისაბედმა ცრემლი მოიწმინდა; ბებოს ნაჩუქარი ბეჭედი (დაბადების დღეზე რომ უსახსოვრა) არათითზე გაიკეთა. ჯერ ერთი, ძვირფასი ადამიანის არმაღანი გახლდათ; მეორე – ძალიან ლამაზი ბეჭედი იყო: ოქროს რგოლის შუა ბუდეში ცირკონის თვლები დამაბრმავებლად ბრჭყვიალებდა; მესამე – კარგად ახსოვდა ბებოს ნათქვამი: ეს უბრალო ბეჭედი არ გეგონოთ, შიგ ჩემი სიყვარული და ლოცვაა მოთავსებული. ამიტომ, როცა გაგიჭირდებათ, დახმარება სთხოვეთ, ყველაფერს აგისრულებთო! მერე მსუბუქი ზურგჩანთა მოიგდო მხრებზე, რადგან იცოდა, მძიმეს საბა წამოიკიდებდა.

ბავშვებმა კარი გაიხურეს და ტყისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ...

საბა და ელისაბედი ბიძაშვილ-მამიდაშვილი არიან. საბა 12 წლისაა, ელისაბედი – 11-ის. ერთ კლასში სწავლობენ (ბებიამ ასე ისურვა). მათი მშობლები მთელი დღე მუშაობენ. ბავშვები ბებიასთან იზრდებიან და ისე უყვართ, ვერ შორდებიან, დედ-მამას შინ არ მიჰყვებიან. ახლაც გაუძნელდათ გამოთხოვება. არადა, საგმირო საქმეების ჩადენაზე ოცნებობდნენ და უნდა წასულიყვნენ.

დარბაისკარი

ბევრი იარეს თუ ცოტა, დარბაისკარის ტყეს მიადგნენ. ტანმსხვილი მუხები, რცხილები, ცაცხვები, იფნები, წაბლის ხეები წვეროებით ცას ებჯინებოდნენ. ღონიერი ტოტები განზე გაეშვირათ და ერთმანეთში გადაეწნათ. ზოგს ხავსი მოსდებოდა, ზოგი ხანდაზმულობისაგან ჭრიალებდა, ახალნერგები კი სულ ზევით იცქირებოდნენ – ეჩქარებოდათ, მზისთვის თვალებში შეეხედათ. ასე მეგობრულად იდგნენ ყველანი და ქვეყნის მანათობელს ესალმებოდნენ, ერთად იბანებოდნენ ღვთის ნამით; ქარსაც ერთად უმკლავდებოდნენ; ერთად ტიროდნენ მეზობლის გარდაცვალების გამო; ერთად უგდებდნენ ყურს ადგილის დედის ნაამბობს; ფესვიდან ამოზრდილი ნერგის დანახვით ერთად ხარობდნენ...

საბამ და ელისაბედმა ზევითაც მოავლეს თვალი, რძისფერ ცაზე მოლივლივე ღრუბლებს არწივები სიმაღლის დაძლევაში ეჯიბრებოდნენ.

მიუხედავად ხეთა სიხშირისა,

ტყე საოცრად ნათელი იყო. ფოთლები რიტ-
მულად ისე ტრიალებდნენ, რომ სხივები ბა-
ლახებსა და ყვავილებს უხვად ეფინებოდა,
ჩიტების ორკესტრი გალობდა, ჟივჟივებდა,
უსტვენდა, ყაპყაპებდა, წკრიალებდა... ირგვ-
ლივ სამოთხისებური მშვენიერება ყვაოდა.
აღფრთოვანებული პატარები თავაწეულნი,
პირღია, ღიმილიანები მიაბიჯებდნენ, ხან აქეთ იც-
ქირებოდნენ, ხან-იქით; თვალებს აცეცებდნენ, რომ
არაფერი გამორჩენოდათ...

უცებ ტირილი მოესმათ. შეჩერდნენ, უფრო
დაკვირვებით მიმოიხედეს. ბუჩქის ძირას ჩაყუჟუ-
ლი ყურცქვიტა შენიშნეს – ტიროდა და ღაპაღუ-
პით ჩამოდენილ ცრემლებს ბუთქუნა წინა თათებით
იწმენდდა.

ბავშვები მისკენ გაეშურნენ. კურდღელმა გაქცევა
დააპირა, მაგრამ მათს სახეებს რომ შეხედა, მიხვდა,
საფრთხე არ ემუქრებოდა და მოფერების ნებაც კი დარ-
თო.

– მე ფუმფუკა მქვია. თქვენ თვითონ ვინა ხართ, აქ
რა გინდათ?! – სლუკუნით უპასუხა შეკითხვაზე.

– მე საბა ვარ. ეს ჩემი ბიძაშვილი ელია. ჩვენი ნუ
გეშინია! რა გაგჭირვებია?! – ზურგზე ხელი გადაუსვა
ბიჭმა.

– მარტოებს არ გეშინიათ?! – კითხვა შეაგება ყურც-
ქვიტამ.

– არა! – უპასუხა ელისაბედმა. – საბა ისეთი გულადია,
ისეთი ღონიერი და გონიერი, მასთან არაფერი მაშინებს.
არც მე ვარ ლაჩარი! ქართული საბრძოლო ილეთებიც

ვიცი და სროლაც. თან ბებიკოს ბეჭედი გვიცავს. ჩვენი მიზანია, გაჭირვებულებს დავეხმაროთ, ვუშველოთ!

– საძილე ისრებით ვართ შეიარაღებულნი. – დაამატა საბამ, – გვიამბე, რა დაგემართა, იქნებ დაგეხმაროთ?! – ოოოჰ... – ამოიკვნესა ყურცქვიტამ. – გრძელი ამბავი-ააა...მაგრამ მოკლედ შევეცდები. კურდღლებს ყველაზე ლაჩრებად გვთვლიან, ჰოდა, მომბეზრდა, მშიშარას რომ მეძახდნენ!... ტრაბახი დავიწყე. გასამხნევებლად ერთ-ორ ხელადას გადავკრავდი და მივიმღეროდი:

ეს ქვეყანა სამეფოა,
მე ვარ მეფე ამ ქვეყნისა:
არ ვასხვავებ ლომს და მელსა,
შიშის ზარს ვცემ ყველა მგელსაც!

– ერთხელაც ასე ვმღეროდი. რამდენიმე მეტრში, თურმე, ლომი დაეხეტებოდა. ჩემი ნათქვამი გაუგონია, ტყეში შემოვარდა და შემომღრიალა:

– რაო, რაო, რას კნავი ?! მეფე ვარო?! ყველას ვაშინებო?!

– გავქვავდი... შიშისაგან ენა მუცელში ჩამივარდა!... ლომი მიახლოვდებოდა და ბრდღვინვას განაგრძობდა:

– ვინ არის მეფე, მე თუ შენ?!..

ელდისაგან ჩავიფსი! ძლივს ამოვღერღე:

-მეფეც შენა ხარ და მბრძანებელიც, მე არარაობა ვარ!...

ლომმა ის იყო პირი დააღო, რომ გადავესანსლე, ირმის ბღავილი გაისმა. მხეცი უცბად მიტრიალდა და მისკენ გაეშურა – ჩემზე დიდი ლუკმა ირჩია. ყველაფერი რაღაც 10 წუთის წინ მოხდა.

რომ მობრუნდეს, რაღა მეშველება?!.. აი, რა მატირებს!...

ბავშვებმა დაამშვიდეს, დაარიგეს, ადგილი არ გამოეცვალა. თვითონ უზარმაზარი მუხის ხეს ამოეფარნენ.

საბამ მშვილდი მოიმარჯვა.

მალე ლომის ბრდღვინვა გაისმა. აი გამოჩნდა კიდეც. ღონიერ ფეხებზე მდგარი კუნთოვანი სხეულით მოირხეოდა და უზარმაზარ თავზე ფაფარი ეშლებოდა. კურდღელი მისთვის ერთი ლუკმაც არ იქნებოდა, მაგრამ დასჯა სურდა.

კვეხნა და ამპარტავნობა ელისაბედსა და საბასაც არ მოსწონდათ. სხვა შემთხვევაში ყურცქვიტას გაამტყუნებდნენ, მაგრამ მათი მიზანი ხომ დაჩაგრულის გამოქომაგება იყო! ჰოდა, ლომის დასახვედრად მოემზადნენ. მოახლოვდა თუ არა, ხეს ამოფარებულმა საბამ მშვილდი მოზიდა და ლომს ისარი ბეჭში ესროლა (გულშიც შეეძლო, მაგრამ არ გაიმეტა!), ელისაბედმა ბეჭედს ჩასჩურჩულა: – ბებიკოს სახსოვარო, ჩვენი თავგადასავლები იწყება და გვიშველე, დაგვეხმარე, ლომი დაგვამარცხებინე! – საყვარელ ნივთს აკოცა და ცხოველს მიუშვირა. ბეჭდის თვლებიდან ფერად-ფერადი მაშხალები რაკეტის სისწრაფით გამოსრი-



ალდნენ და ნადირთა მეფეს თავში შეუძვრნენ. დარეტიანებული ლომი მოჭრილ ხესავით წაიქცა, წაიქცა და ხვრინვა ამოუშვა...

ბავშვებმა და ყურცქვიტამ გამარჯვების ყიჟინა დასცეს; ხეებმა ფოთლებით ტაში დაუკრეს. ჩიტები კიდევ უფრო ხმამაღლა აჭიკჭიკდნენ.

ტყეში უცბად გავარდა ხმა: კურდღელმა ლომი დაამარცხაო! მოვიდნენ და მოვიდნენ მხეცები: დათვები, მგლები, ტურები, მელიები, კურდღლებიც, რაღა თქმა უნდა. მოკლედ, დიდი და პატარა – ყველა იქ შეიკრიბა.

ბაქია კურდღელი კუნძზე შეხტა, მეზობლებსა და მეგობრებს მიმართა:

– იცნობდეთ, ეს ელისაბედია, ეს კი საბა. მათ ლომი გათიშეს. სიკვდილს გადამარჩინეს! აქამდე გვეგონა, რომ ადამიანები ჩვენი მტრები იყვნენ. ხომ ხედავთ, ასე არ არის, ისინი ჩვენი მეგობრები არიან! აი, რა შეუძლია თანადგომას!...მე...მე...გპირდებით, აღარასოდეს ვიტრაბახებ!

კურდღლის მეგობარი ტყის ბინადრები მძინარე ლომს მიესივნენ (უძლიერესი მხეცის დამცირების ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს!), ზოგნი კუდში ჩააფრინდნენ, ზოგნი – ფაფარში, სხვები – ფეხებში და დიდი წვალებით, საერთო ძალით, იმ ადგილიდან შორს გაათრიეს; მერე უხვი სუფრა გაუშალეს სტუმრებს და მათთან ერთად მოილხინეს. რაღა არ ელაგა მაგიდაზე: მარწყვი და ჟოლო, შინდი და მაყვალი, მსხალი და ვაშლი, ქლიავი და ჭანჭური, ბანანი და კივი, სტაფილო და კომბოსტო, კიტრი და პომიდორი, გოგრა და საზამთრო, ნესვი და მან-

გო, ხორბალი და ქერი, ათასგვარი წვენი – ყველაფერი, ხორცის გარდა, რომ იტყვიან, ჩიტის რძე არ აკლლდათ. მეგობრობის, მშვიდობის, წინაპრების, წარსულისა და მომავლის სადღეგრძელოები შესვეს, ბევრი იმღერეს და იცეკვეს.

ყველაფერს აქვს დასასრული და ზეიმიც დამთავრდა. ელისაბედისა და საბას წასვლის დრო დადგა.

ბავშვები ახალშეძენილ მეგობრებს გულთბილად დაემშვიდობნენ და გზა განაგრძეს.

წყალთელა

მალე მდინარე წყალთელას მიადგნენ. ორივე ნაპირზე, ათიოდე მეტრის მოშორებით, წამოჭიმული დაკბილული კლდეები ცხრათავიან დევებს ჰგავდნენ. გვერდიგვერდ იდგნენ, მხრები ერთმანეთზე მიებჯინათ, თავი – ცას, ფეხები გაელაჯათ და მდინარის შხუილს აღრიალებულ ექოს უერთებდნენ. ცაში სვავები ყრანტალებდნენ და ძირს იყურებოდნენ – საკბილოს ეძებდნენ. იყო ერთი გრგვინვა და გნიასი... უშუალოდ მდინარის ნაპირს ულამაზესი ყვავილოვანი მდელო მიუყვებოდა. ბავშვებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს სამოთხისა და ჯოჯოხეთის გზასაყართან იდგნენ... მიხვდნენ, რომ განსხვავებულ სამყაროში აღმოჩნდნენ.

ნაპირზე აზალგაზრდა კაცი დაინახეს. იჯდა, კენჭებს წყალში ისროდა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა.



ბავშვები მიუახლოვდნენ, მიესალმნენ. ვაჟმა თავაზიანად უპასუხა. პატარებმა დაღონების მიზეზი ჰკითხეს.

ხარება (ასე ერქვა იმ ახალგაზრდას), თურმე, ბოროტმა ქალმა მოხიბლა და თავი ცოლად მოაყვანინა. ხარებას ამ ქორწინებამ სიყვარულისა და ბედ-

ნიერების ნაცვლად უბედურება, ტანჯვა-წამება მოუტანა, ყოველი წუთი შხამით სავსე ფიალის მიღებას ჰგავდა! ქალი საოჯახო საქმეს ხელს არ ჰკიდებდა, სულ ჭამდა, სვამდა და ეძინა. განუწყვეტლად იმდენ ოქროსა და ვერცხლს, ისეთ ტკბილეულს სთხოვდა, საამისო არც შესაძლებლობა და საშუალება, არც შესაფერი დრო იყო. ეს გახლდათ ყმაწვილი კაცის სადარდელი!

– ჩვენ დაგეხმარებით! – ერთხმად წამოიძახა ბიძაშვილ-მამიდაშვილმა (ძალიან გაუხარდათ, რომ ახალგაზრდა რაინდისათვის დახმარების საშუალება ეძლეოდათ!). მერე ხარებას გვერდით მიუსხდნენ. ვაჟმა ორივეს ალერსით მოხვია ხელი. ელისაბედმა ბეჭედს აკოცა:

– ბებიკოს სახსოვარო, როგორ ვუშველოთო, ჰკითხა. ბეჭედი აციმციმდა და აჩურჩულდა:

– ცოლი წაიყვანოს დიდ მინდორში, ბებერი ვაშლის ქვეშ, ღრმა ორმოში, ჯადოქარი ცოცხქარა ზის, იმას ჩაუგდოს.

ხარებამ ეს რომ მოისმინა, – იქნებ ჩემს გამწარებულ ცხოვრებას რამე ეშველოსო, მაშინვე წამოხტა, ორმოსთან მივიდა. სიღრმეში ბებერი ჯადოქარი მართლა იჯდა და იწყევლებოდა. ვაჟმა ორმოს ფიჩხი წააყარა, ზედ ელისაბედის ბეჭდის დახმარებით გაჩენილი ულამაზესი ვაშლები დააწყო, ჩვეულებრივი კი არა, ოქროს ვაშლები! შინ მისულმა ცოლს ერთი ნაყოფი მიართვა და უთხრა:

აი, თუ ბევრი გინდა, გამომყევი და ერთად შევაგროვოთ, ნახე, როგორ ბრჭყვიალებს!

ხარბი ქალი მაშინვე წამოხტა და გაჰყვა. მიმოფან-

ტული ოქროს ვაშლები რომ დაინახა, დააცხრა! ფიჩხის საფენი ჩაინგრა და ყველაფერთან ერთად ღორმუცელა ბოროტი ქალიც ჩაიტანა.

– ჯადო იყავ და ჯადოქართან მოგათავსე! – ჩასძახა კაცმა; მერე, მეგობრების დახმარებით, ორმოს უზარმაზარი ლოდი დააფარა.

ბავშვებმა და ხარებამ მდინარეში იბანავეს, სასწაულმოქმედი ბეჭდით გაწყობილ სუფრას მიუსხდნენ და ღამე კოცონთან გაატარეს, ასე ისურვეს.

გათენდა. ხარება დაინტერესდა, ნეტავ რა დაემართა ალქაჯსაო. მივიდა ორმოსთან და ჩაიჭვრიტა: ახალგაზრდა ქალს ბებერი ჯადოქარი კუთხეში მიემწყვდია და თავად, ტახტზე მოკალათებულს, ეძინა. ცოცხქარამ ვაჟი დაინახა თუ არა, შეჰღაღადა:

– ქრისტიანო! შენ ხომ კეთილი ხარ! ოღონდ ამ ალქაჯს მომაშორე და ბედს გწევ!

ხარებამ და ბავშვებმა ბეჭედს ჰკითხეს რჩევა. მისი ნებართვით თოკი ჩაუშვეს და ჯადოქარი ამოიყვანეს. გათავისუფლებულმა მადლობა გადაუხადა და უთხრა:

– მეზობელი ქვეყნის, ლანჩხაეთის, მეფეს მზეთუნახავი ქალიშვილი ჰყავს, ლაია. წავალ, მის საწოლთან დავჯდები და ძლიერ დავაავადმყოფებ. შენ განაცხადებ, რომ მოარჩენ, იმ შემთხვევაში, თუ ცოლად გამოგატანენ.

ვაჟი დათანხმდა (ელისაბედსა და საბასაც შეეძლოთ, ბეჭდის დახმარებით, იმავე საქმის შესრულება, მაგრამ სიკეთის ქმნის საშუალება სხვისთვისაც ხომ უნდა მიეცათ!). ჯადოქარმა სათქმელი რომ დაასრულა, განიერი ქვედა კაბიდან ცოცხი დააძრო, გადააჯდა და გაფრინდა.

ნიგვზანი

ცოცხქარა ლანჩხაეთის სატახტო ქალაქ ნიგვზანში ჩაფრინდა, ხელმწიფის ულამაზეს ასულს საწოლზე დაუსკუპდა. საბრალოს ისეთი ავადმყოფობა შეჰყარა, ვერც ერთმა ექიმმა ვერ უშველა!

ყოველივე ეს ბეჭედმა ჩვენს გმირებს რომ აცნობა, ელისაბედმა საბას და ხარებას ხელი ჩაჰკიდა, ბებოს სახსოვარს აკოცა და სთხოვა:

–გასწი ლანჩხაეთისაკენ!

სამივე ნარნარით ავიდა ჰაერში, ჯერ ვერტიკალურად და მერე ისე გასრიალდნენ ლაჟვარდ ცაზე მოსეირნე ღრუბლებს შორის, თითქოს მოძრავ იატაკზე იდგნენ! შემხვედრი მტრედები, მისალმების ნიშნად, ფრთებს აფათქუნებდნენ, მერცხლები ორმაგ მარყუჟებს ხაზავდნენ და ეჟღურტულებოდნენ, წეროები კისერს იგრძელებდნენ და მეგზურებად მიჰყვებოდნენ. ბავშვები მოიხიბლნენ ამ სანახაობით; ხან ზევით აიჭრებოდნენ, ხან ისევ ჩამოეშვებოდნენ.

ასე ჩაფრინდნენ ნიგვზანში. დედაქალაქის ზოგიერთი უბანი ვაკე იყო და ლარივით გაჭიმულ ფართო ქუჩებში ერთ, ორ, სამადგილიანი ფერად-ფერადი, მზის ენერგიით მომუშავე ავტომობილები დასრიალებდნენ. მათს თავზე საჰაერო მანქანებიც ისეთივე მწყობრში დაფრინავდნენ, თითქოს გამზირებს მიუყვებიანო. ტროტუარებზე მოქალაქეები მიაბიჯებდნენ. მიუხედავად ასეთი მოძრაობისა, ისეთი სიმშვიდე და წესრიგი სუფევდა, ბავშვებსა და ხარებას თავი ზღაპარში ეგონათ. ყველა ნიგვზანელს ფერად-ფერა-

დი, საოცრად ლამაზი ტანსაცმელი ეცვა.

ჩვენი ბავშვები, ბეჭდის წყალობით, უჩინარნი გახდნენ, მხოლოდ ხარება მიაბიჯებდა გზაზე. დედაქალაქის ბინადრები ხვდებოდნენ, რომ ხარება უცხო იყო და თბილად, კეთილი ღიმილით ესალმებოდნენ: ზოგი ქუდს უხდიდა, ზოგი ხელს ართმევდა. მერე საქვეყნო დარდზე – მეფის ასულის ავადმყოფობაზე ჩიოდნენ. ხარებამ ყველა დაამშვიდა და განაცხადა:

– ქალიშვილს მე მოვარჩენ.

სასწრაფოდ გააქანეს მეფესთან... ავადმყოფის მამამ სიხარულით მიიღო (რა თქმა უნდა, უკვე იცოდა ვაჟის ნათქვამი), პირობა მისგანაც მოისმინა და მაშინვე დაეთანხმა: ცოლადაც შეგრთავ და სახელმწიფო ტახტსაც დაგითმობ, ოღონდ ჩემი ერთადერთი შვილი, ჩემი ლაია, გადამირჩინე!

ხარებამ ავადმყოფთან მარტოდ დატოვება მოითხოვა. ასეც მოიქცნენ. ცოცხქარა სასახლის ფანჯარასთან იცდიდა და ისე შეძვრა, ვერავინ დაინახა. ჯადოქარი მწოლარეს ხელით შეეხო...

ლაიამ თვალი გაახილა, ვაჟს მიაჩერდა, მოეწონა, მისი სიყვარული გულში ჩაუვარდა. საწოლიდან წამოიწია და ხარებას დიდი ხნის ნაცნობივით გადაეხვია. ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე აღიარა მასთან დაქორწინების სურვილი. ხარებამ ბავშვები ლაიას გააცნო და იქ მისვლის მიზეზიც გაანდო. ქალიშვილმა ყველაფერი აპატია ახალგაზრდა კაცს, რადგან მიხვდა, რა პატიოსანი და სამართლიანი ბუნებისა იყო. მეფის ასულმა ხარებასთან ოჯახის

შექმნის გადაწყვეტილების თაობაზე ძიძას შეატყობინა, შემდეგ კი მამასთან მახარობლად აფრინა.

უსაზღვროდ გახარებულმა ხელმწიფემ ხარება და ბავშვები გულში ჩაიკრა, ქალიშვილი აიტაცა, და პატარა გოგონასავით დაატრიალა; მერე დალოცა ახალგაზრდები და ისეთი ზღაპრული სუფრა გაშალა, ისეთი, რომ ჯერ არავის ეხილა! ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი ფერად-ფერადი ბროლისა და ლალის ჭურჭელში ესხა და ელაგა. მუსიკოსები და მომღერლები საოცარი მელოდიებით ატკბობდნენ სმენას.

დარბაზის შუაგულში, ამაღლებულ ადგილზე, ნეფე-პატარძალი იჯდა. მათ გვერდს ელისაბედი და საბა უმშვენებდნენ, ისინი ხელისმომკიდეები გახლდნენ.

ერთი კვირის სტუმრობის შემდეგ და-ძმა გამოემშვიდობა მასპინძლებს და ახალი თავგადასავლის საძებნელად გაემართა.

ჯუმაეთი

შუადღისას ჯუმაეთის სახელმწიფოში შევიდნენ. დედაქალაქი ჯუმაეთი ზღვისპირას მდებარეობდა. სამი მხრიდან ევლებოდა და ელამუნებოდა ფირუზისფერი ტალღები. ნაპირებთან ქათქათა ნავები და იახტები ირწეოდნენ; მოშორებით, ღრმა ზღვაში, უზარმაზარი გემები იდგნენ და ნავსადგურში შესვლის ნებართვას ელოდნენ.

ლარივით გადაჭიმული ურთიერთგადამკვეთი ქუჩები ქალაქს სწორ ოთკუთხედებად ჰყოფდნენ. ქუჩების ორივე მხარეს მაგნოლიები, ვარდისფერი ხე-ყვავილები. პალმები ალამაზებდნენ და ზღვის სურნელს ყვავილებისას უერთებდნენ. ძველებურ ხუთსართულიან თეთრ შენობებს თანამედროვე სტილით ნაგები სასტუმროები უმშვენებდნენ გვერდს. ყოველი ქუჩა ბულვარს უერთდებოდა. ბულვარი კი, ათასფერი ყვავილით, ბუჩქით, ხით, შადრევნებით, ზღაპრული ფორმის კაფეებით ისე იყო მოხატული, წალკოტი გეგონებოდათ.

საბა და ელისაბედი მოიხიბლნენ: დაბინდებამდე ათვალიერებდნენ ქალაქს. გემრიელი ხაჭაპური და ნაყინი მიირთვეს, ზღვის ტალღებში იბანავეს, მზეს მიეფიცხნენ და მერე უმშვენიერეს ბულვარში ბავშვებთან ერთად ითამაშეს.

მოსაღამოვდა. შენობებში თანდათან აინთო შუქი. ფანჯრებგაკაშკაშებული ერთი კერძო სახლისაკენ გაუწიათ გულმა. დააკაკუნეს. კარი მასპინძელმა გაუღო.

უხვ სავახშმო სუფრას, სტუმარი მამაკაცი, ოჯახის დიასახლისი, გოგონა და ბიჭი უსხდნენ.

– ნამია (ცოლს ასე ერქვა), რა კარგი სტუმრები გამოუგზავნია უფალს! მობრძანდით, გენაცვალეთ! შინ შეიყვანა და სუფრასთან მიიპატიჟა ბავშვები. დიასახლისმა ხელები დააბანინა და თანატოლების გვერდით დასხა. მასპინძელმა კაცმა – თავი თავისუფლად იგრძენითო – თხოვა და სტუმართან დაწყებული საუბარი განაგრძო:

– როგორც გითხარი, ჩემო კარგო, ყველა მატყუარა არ არის.

– არ მჯერა, არა და არა! სიმართლით ამქვეყნად არავინ არ ცხოვრობს! – დაბეჯითებით იმეორებდა კაცი.

მასპინძელი ზალუ დიდძალი ფარის პატრონი იყო, წვეული კი ქალაქელი მდიდარი სოვდაგარი ცალქალა გახლდათ.

– არ მჯერა, თუ არის ქვეყნად ისეთი ადამიანი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ტყუილი არ უთქვამს. – ამტკიცებდა სოვდაგარი.

– ჩემო მეგობარო, – უპასუხა ზალუმ, – მე მყავს მთავარი მწყემსი, ლომისა, რომელსაც არასოდეს ტყუილი არ უთქვამს და არც იტყვის!

მოკამათენი ვერ შეთანხმდნენ და სანაძლეო დადეს: თუ მართლა აღმოჩნდებოდა, რომ ზალუს მთავარ მწყემსს ტყუილის თქმა არ შეეძლო, სოვდაგრის მთელი ქონება მასპინძელს გადაეცემოდა, ხოლო თუ არა, ცხვრის ფარა სოვდაგრისა გახდებოდა. ასე დაშორდნენ ერთმანეთს ზალუ და ცალქალა.

ელისაბედსა და საბას ბებია ყოველთვის სიმართლის თქმას ასწავლიდა. ამ ამბით ისინიც დაინტერესდნენ და დასასრულისთვის დალოდება გადაწყვიტეს, მანამდე კი მასპინძელ ბავშვებთან გაერთნენ. მეორე დილით დაემშვიდობნენ – ქალაქში გასეირნება მოიმიზეზეს და სოვდაგრის სახლისაკენ უჩინრად გაემართნენ (გეთანხმებით, სხვისთვის ჩუმად ყურის გდება არაეთიკურია, მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ თუ საქმეს სჭირდება, თუ სიმართლის დადგენაში გვეხმარება, თვალთვალი, ძიების

მიზნით, გამართლებულია). მოისმინეს, როგორ ამცნო ცალქალამ საკუთარ მეუღლეს, ზალუს საძოვრებზე რომ უნდა წასულიყო.

ზალუს ვრცელი საძოვრები ქალაქიდან არცთუ დიდ მანძილზე, კოინდარეთის ველზე, გადაშლილიყო. მინდორს სერი ებმოდა, სერს – მინდორი, მინდორს – წყარო. ირგვლივ ხასხასა ლორთქო ბალახის სურნელი იდგა. გაშლილი ცხვარი სიმწვანეში გაწოლილ თეთრ ტბას ჰგავდა. ფარას ბომბორა ქართული ნაგაზები, რიგითი მწყემსები და წაბლისფერ ცხენზე ამხედრებული, მუდამ კომბალმომარჯვებული მწყემსმთავარი ლომისა დარაჯობდნენ.

ცხვარს კოინდარეთის იალაღებზე რომ გაშლიდნენ, ზალუ ხშირად დახედავდა ხოლმე: მოიკითხავდა ლომისას, საჩუქრებსაც მიართმევდა ღირსეული მსახურებისათვის და აუცილებლად მიეალერსებოდა ფარის წინამძღოლ თხას (ლამის პატრონის ასაკისა რომ გახლდათ), რომელიც ძალიან უყვარდა.

ფარის წინამძღოლი თხა მართლაც რომ მომხიბლავი

სანახავი იყო, დიდრონი, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული რქებით, ჭკვიანი თვალებით, დარბაისლური წვერით... სხეულს უმშვენიერესი, აბრეშუმივით ფუმფულა და უთეთრესი ბალანი უფარავდა. დინჯი სიარული და მიხვრა-მოხვრა მის სილამაზეს მეტ შნოსა და ლაზათს მატებდა. თან ძალიან ყურადღებიანი გახლდათ – ერთი ცხვარიც არ დაეკარგებოდა ფარიდან, ყველა მის ნაკვალევს მისდევდა. ყოველივე ამის გამო ის პატრონს გამორჩეულად უყვარდა და მწყემსმთავარიც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

სანაძლეოს დადების შემდეგ სოვდაგარმა ცალქალამ რამდენიმე ლიტრი ღვინო და მდიდრული პურ-მარილი ჩაალაგა კალათში, გაიყოლა ორი თანაშემწე და მწყემსმთავარს იალაღზე ესტუმრა. როგორც ვიცით, მას არ სჯეროდა პატიოსნების და მწყემსმთავრის გამოცდა სურდა.

ელისაბედი და საბა, ჯადოსნური ბეჭდის წყალობით, სოვდაგარს უჩინრად თან გაჰყვნენ. რაც შემდეგ მოხდა, ყველაფერი იხილეს.

კოინდარეთი

მწყემსმთავარმა ის იყო, ფარა დააბინავა, რომ ცალქალას მისვლა შეატყობინეს. ლომისას გაუხარდა პატრონის მეგობრის სტუმრობა (ნამდვილი მიზეზი, რა თქმა უნდა, არ იცოდა). მაშინვე დამხმარე მწყემსს მსუქანი ცხვარი დააკვლევინა და უგემრიელესი კერძი მოამზადა. სტუმრებმაც ამოალაგეს საკუთარი საგზალი. სუფრა ხის ჩრდილქვეშ, წყაროს პირას, გაშალეს. სოვდაგარი ლომისას ღვინოს აძალებდა და აძალებდა, აძალებდა და აძალებდა. მწყემსმთავარი უარობდა, მაგრამ მორიდების გამო დროდადრო თანხმდებოდა. მეტად რომ დათვრა, სტუმარმა უთხრა:

– თუ ჩემი პატივისცემა მართლა გინდა, ფარის წინამძღოლი თხა დამიკალი!

– ო, არა, ამას ვერ ვიზამ! – გაასავსავა ხელები მწყემსმთავარმა, – ჩემს პატრონს იგი მთელს ფარას ურჩევნია და როცა მოვა, რა პასუხი გავცე?!

– მოატყუე, უთხარი, რომ მგელმა დაგლიჯა! – დაარიგა ცალქალამ.

ლომისა დიდხანს უარობდა და უარობდა. სოვდაგარი არ ეშვებოდა, კვლავ ღვინოს აძალებდა, თან თხის დაკვლას სთხოვდა და სთხოვდა; ცდილობდა, ათასგვარი ხერხით გაებრუებინა. ბოლოს და ბოლოს უაზროდ მთვრალი ლომისა დათანხმდა – თხა დააკვლევინა... მალე ახალი მწვადებით დამშვენდა სუფრა...

სოვდაგარი და მისი მხლებლები წავიდნენ. გალეშილ მწყემსმთავარს დაეძინა... გამოფხიზლებული ლომისა მიხვდა საკუთარ შეცდომას და საშინლად შეწუხდა: რა ეთქვა პატრონისთვის?!. მინდორში გაიჭრა, მიწაში ჯოხი ჩაარჭო, საკუთარი ნაბადი მოასხა, ქუდი დაახურა. თავი კი პატრონად წარმოიდგინა. მივიდა ჯოხთან, მიესალმა:

– გამარჯობა, ჩემო მწყემსო, როგორ ხარ, როგორ არის ჩემი ფარა და მისი წინამძღოლი?!

– გამარჯობა, ჩემო ბატონო – თქვა მანვე, – მეც კარგად ვარ და შენი ცხვარიც, მაგრამ თხა წუხელ მგელმა მომტაცა!...

ასე გაიმეორა რამდენიმეჯერ, მაგრამ სიცრუე საშინელ ტკივილს აყენებდა მკერდის არეში, მუცელში კი ისეთ ჭვალს გრძნობდა, თითქოს ხანჯალი დაუტრიალესო. ყოველ ცდაზე სახეს სირცხვილის ალმური უწვავდა, თავი თითქოს საცაა უნდა გასკდომოდა... შვება მხოლოდ მაშინ იგრძნო, ჩვეული სიმართლის თქმა რომ გადაწყვიტა!.. პატრონის მოსვლას დაელოდა.

ზალუ მოვიდა. თბილად მიესალმა და ყველა მოიკითხა.

– გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო! – დაიწყო აღელვებულმა ლომისამ და თვალები ცრემლით აევსო, – ცხვარი უვნებელია, მე კი – ძალიან შერცხვენილი და შეწუხებული!... წუხელ შენი მეგობარი ორი მხლებლით მეწვია. კარგი პატივი ვეცი – შენ რომ გეკადრებოდა, ისეთი... იმათ კი, სამწუხაროდ, ჩემი გადაჭარბებულად დათრობა მოახერხეს, შემაცდინეს და შენი საყვარელი თხა დამაკვლევინეს!... თან დამარიგეს, რომ შენთვის ტყუილი მეთქვა – თითქოს შენი წვერცანცარა მგელმა მომტაცა!... სიცრუეს ხომ იცი, ვერ ვიტანდი და ვერ ვიტან, ახლაც ვერ ვიკადრებ!... აი, ასეთი მარცხი მომივიდა და ახლა,

როგორც გენებოს, ისე დამსაჯე, ღირსი ვარ!...

პატრონს გული ძალიან ეტკინა, მაგრამ ლომისას სიმართლემ სიმშვიდე მოჰგვარა, აღარ გაუწყრა:

– შენს სიმართლეს გაუმარჯოს! მადლობელი ვარ! წინამძღოლი თხა გაიზრდება! შენ კი შენი ქცევით კიდევ უფრო ამაღლდი ჩემსა და ჩემი ოჯახის თვალში! თანაც ცალქალას უზარმაზარი ქონება მომაგებინე! მთელი ჩემი ფარა შენთვის მიჩუქნია!

ზალუ ლომისას, როგორც თანატოლს, ისე გადაეხვია. ამის შემსწრე ელისაბედმა და საბამ ტაში შემოჰკრეს! პატრონმა და მისმა მხლებლებმა გაკვირვებით მიმოიხედეს. დამალვა საჭირო აღარ იყო და ბავშვები ხილულნი გახდნენ. უფროსებმაც აღტაცება ვერ დამალეს და სიხარულის ყიჟინა დასცეს (მათ ხომ ბეჭდის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ!) ერთმა მწყემსმა დოლი მოარბენინა, მეორემ – სალამური; წრე შეკრეს და მხიარული ცეკვა-თამაში გამართეს. მერე ზალუს სახლში გაემართნენ, ოჯახის დიასახლისსა და ბავშვებს ყველაფერი უამბეს.

მეორე დილით, როცა კაშკაშა მზე მუხის წვერებზე შემოდგა, ჩვენი პატარა მოგზაურები, ძალამომატებულნი და კმაყოფილნი, რომ ტყუილს მართლა მოკლე ფეხები აქვს, გზას მხნედ გაუდგნენ.

ცაცხვისანი

ცაცხვის ყვავილის საოცარი, დამათრობელი სურნელი მოჰქონდა ნიავს. მალე ცაცხვების ტყეში აღმოჩნდნენ. ჩიტები, პეპლები, ფუტკრები ნექტარს ეწაფებოდნენ. საოცრად სუფთა, ჟანგბადით სავსე, ზომიერად ნოტიო ჰაერი ისე ეამათ, რომ კარგა ხანს ისხდნენ და ხარბად ისუნთქავდნენ...

სმენას ცხენების ფლოქვების ხმა მისწვდა. ხეებს შორის დიდებული გარეგნობის, მეფურად გამოწყობილი, ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. შორიახლოს ნაზირ-ვეზირები მიჰყვებოდნენ, მსახურები საუკეთესო ჯიშის მწევარ-მეძებრებს ძლივს აოკებდნენ.

ვაჟმა ბავშვები შენიშნა, ხელი ჩამოართვა და მათ გვერდით, აყვავებული ცაცხვის ძირში, დასასვენებლად ჩამოსხდომა ბრძანა.

ელისაბედი და საბა გამოესაუბრნენ, საკუთარი ვინაობა გააცნეს, მერე უფლისწულის წარმომავლობითა და თავგადასავლით დაინტერესდნენ.

ყმაწვილი კაცი, სახელად დევგულა, სკანიეთის მემკვიდრე აღმოჩნდა. ნადირობის დიდი ტრფიალი და გაბედული ვაჟკაცი არავითარ ფათერაკს არ უფრთხოდა: მდაბიურად გადაიცვამდა, წამოიკიდებდა მშვილდ-ისარს, ხანჯალს წელზე შემოირტყამდა, შეახტებოდა საყვარელ რაშს და ქვეყნის განაპირა კუთხეებსა და საზღვრებს იქითაც მოგზაურობდა, ნადირობდა.

მამა-მეფე ერთი წელია, გარდაცვლილა. სიკვდილის წინ შვილისათვის უთხოვია:

– ტახტიცა და სახელმწიფოც შენია და როგორც გინდა, ისე მართე. მჯერა, გონიერი მმართველი იქნები. ისიც ვიცი, ნადირობას არ მოიშლი, მაგრამ თხოვნა შემისრულე: დასავლეთით არ ინადირო!

შვილმა გამზრდელი მეფური პატივით დაკრძალა და სახელმწიფოს მართვაც დიდებულად დაიწყო. მამის გარდაცვალების წლისთავი რომ გადაიხადა, აიყოლა ნაზირ-ვეზირები და სანადიროდ გაემართა. ყველა მხარე მოიარა, უხვად ინადირა. ნადავლი, რომ არ გაფუჭებულიყო, შინ გაგზავნა. შედეგით ძალიან კმაყოფილი დარჩა: მთელს სასახლეს ეყოფოდა ხორცი და ტყავი, მაგრამ ვერ ისვენებდა – დასავლეთში ნადირობის სურვილი ვერა და ვერ ჩაიკლა! აი, ახლა იქით აპირებდა წასვლას, მათ რომ შეხვდა. ელისაბედსა და საბასაც შესთავაზა გაყოლა, როცა გაიგო, რომ თავგადასავალს ეძებდნენ! ბავშვები სიხარულით დაეთანხმნენ. ჯერ ერთი, რამდენ რამეს ნახავდნენ და ისწავლიდნენ! მეორე – ახალგაზრდა მეფე მამის ანდერძს არღვევდა, ვინ იცის, რა მოელოდა და განსაცდელში ხომ არ მიატოვებდნენ?!

ვარდიფენი

კომპასი მოიმარჯვეს და დასავლეთისაკენ გადაუხვიეს. შევიდნენ ქვეყანაში, რომელსაც ვარდიფენი ერქვა. იგი, ძირითადად, მთა-გორიანი გახლდათ, მაგრამ მთებს შუა, წყალუხვი მდინარეების ორივე მხარეს, არაჩვეულებრივი დაბლობები გაშლილიყო, საოცრად აყვავებული, აფერადებული და, რაღაც განსაკუთრებული – წითელი, ყვითელი, ვარდისფერი, შავი, ლურჯი, ჭრელი – ვარდებით ასურნელებული! საოცარი სანახაობა ატკბობდა თვალს! ამ წალკოტს ენაცვლებოდა ხშირი ტყეები, რომლებიც მერე მთებსაც აუყვებოდა, კალთების ძირიდან მწვერვალებამდე.

დიდხანს იარეს, თუმცა, დაღლა არც უგრძვნიათ, რადგან ასეთი მშვენიერი ბუნების ნაწილი გახდნენ!

უცბად დევგულამ მთის წვერზე საოცარი ნათება შენიშნა. სინათლე თვალს ჭრიდა და დიდხანს ვერ შეძლეს რაიმეს გარჩევა. მზე რომ მცირედ გადაიწვერა, ბროლის კოშკი დაინახეს. ვაჟმა აიჩემა, უნდა ავიდე, გული მიგრძნობს, საინტერესო რამეს გადავაწყდებითო. ვეზირებმა განზრახვა არ მოუწონეს, მაგრამ ახალგაზრდა ხელმწიფემ, როგორც ყოველთვის, თავისი გაიტანა. თანმხლებთა უმრავლესობა კარავში დატოვა, სამი რჩეული ვაჟკაცი შეარჩია, ცხენები შეაკაზმვინა, ბავშვები თავად შემოისვა უნაგირზე და მთის ფერდობს შეუყვა.

კოშკის კარი დაკეტილი დახვდათ. კარზე ეწერა: „შემოხვალ, ინანებ, არ შემოხვალ – ინანებ!“ – რაკი ორივე სანანებელია, შესვლას ვამჯობინებ. – ბრძანა ვაჟმა, – იმას მაინც გავიგებ, შიგნით რა არის?! – თქვა და კარი შეაღო. მცველთა-

გან ერთი მარჯვენა მხარეს დაუდგა, მეორე – მარცხნივ, მესამე – ზურგს უკან. ელისაბედი და საბა, უჩინ-რადქცეულნი, შეჰყვნენ.

დევგულა შევიდა თუ არა, ორ-მოცი ხმალამოღებული გოლიათი შე-მოერტყა! მცველები თვალის დახამხამე-ბაში გაუკოჭეს და ჩამოაშორეს, ხოლო მას მკლავებში ჩასჭიდეს ხელი და რვა ოთახი გაარბენინეს, მეცხრეში შეიყვანეს. ტახტზე მზეთუნახავი ქალი იჯდა. თვალის დაუხამხ-ამებლად სადღაც, სივრცეში, იყურებოდა. უკვე ერთი თვეა, თურმე, ასე დუმდა!.. დამხ-ვდურებმა დევგულა ქალის წინ დააყენეს და უთხრეს:

– თუ მეფის ასულ მთოვარისას სამჯერ ხმას ამოაღებინებ, ცოლად შეგრთავენ და სამეფოსაც მოგაკუთვნებენ, თუ არა, თავს წაგაცლიან და ფანჯრიდან გადაგაგდებენ!

დაღონდა ახალგაზრდა კაცი, მაგრამ ყურში უჩინარი ბავშვების ხმა რომ ჩაესმა, დაიმედიანდა:

– ნუ გეშინია, დაგეხმარებით. ჩვენი ბე-ჭედი გვასწავლის რა ვქნათ; დათანხმდი!

– კარგი, – უპასუხა ვაჟმა მოძალადეებს. მხოლოდ თქვენ მოშორებით დადექით.

მზეთუნახავის მცველები კარებთან დადგნენ, ფეხები განივრად გაალაჯეს და ხმლიანი ხელები გულზე გადაიჯვარედინეს. დევგულა მზეთუნახავს მიუჯდა. უჩინარი ბავშვები გვერდით მოთავსდნენ. ელისაბედმა ყურთან მიუტანა ბეჭედი. ამ უკანასკნელმა ლაპარაკი დაიწყო ისე, რომ მხოლოდ ვაჟს ესმოდა და მერე ხმამაღლა უმეორებდა დამუნჯებულ ქალს:

– ერთი დედაკაცი გზაზე მიდიოდა, თან მეუღლე და შემთხვევით დამგზავრებული კაცი ახლდა. ტყის პირას შემოაღამდათ. უცხო თანამგზავრი საჭმლის საშოვნელად წავიდა. გზაზე ყაჩაღებმა გაძარცვეს და წინააღმდეგობის გაწევის გამო თავი წააცალეს. რომ დააგვიანდა, ქალის ქმარი წავიდა. მასაც იგივე ბედი ეწია. ამასობაში გათენდა. კაცები რომ არ დაბრუნდნენ, ქალი საძებრად გაემართა. თავწაცლილები რომ იპოვა, მუხლები მოეკვეთა, აღაპყრო ხელი და მწარედ აქვითინდა.

ჯაგებიდან თაგვის ბახალა გამოძვრა და დაღუპულთა სისხლის ლოკვა დაიწყო. ქალი გაბრაზდა, ქვა ესროლა და მოკლა. დედა თაგვი გამოვარდა, ქალს წყევლა-კრულვა დაუწყო. მერე იქვე მისუნსულ-მოსუნსულდა, ბალახი მოგლიჯა, შვილს მიუსვ-მოუსვა და გააცოცხლა. დედა-შვილი წრუწუნით შევარდნენ ბარდებში. ქალს ამის დანახვაზე იმედი მიეცა, მოგლიჯა იგივე ბალახი, მიუსვ-მოუსვა ქმარსა და კაცს და გააცოცხლა, მაგრამ ვაი, უბედურება! თავები და ტანები აერია!

– მზეთუნახავო მთოვარისა, რომელს უნდა დარჩეს ქალი ცოლად?!

– რა თქმა უნდა, იმ ტანის პატრონს, ვის მკერდშიაც ქმრის მოსიყვარულე გული ძგერს! – წამოიძახა მეფის ასულმა.

ქალიშვილმა ხმა ამოიღოო! – მთელს სასახლეს მოედო სასიამოვნო ამბავი და ყველა დარბაზს მიაწყდა! სმენად იქცნენ!

დევგულას გაუხარდა და უფრო თამამად განაგრძო ბეჭდის ნაკარნახევი მეორე ამბავი:

– დურგალი, მკერავი და მღვდელი ერთად მიდიოდნენ. ტყეში დაუღამდათ. მხეცების დასაფრთხობად ცეცხლი დაანთეს და კოცონთან ღამისთევა რიგრიგობით გადაწყვიტეს. მოილაპარაკეს, ორმა დაიძინოს და მესამემ იფხიზლოსო.

კოცონის მეთვალყურეობა პირველად დურგალს ერგო. მღვდელმა და მკერავმა დაიძინეს.

დურგალს გაუჭირდა უქმად ყოფნა და ხისგან ქალი გამოთალა; ძილი რომ მოერია, ხეზე მიაყრდნო. მკერავი გააღვიძა და ცეცხლის მოვლა გადააბარა.

მკერავმა ცეცხლს მორები შეუკეთა, მერე ხის ქალი შენიშნა და უსაქმურობისაგან რომ არ დაძინებოდა, კაბა შეუკერა. მორიგეობის დრო რომ დაუსრულდა, ქალი მანაც ხეზე მიაყრდნო და მღვდელი გააღვიძა.

მარტოდ დარჩენილმა მღვდელმა ტანსაცმლიანი ხის ქალი რომ დაინახა, უსიცოცხლო არსება შეეცოდა, მხურვალე ლოცვით უფალს შეევედრა – სული შთაბერეო. ღმერთმა ისმინა და გააცოცხლა. ქალმა მღვდელს დაუჩოქა და ღვთის სახელით კურთხევა სთხოვა. მოძღვარმა ჯვარი გადასახა.

– მზეთუნახავო მთოვარისა, ვინ შექმნა ქალი, დურ-



გალმა თუ მღვდელმა?!

– რა თქმა უნდა, ვინც სული შთაბერა! – უპასუხა ქალმა, თუმცა თვალი კვლავ სივრცისათვის ჰქონდა მიპყრობილი. მთოვარისას ოჯახის წევრებსა და მსახურებს ნანატრი ღიმილი გამოესახათ სახეზე.

ჭაბუკმა კიდევ უფრო გაიხარა და ბეჭდის ნაკარნახევი მესამე ამბავი განაგრძო:

– გზაზე სამი კაცი მიდიოდა: გულთმისანი, ფეხმარდი და ექიმი. გულთმისანმა თქვა: ჩვენი ხელმწიფის ქალიშვილი ავად გამხდარა და ენაჩაგდებული ზისო.

– გადავარჩენდი, მაგრამ იქ როდის მივალ?! – დაინტერესდა ექიმი.

– მე მიგიყვან ქარის უსწრაფესად! – უპასუხა ფეხმარდმა და მხრებზე შესმული ექიმი თვალის დახამხამებაში სასახლეში მიიყვანა. ექიმმა სნეულს საკუთარი რეცეპტით დამზადებული წამალი დაალევინა და გამოაჯანმრთელა.

– მზეთუნახავო, ის ავადმყოფი შენა ხარ, მკურნალი კი – მე! ვის ეკუთვნი?! – ჰკითხა ვაჟმა ქალიშვილს.

– რა თქმა უნდა, შენ! – წამოიძახა მთოვარისამ და საწოლიდან წამოდგა, დევგულას ხელი ჩასჭიდა:

– შენ ხარ ჩემი მშველელი, ჩემი ბედი და იღბალი, სადაც გსურს, იქ წამოგყვები!

მალე მათს სიხარულს მთელი სასახლე შეუერთდა. დევგულამ მზეთუნახავი მთოვარისა საკუთარ სახელმწიფოში წაიყვანა; მერე იმისი სამეფოც შეიერთა და ისეთი ქორწილი გადაიხადა, იმ მხარეში ჯერ არავის ენახა და სხვა ქვეყნებშიაც გაოცებით ჰყვებოდნენ. ელისაბედი და საბაც, რა თქმა უნდა, ქორწილს ამშვენებდნენ.

ხატულეთი

სკანიეთიდან წამოსული ელისაბედი და საბა საოცარი ფერების ყვავილთაგან მოქარგულ ხატულეთის მინდორში აღმოჩნდნენ. ჭრელი პეპლები ხან ერთ, ხან მეორე ყვავილს სტუმრობდნენ; შრომისმოყვარე ფუტკრები ნექტარს ეწაფებოდნენ; ათასგვარი ჩიტი ჭიკჭიკებდა. მოკლედ, კიდევ ერთ ნამდვილ წალკოტში შეაბიჯეს... ღმერთო, რა ლამაზია ჩვენი დედამიწა ?!...

წყაროსთან ცხრა ვაჟი შენიშნეს. ცხრავე ერთმანეთზე უმშვენიერესი და უღონიერესი ჩანდა. ცხრავეს მწუხარება ეტყობოდა სახეზე. მოგზაური ბავშვები მაშინვე დაინტერესდნენ მათი ვინაობით და მიუახლოვდნენ. ყველანი ერთმანეთს მიესალმნენ და, როგორც ხდება ხოლმე, საკუთარი ამბავი გამოჰკითხეს.

ძმები – ქიტესია, ვეფხია, ჯარჯი, ამირინდო, ქარისა, მეხისი, მკვირცხლა, ბანდურა და ხუთკუნჭულა – ახალდაობლებულნი, ძალიან ღარიბი ოჯახის შვილები იყვნენ. მართალია, არც ძალ-ღონე აკლდათ, არც – სიბეჯითე, მაგრამ სოფელს კაციჭამია დევი დაპატრონებოდა. მთელი სოფლის ნაშრომიც მას მიჰქონდა და სოფლის მკვიდრ ახალგაზრდებს, ყოველდღე სამ-სამს: დილით, შუადღისას და საღამოს – სანსლავდა! მოს წონდა, თურმე, ადამიანის ხორცი ცხოველისაზე უგემრიელესიაო,– თუმცა, ნადირზეც არ ამბობდა უარს.

იმჟამად დევი ტყეში წასულიყო. ბიჭები წყაროსთან სათათბიროდ შეიკრიბნენ (მეტის მოთ-

მენა აღარ შეეძლოთ) და ბჭობდნენ, როგორ მოეშორებინათ დევი! როგორ ეხსნათ სოფელი!

ელისაბედი და საბა შეაძრწუნა ძმების ნაამბობმა. რა თქმა უნდა, დახმარება გადაწყვიტეს. საწრაფოდ მიმართეს ბეჭედს, აკოცეს, დახმარება სთხოვეს. ბიჭებიც შემოიკრიბეს და სმენად იქცნენ. ბეჭედი ცოტა ხნით დუმდა, მერე ლალისფრად ავარვარდა და გეგმა გააცნო. ბიჭებმა ყველაფერი ზუსტად დაიმახსოვრეს. ელისაბედი და საბა უჩინარნი გახდნენ, თან გაჰყვნენ ძმებს.

ძმები დევის სასახლის უზარმაზარ გალავნიან ეზოში შევიდნენ. ათსართულიანი შენობა ოქროვერცხლით, უძვირფასესი ხითა და მარმარილოს ნარევით იყო ნაგები. ერთ კუთხეში ცას მიბჯენილი კოშკი კაშკაშებდა მზის სხივებში; (სასახლე იმ ქვეყნის ხელმწიფისათვის წაურთმევია დევს, თორემ მას ასეთი ნატიფი გემოვნება როდი ჰქონდა, რომ მსგავსი ნაგებობა აეშენებინა). ეზოში უამრავი მსახური საქმიანად მიმოდიოდა. ყველას ძრწოლა და ნაღველი ეწერა სახეზე... ძმებმა მსახურთუხუცესი მოძებნეს და სამუშაო სთხოვეს. მსახურთუხუცესს მათი მისვლა გაუხარდა, რადგან დევისაგან შეშინებული ახალგაზრდა მსახურები წარამარა გარბოდნენ. აღმოჩნდა, რომ მეჯინიბეები სჭირდებოდა და ცხრავე სიამოვნებით აიყვანა სამუშაოდ.

ვაჟები დევის უზარმაზარ საჯინიბოში შევიდნენ. ერთმანეთისაგან ტიხრით გაყოფილ სადგომებში საუკეთესო ჯიშის ცხენები ება.ზოგი ჭიხვინებდა, ზოგი ქშენდა და დაბერილი ნესტოებიდან ოხშივარს უშვებდა, ზოგი ჩალას ახრამუნებდა. წინ ყველას სურნელოვანი თივა ეყ-

არა; ფილაქნის სადინარით მათთვის სასმელად განკუთვნილი წყალი მიედინებოდა. რაშების თავს ზემოთ, გრძელ თაროებზე, თივის ოთხკუთხედი შეკვრები ელაგა. ყველგან და ყველაფერში ჩანდა, რა ჭკვიანი და საქმის მცოდნე მმართველი იყო დევის მსახურთუხუცესი. აბა, კაციჭამიას მეურნეობის უნარი ვინ მისცა!

ცხრა ძმა მაშინვე შეუდგა საქმეს. ცხენები დაანაყრეს, დავარცხნეს და გაასუფთავეს. ის იყო, გარეთ სასეირნოდ გაიყვანეს, რომ უცბად მიწამ ზანზარი დაიწყო. ყველა მიხვდა – დევი ბრუნდებოდა! მალე შემოალაჯა კიდეც ეზოში. მხრებზე კისერგამოღადრული ირმები და ჯიხვები შემოეწყო, იღლიებში შვლები ამოეჩარა. ყველაფერი ეზოში მდებარე სამზარეულოს წინ დაყარა. ნანადირევის გორა დადგა. ბრძანა, ვახშამი მიერთმიათ (შემწვარ-მოხრაკული მოინდომა „ბიჭმა!“) და ხვნეშით წამოწვა მუხის ჩრდილში. მზარეულები სასწრაფოდ დატრიალდნენ. მსახურებმა სუფრა გაშალეს. დევმა როცა საჭმელს მუსრი გაავლო, ნარჩენები მსახურებს მიუყარა. მერე უცნობი ჭაბუკური სახეები რომ შენიშნა, ვინ არიანო, იკითხა. შენი ახალი მეჯინიბეები გახლავთო, – მოახსენეს. შეათვალიერა და მოეწონა: ძვალ-რბილი თანაბრადა აქვთ განვითარებული, ახალგაზრდების ხორცი კარგი ლუკმააო, – გაიფიქრა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, რომ სხვებს არ შეენიშნათ, არ შეშინებოდათ, არ გაქცეულიყვნენ და უმსახურებოდ არ დარჩენილიყო.

დაღამდა. ყველა დასაძინებლად დაწვა. ელისაბედი და საბა ძმების ოთახში მოთავს-

დნენ. რვა ძმამ დაიძინა. მეცხრე- ხუთკუნჭულა, ფხიზლობდა, რადგან გული და გონება სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა.

არ ეძინა დევსაც. წრიალებდა ლოგინში – თვალწინ არაჩვეულებრივი აღნაგობის ყმაწვილები ედგა და ტუჩებს მსუნაგად ილოკავდა, მუცელზე ხელს ისვამდა. ბოლოს ველარ მოითმინა და ძმების საწოლი ოთახის კარზე ფრთხილად დააკაკუნა (არ უნდოდა, სხვა მსახურებს გაეგონათ).

– ძმებო, გძინავთ თუ გღვიძავთ? – იკითხა დათაფლული ხმით.

– მე მღვიძავს. – უპასუხა ხუთკუნჭულამ.

– რა არ გაძინებს?! – დაინტერესდა მასპინძელი.

– შენი ბატების ყიყინი. ასე ზრუნავ ოჯახის წევრებზე?! – მიუგო ბიჭმა (როგორც იყო დარიგებული ბეჭდისაგან).

დევი წამოხტა, საბატეში შევარდა, საბრალო ფრთოსნებს დაუღრიალა – პირის ჩატკბარუნებაში ხელი რატომ შემიშალეთო და ყველა ბატი გადასანსლა! საძინებელში შებრუნდა. ყმაწვილების შეჭმის სურვილი უფრო არ ასვენებდა. მალე წამოდგა, კვლავ მივიდა კართან და კვლავ იკითხა:

– ძმებო, გძინავთ თუ გღვიძავთ?!

– მღვიძავს, – მიუგო ხუთკუნჭულამ – შენი ძროხების ფშვინვა არ მასვენებს.

დევი ამჯერად ძროხებს დაერია. სათითაოდ გადაყლაპა. მუცელი დაუმძიმდა და დაწვა. მაინც ვერ მოისვენა – საწადელს როგორ ვერ უნდა მივაღწიოო... ისევ ადგა, ისევ მივიდა ძმების კართან და ბრაზი შეიკავა, ხმა, რამდენადაც შეეძლო, გაინაზა:

– ძმებო, გძინავთ თუ გღვიძავთ?!

– მღვიძავს, მღვიძავს! – მიუგო ხუთკუნჭულამ.

– რატომ ვერ იძინებ? – „შეწუხდა“ დევი.

– მინდორში შენი ცხენებია დარჩენილი, გუშინღამ შინ არაფრით არ გამოგვყვნენ, ახლა ჭიხვინებენ და არ მაძინებენ! – მიუგო ბიჭმა.

დევი გაცოფებული წამოხტა და გავარდა.

ამით ისარგებლეს ელისაბედმა და საბამ და ბეჭდის დახმარებით ბიჭები შორს, მდინარის გაღმა, სხვა სახელმწიფოში, სუფაში, გააპარეს.

გაბრაზებულმა დევმა საკუთარი ცხენები რომ გადაყლაპა, გათენდა კიდეც. ამან ძალიან გააგულისა, რადგან დღისით ვერ შეჭამდა ძმებს, ყველა გაიგებდა! შინ მობრუნებულმა ბიჭების გაპარვის ამბავი რომ შეიტყო, ღრიალი მორთო, ბოლოს რაღას იზამდა, გაჩუმდა, დამარცხებას ხომ არ დაანახვებდა სხვებს?!

სუფა

სუფას დიდმა ბატონმა, გირკიმელმა, ახალგაზრდები სიამოვნებით მიიღო, განსაკუთრებით მას შემდეგ აღფრთოვანდა, რაც დევისაგან თავის დაღწევის ამბავი მოუთხრეს. მალე მთელ სუფაში გავარდა სტუმრების მოხერხებულობის ამბავი. დიდი და პატარა, ქალი და კაცი – პატივისცემით ეპყრობოდნენ. ასეთი ყურადღება შეშურდათ გირკიმელის ბოროტ მოადგილეებს. მოისურვეს, ცხრავე მოეშორებინათ თავიდან. ითათბირეს და ძმებისთვის საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღეს. სამწუხაროდ, ბოროტება მუდამ ებრძვის სიკეთეს! ამიტომ მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, გონივრულად ვიმოქმედოთ.

ქიტესა, ვეფხია, ჯარჯი, ამირინდო, ქარისა, მეხისი, მკვირცხლა, ბანდურა უკვდავების წყაროს წყლის მოსატანად გააგზავნინეს ბატონს – თუ მართლა მაგრები არიან, საქმით დაგვიმტკიცონო. განსაკუთრებით ხუთკუნჭულას დაღუპვა სურდათ და მისთვის უძნელესი დავალება მოიფიქრეს. ამ მიზნით მივიდნენ გირკიმელთან და მოახსენეს:

– დიდებულო მბრძანებელო, შენი სასახლე და სახელმწიფო ყველაფრით სრულყოფილია! მაგრამ დევის (ვისგანაც გამოიქცნენ ძმები) ოქროსმყრელი თხაც რომ თქვენი იყოს, როგორ გამდიდრდებოდით?!

– მერე ვინ მომიყვანს?! – იკითხა ხარბმა ბატონმა.

– ხუთკუნჭულა, აკი იგი ყველაზე მოხერხებულია?! – შეაპარეს ხელქვეითებმა.

გირკიმელს რჩევა ჭკუაში დაუჯდა და ხუთკუნჭულას თხის მოპარვა დაავალა.

დაღონდა ბიჭი. კიდევ კარგი, ელისაბედი და საბა კვლავ მასთან იყვნენ. რა თქმა უნდა, ითათბირეს ბეჭედთან, მისი დახმარებით უჩინარნი გახდნენ. ბეჭდის ძალამ ისინი მსუბუქად აიტაცა და ზღვასავით ვრცელ მდინარე ძუასაზე უვნებლად გადააფრინა. დევის სასახლეში შეიპარნენ (ყოველი კუთხე-კუნჭული ხომ კარგად იცოდნენ), მეგობარი კეთილი მსახურები მალულად მოიკითხეს (რომ კაციჭამიის მომხრე ავკაცებს არ დაენახათ). მთელი დღე მათთან გაატარეს. დაღამდა. იცოდნენ, რომ დევს თხა საკუთარ საძინებელში შეჰყავდა და ამიტომ მის დაბრუნებამდე, სამივენი, უჩინრადქცეულნი, იქ მოკალათდნენ.

დევი დაბრუნდა, საზარელი სუნი დატრიალდა: იგი ხომ ტანს არასოდეს იბანდა! კიდევ კარგი, ბეჭედი დაეხმარათ და სამივეს საკმევლის სურნელით გაჟღენთილი კედელი შემოევლო.

ბოროტმა გოლიათმა დაიძინა და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ ყურთასმენა აღარ იყო. თხამ იატაკზე დაფენილ ძვირფას ხალიჩაზე მოიკეცა ფეხები, მაგრამ თვალები დაჭყეტილი ჰქონდა – აბა იმ ხმაურში რა დააძინებდა!

ბავშვებმა ხუთკუნჭულას თავი გამოაყოფინეს. თხამ დაინახა და დაიკიკინა. დევი წამოხტა, მაგრამ ვერავინ რომ ვერ შენიშნა, პირუტყვს გაუწყრა და დასაძინებლად დაწვა. ხუთკუნჭულა ასე რამდენჯერმე დამალეს და გამოაჩინეს. ბოლოს გაბრაზდა დევი, გაბრაზდა და, ძილს რატომ არ მაცლიო, თხაკიკინა გარეთ გააგდო. ჩვენიანებსაც ეს უნდოდათ! დაავლეს ხელი პეტელ-



ას, გაუჩინარდნენ და გირკიმელის სამფლობელოში თვალის დახამხამებაში გაჩნდნენ.

სუფაში საოცრება დატრიალდა: ლანდის უსწრაფესად გავრცელდა ოქროსმგდებელი თხის ამბავი. ქალი თუ კაცი, დიდი და პატარა, გონებადამჯდარი თუ ჭკუამხიარული – ყველა იქით მიისწრაფოდა! გირკიმელმა გაიხარა, თანაც უსაზღვროდ, ხოლო ბატონთბატონის ხელქვეითები უფრო დაიბოღმნენ. ითათბირეს და კვლავ შეუჩნდნენ პატრონს:

– დევს უძვირფასესი თვლებით მოქსოვილი ხალიჩა რომ აქვს, ისიც მოატანინე. ასეთი ნივთი სწორედ რომ შენი შესაფერია!

ბატონმა ხუთკუნჭულას ბრძანების შესრულება მოსთხოვა.

ელისაბედმა და საბამ კვლავ გადაიყვანეს ხუთკუნჭულა დევის სასახლეში. მხეცკაცი სანადიროდ წავიდა თუ არა, ჩვენმა სამმა მეგობარმა საძინებლის ხალიჩაში უამრავი ნემსი ამოარჭო.

საღამოს დევი დაბრუნდა. დაძინების წინ ფეხტიტველამ რომ გაიარა ხალიჩაზე, ფეხის გულებში ნემსები ეჩხვლიტა, გამწარდა და ხალიჩა ფანჯრიდან მოისროლა. და-ძმამ და ხუთკუნჭულამ ხალიჩას ხელი დასტაცეს და გაუჩინარდნენ. სუფაში თვალის დახამხამებაში დაბრუნდნენ. გირკიმელი სიხარულისაგან ბავშვივით ხტოდა. ხელქვეითები საგონებელში ჩავარდნენ... მალე უარესი მოიფიქრეს:

– დიდებულო მბრძანებელო, ხუთკუნჭულა, თუ ასე მაგარია, დევი მოგიყვანოს! მსახურად დაგიყენოს! აი, ყველაფერს ეს აჯობებს!

სიხარბე ზოგიერთს საღად განსჯის უნარს უკარგავს, ჭკუასუსტები ადვილად ექცევიან სხვისი გავლენის ქვეშ. ავგულები საკუთარი ინტერესებისათვის ადამიანების განსაცდელში ჩაგდებას არაფრად მიიჩნევენ. ასეთი იყო სუფას ბატონიც და ხუთკუნჭულას ბრძანების აღსრულება შედეგის განუჭვრეტლად მოსთხოვა.

ბებოს ბეჭედმა ახალი გეგმა შეიმუშავა. მისი რჩევით, დურგლის ტანსაცმელში გამოწყობილი ხუთკუნჭულა, რომელსაც ხელში ხის საჭრელი იარაღები ეჭირა, დევის ტყეში შევიდა. დევს საკუთარმა შიკრიკმა მის კუთვნილებაში უცნობის გამოჩენა შეატყობინა. მხეცკაცი მივარდა (ვერ იცნო ბიჭი) და შეჰღრიალა:

– ვინა ხარ, როგორ გაბედე ჩემს ტყეში შემოსვლა?! ახლავე შეგახრამუნებ!

– დურგალი ვარ, საუკეთესო ჯიშის ხეების ძებნაში გართულმა აქამდე მოვაღწიე. არ ვიცი ვისია, მაგრამ აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, რა საუცხოო ტყეა! რა ძვირფასი სასკივრე მასალაა!

დევს საკუთარი ტყის ქება ძლიერ ესიამოვნა.

– ხის გარჩევა გცოდნია. კარგი დურგალიც ხარ? რით გამაკვირვებ?!

– ისეთ სკივრს გავაკეთებ, ისეთ მტკიცესა და მყარს, შენც რომ ვერ გამოამტვრევ!

– ხა, ხა, ხა, ხა!.. – აახმაურა დევმა ტყე – რა უნდა იყოს, მე რომ ვერ გამოვამტვრიო?! ჯერ არ შეგჭამ, გააკეთე!

– თანახმა ვარ, – უპასუხა ხუთკუნჭულამ. სასწრაფოდ შეუდგა საქმეს. დევი იქვე წამოგორდა და ხვრინვა ამოუშვა.

ხუთკუნჭულამ, ბეჭდის დახმარებით, უსწრაფესად შეკრა რკინაზე უმტკიცესი სკივრს კედლები, დევი გააღვიძა და შიგ ჩასვლა შესთავაზა. დევი ხითხითით ჩახტა. ვაჟმა სახურავიც დააჭედა და გამომწყვდეულ გოლიათს მიმართა:

– აბა, თუ ბიჭი ხარ, გახსენი!

დევი აფაფხურდა, აბრაგუნდა, აღრიალდა, მაგრამ ვერა და ვერ გახსნა! ხუთკუნჭულამ ბუმბულივით მოიგდო მხრებზე სკივრი და გირკიმელის სამფლობელოში მიიტანა, ეზოში დადგა; ყველა გარეთ გამოცვივდა. ბიჭმა მსახურები გააფრთხილა – დაიმალეთო. ახლო მხოლოდ ბატონი და მისი ავი საქმის თანამზრახველები დარჩნენ. მათ სახურავის ახდა მოითხოვეს, აინტერესებდათ, მართლა მოიყვანა თუ არა, დევი. ხუთკუნჭულამ სახურავი ასწია, იმავდროულად, იგი ბეჭედმა უმაღლესი ხის კენწეროზე ააფრინა, თან

ხელში უზარმაზარი ლოდი დააჭერინა; რა თქმა უნდა, უჩინრად ქცეული ბავშვებიც მასთან იყვნენ.

გაცოფებული დევი სკივრიდან ღრიალით ამოვარდა და ყველა სათითაოდ გადასანსლა! ბოლო ლუკმა რომ გადაყლაპა, ხუთკუნჭულას ასძახა:

– მადლობა, ასეთი უხვი სუფრა რომ გამიშალე. ხელი მინდა ჩამოგართვა, მანდ როგორ ახვედი?!

– აი, ეს საწაულმოქმედი ლოდი მივიკარი მკერდზე და ამან ამომაფრინა, თუ გინდა ჩამოგიგდებ, – ჩამოსძახა ბიჭმა.

დევს ტანი ჰქონდა დიდი, ხოლო თავი – პატარა, ჭკუა კი- ერთი ბეწო. ჰოდა, დაეთანხმა. ხის ქვეშ დადგა და ზევით დაიწყო ცქერა. ხუთკუნჭულამ, ელისაბედმა და საბამ ლოდი ჩამოაგდეს. ბეჭედმა ლოდი კიდევ უფრო დაამძიმა და საშინელი ძალით დაახეთქა დევს. ეს უკანასკნელი უსულოდ ჩაეფლო მიწაში...

ბიჭი და ბავშვები ძირს ჩამოფრინდნენ. სიკეთის ზეიმის დრო დადგა! ხუთკუნჭულას ძმებიც დააბრუნეს. ბოროტი დევისა და ხარბი გირკიმელის სამფლობელოები გააერთიანეს, ცხრად გაანაწილეს. ცხრა მშვენიერ ქალიშვილზე იქორწინეს. იმ დღიდან იმ ცხრა სახელმწიფოს მუდამ ცხრათვალა მზე დანათოდა.ისეთი მოწესრიგებული, შეძლებული, მშვიდობიანი ცხოვრება დაამკვიდრეს ძმებმა, რომ, როგორც რუსთაველი იტყოდა, იმათ სამფლობელოში „თხა და მგელი ერთად ძოვდნენ!”

ელისაბედსა და საბას ცხრავე ეპატიჟებოდა, დარჩენას სთხოვდა, მაგრამ ბავშვებს დროის უქმად გატარება არ სურდათ – ისინი ხომ მოუსვენარი მოგზაურები იყვნენ! მასპინძლებს დაემშვიდობნენ და გზას გაუდგნენ.

იაეთი

ელისაბედსა და საბას იაეთის ტყეში შემოაღამდათ. ირგვლივ რაღაც იდუმალება სუფევდა. უზარმაზარი ფოთლოვანი ხეები ნელა შრიალებდნენ, არა, მხოლოდ კი არ შრიალებდნენ, მუსიკალურ ბგერებს გამოსცემდნენ; მათ ქვეშ, ნახევარი მეტრის დაშორებით, წითელი, თეთრი, ყვითელი, ჩალისფერი, ლიმონისფერი და ჭრელად დაწინწკლული სოკოები მიმოფანტულიყო, ჩვეულებრივი კი არა, ერთი მეტრის სიმაღლისა! ბავშვები გაოცებული შესცქეროდნენ ქოლგებივით გაშლილ სოკოს ქუდებს!...

მზე თანდათან ეფარებოდა ჰორიზონტს... ჩამავალი მეწამული სხივები სიმწვანეს უკარგავდნენ ფოთლებს... ყვავილები დასაძინებლად ემზადებოდნენ: ზოგი თავს ხრიდა, ზოგი მთლიანად იკუმშებოდა... ჩიტები ძილისპირულს წყნარად ჟივჟივებდნენ... ცხოველები თანდათან ყუჩდებოდნენ, დაგვიანებულები ძუნძულით მიიჩქაროდნენ ბუნაგისაკენ... ღამის ბინადარნი კი, პირიქით, აქტიური ცხოვრებისათვის ემზადებოდნენ... სრულად რომ დაბნელდა, კიდევ ერთი სასწაულის მოწმენი გახდნენ ბავშვები: ბეღურას ზომის ციცინათელები გამოეფინენ! დაფარფატებდნენ ქვევიდან ზევით, ზევიდან – ქვევით, მარცხნიდან – მარჯვნივ, მარჯვნიდან – მარცხნივ... არაჩვეულებრივი სანახაობა იყო!... მთელი ტყე ციმციმებდა, ბრჭყვიალებდა... ამ ჩუმ საზეიმო ნათებას ღამის რომელიმე ფრინველი თუ დაარღვევდა, ისიც წამიერად...

მშვენიერი სანახაობისგან სლუკუნმა გამოფხიზლა. ხმა განიერი მუხის ფუღურიდან ისმოდა. ფრთხილად მი-

უახლოვდნენ, შევიდნენ. გეგონებოდა, ათასი ნათურა ანთიაო, ისე გაენათებინათ ციცინათელებს იქაურობაც. იქვე პატარა გოგონა იჯდა, თავი მუხლებზე დაედო და ტიროდა... ფარვანები, ციცინათელები, ღამის ჩიტუნები თავზე დასტრიალებდნენ, ნაზად ეხებოდნენ... გოგონა მადლიერების ნიშნად დროდადრო გაუღიმებდა, ხან ერთს ეალერსებოდა, ხან – მეორეს, მაგრამ კვლავ ეტირებოდა... ბიძაშვილ-მამიდაშვილი ბავშვს ფრთხილად მიუახლოვდა. ათრთოლებულ მხრებზე ხელი მოხვიეს და დარდის მიზეზი ჰკითხეს. გოგონამ შვებით ამოისუნთქა, ასეთი საყვარელი ბავშვები რომ დაინახა, თბილად მიესალმა და საკუთარი თავგადასავალი უამბო...

გოგონა, სახელად ბაჩაჩო, საბურეთის ხელმწიფის მეთორმეტე ქალიშვილი

აღმოჩნდა. დედამისი, დედოფალი, მშვენიერი ლუა, მე – 13 შვილს ელოდა. დედამთილი სულ ბუზღუნებდა და დუდღუნებდა: თუ კვლავ გოგოს გააჩენს, სასახლეში ცხოვრებას არ ვაღირსებ და სამუდამოდ გავაძევებო! ხელმწიფეს შეებრალა მეუღლე და უთხრა:

– წადი, იმშობიარე. თუ ბიჭი გეყოლება, დაბრუნდი; თუ გოგონა – თავს უშველე, არ მობრუნდე, მერე მე თვითონ მოგძებნი!

დამწუხრდა ლუა, მაგრამ რა ექნა! ჩაილაგა სკივრში ტანსაცმელი და აუცილებელი ნივთები; უერთგულესი მხევალიც თან გაიყოლა და საკუთარი ეტლით უახლესი ტყისკენ გასწია (ხალხმრავალ ადგილს მოერიდა). ბაჩაჩო მამისა და ბებიის მალულად გაჰყვა, რადგან დედა ძალიან, ძალიან უყვარდა და, ამავე დროს, მეტად გულადი და მოხერხებული გოგონა იყო. იქნებ დედას რამე გაჭირვებოდა!

დედოფალი ლუა ტყის ყველაზე დიდი მუხის ფუღუროში დაბინავდა (გარედან გეგონებოდათ ფუღურო, თორემ კარგად ნაკვეთი ქვაბული გახლდათ – მუხა კლდეს ეკვროდა, ფუღურო კი კარის მოვალეობას ასრულებდა). ლუამ, მხევლის დახმარებით, ცხენები დააბინავა, გამოქვაბულში ფარდები ჩამოჰკიდა, ხალიჩები დააგო, საწოლი გამართა და სანთლები დაანთო.

ერთი კვირა ისე გავიდა, ძეხორციელი არ დაუნახავთ. ბაჩაჩომ დაიჟინა – მოვძებნი, იქნებ ახლომახლო მოსახლე იყოს, რომ დაგვჭირდეს, დასახმარებლად ვუხმობთო...

– ბევრი ვიარე, მაგრამ ვერავის წავაწყდი. დაღამდა კიდეც, ვინ იცის, როგორ ვჭირდები დედას!... აი ამიტომ ვტირი... – დაასრულა სლუკუნით.

ელისაბედმა და საბამ, ჩვეულებისამებრ, დახმარება აღუთქვეს. გოგონას თავგადასავალი ბეჭედს უამბეს და მის რჩევას დაელოდნენ. ბეჭედი გაბრწყინდა და აჩურჩულდა:

– დედოფალი კარგად არის! – ვაჟი ეყოლა, იმედა დაარქვა, ბედისმწერალი უკვე ბიჭის მომავალს ჰქმნის.

– რაო, რა ელის?! – წამოიძახა სამივემ.

ბეჭედმა განაგრძო:

– იმედა ჩვეულებრივი ბავშვი არ იქნება! მეფეს მემკვიდრე ეჩქარებოდადა და ამიტომ 1 თვის ბიჭი 10 წლისას დაემსგავსება, 2 თვისა – 20 წლისას. მხოლოდ ამის ჩემდეგ იცხოვრებს ჩვეულებრივი რიტმით. ათი წლისა (ანუ, 1 თვისა) სახლის წინ მდებარე ნაძვის ხეზე თუ ავა, ჩამოვარდება და მოკვდება! ამ ფაქტის ცოდნა ბაჩაჩომ რომ გაამჟღავნოს, ქვად იქცევა!

იმედა პირველ განსაცდელს თუ გადაურჩება, როცა თხუთმეტი წლისა გახდება, ცხენის კვიცზე შეჯდება, გადმოვარდება და მოკვდება! თუ ამ ფაქტს ბაჩაჩო გაამჟღავნებს, ქვად იქცევა!

იმედა მეორედაც თუ გადარჩა, ოცი წლისა მშვენიერ ქალიშვილზე დაინიშნება, სიდედრის ნაჩუქარ ტანსაცმელში გველები გაჩნდებიან, დაკბენენ და მოკლავენ. თუ ამ საიდუმლოს გა-

თქვამს ბაჩაჩო, ქვად იქცევა და სამუდამოდ გაქვავებული დარჩება მანამ, სანამ მზის ნაბან წყალს არ გადაავლებენ თავიდან ფეხებამდე! – დაასრულა ბეჭედმა.

ბაჩაჩო დამშვიდდა, მაგრამ ასაკისთვის შეუფერებელი სერიოზულობით ჩაფიქრდა... მერე დასაძინებლად მიწვნენ. ჩიტებთან ერთად გაიღვიძეს. წყაროს წყლით პირი დაიბანეს, მარწყვი, ჟოლო და ვაშლი მიირთვეს.

ელისაბედმა და საბამ ბაჩაჩო გააფრთხილეს, საიდუმლო არ გაეცა, თორემ ძმა დაეღუპებოდა და თვითონ კი ქვად გადაიქცეოდა! გოგონამ შეჰფიცა.

დედოფლის სადგომს მიაღწიეს. გახარებულმა დედამ ბაჩაჩო გულში ჩაიკრა და ძმის დაბადება მიულოცა. ახალდაბადებული, ოქროსთმიანი, სახენათელი ბიჭუნა ტკბილად ღუღუნებდა. ბაჩაჩომ ორივეს (დედასა და ძმას) მიუალერსა, ახალშეძენილი მეგობრები გააცნო. დედოფალმა ლუამ ბავშვები სასახლეში მიიპატიჟა. და-ძმამ მადლობა გადაუხადა და მოგზაურობის მიზანი გაანდო. მერე ბაჩაჩო ცალკე გაიხმეს და კიდევ ერთხელ შეახსენეს, როგორ მოქცეულიყო. ელისაბედმა ბეჭდის ერთი პაწაწინა თვალი ამოიღო, გოგონას მისცა და უთხრა;

– თუ დახმარება დაგჭირდება, ამ თვალს მიმართე, ჩვენი სახელი ახსენე და შენთან გავჩნდებით!

ბაჩაჩომ მხურვალე მადლობა გადაუხადა ბიძაშვილ-მამიდაშვილს და დაემშვიდობა, რაკი მიპატიჟებაზე უარი თქვეს.

ელისაბედი და საბა მაშინვე პონტოსაკენ მიმავალ გზას დაადგნენ (იქით მუდამ მიუხაროდათ, რადგან საყვარელი ბებია კოლხეთში იყო გაზრდილი).

გურიე

ბაჩაჩო, დედოფალი ლუა, იმედა და მხევალი სასახლისაკენ გაემართნენ. ხელმწიფის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. დედამთილიც, დიდი დედოფალი, დაწყნარდა. სასახლე და მთელი გურიეს სამეფო ზეიმობდა.

გავიდა ერთი თვე. იმედა მართლა 10 წლისას დაემსგავსა. მეფემ ვაჟის დაბადების დღისათვის მზადება ბრძანა. ყველა ჩაერთო სამზადისში. დიდმა და პატარამ იცოდა საკუთარი საკეთებელი რა იყო და გულმოდგინედ, სიამოვნებით ასრულებდა, რადგან მეფესა და მის ოჯახს ძალიან აფასებდნენ. ბაჩაჩომ იმედა ეზოში მდგარ ნაძვის ხესთან დაინახა და საშინელი ნაწინასწარმეტყველი გაახსენდა. მაშინვე „გულწასული“ დაეცა (თავი მოიავადმყოფა). მშობლები მიცვივდნენ, ექიმები დაასიეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს, გოგონა ისევ „ცუდად იყო“.

ბაჩაჩომ, როგორც იქნა, თვალი გაახილა და მამას უთხრა:

– ნუ აწვალებ ექიმებს, ჩვენი სასახლის წინ რომ ნაძვის ხეა, მოაჭრევინე და მეც მოვრჩები.

– შვილო, ოღონდ შენ იყავი კარგად და, თუ გინდა, სხვა ხესაც მოვაჭრევინებ! – შეჰპირდა ხელმწიფე.

მეფემ სიტყვა შეასრულა. ბაჩაჩო ლოგინიდან სრულიად ჯანმრთელი წამოდგა.

ოჯახი ბედნიერ დღეებს ითენებდა და იღამებდა...

უფლისწულ იმედას საცაა თხუთმეტი წელი შეუსრულდებოდა. იზრდებოდა მეფის საუკეთესო კვიციც. იგი ისეთი მშვენიერი, ცქვიტი და მარდი იყო, კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავდა! იმედას გაგიჟებით უყვარდა; ასუფთავებდა, ვარცხნიდა, წყალს ასმევდა, აჭმევდა, ასეირნებდა, ეალერსებოდა, მოკლედ, გვერდიდან არ იშორებდა. მალე კვიცი უკვე ისე გაძლიერდა, რომ გაჭენება შეიძლებოდა.

ბაჩაჩომ მაშინვე მოიავადმყოფა თავი. კვლავ დაასიეს ექიმები,მაგრამ ვერაფერი გაუგეს, ვერ უშველეს. ქალიშვილმა მამა დაიბარა და სთხოვა:

– თუ ჩემი გადარჩენა გინდა, კვიცი გააჩუქე, გინდა, გაყიდე, ოღონდ სასახლიდან მოაშორე!

ხელმწიფეს გული ეტკინა – ის ხომ ასე ეძვირფასებოდა იმედას! გაკვირვებაც ვეღარ დამალა და ჰკითხა:

– ძმაზე გიჟდები, ეს კვიციც გიყვარს, გულთბილი და გულმოწყალე ხარ. ასეთი უცნაური სურვილი რამ გაგიჩინა?!

– მამილო, მე უფრო გედარდები, თუ კვიცი?! – იწყინა ბაჩაჩომ.

– ეგ რამ გათქმევინა, შვილო?! – შეაგება პასუხი მეფემ,-ოღონდ ჩემი შვილები იყავით კარგად და ყველაფერი შემოგვლებიათ!

ხელმწიფემ ბაჩაჩოს სურვილი შეასრულა თუ არა, გოგონა ფეხზე წამოდგა, კარგად გახდა.

მეფის ოჯახის ცხოვრება კვლავ ბედნიერად წარიმართა. იძინებდნენ, იღვიძებდნენ, კითხულობდნენ, სწავ-

ლობდნენ, კაცები ნადირობდნენ, ქალები ხელსაქმობდნენ და, რაც მთავარია, ერთმანეთზე ზრუნავდნენ, ბოროტ მეფეებსაც არ ჰგავდნენ, არავის ჩაგრავდნენ.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და უფლისწული იმედა „20 წლისა“ გახდა. დედ-მამამ ტახტის ერთადერთი მემკვიდრე უმდიდრესი კაცის ქალიშვილზე დანიშნა.

დადგა ქორწილის დღე. ახლო ნათესავებსა და თანატოლებთან ერთად პატარძლის წამოსაყვანად, რა თქმა უნდა, ბაჩაჩოც გაჰყვა ძმას. საღამოს წვეულებამ დიდებულად, მშვიდობიანად ჩაიარა.

მეორე დილით სიდედრმა ახალგაზრდა სიძეს უძვირფასესი ტანსაცმელი მიართვა. სთხოვა, ჩაეცვა. ამის გამგონე ბაჩაჩო მივარდა ძმას, ხელიდან გამოგლიჯა ტანსაცმელი და ტირილით შეეხვეწა:

– არ ჩაიცვა, ძმაო, არ ჩაიცვა! არ ჩაიცვა!

ყველა გაოცდა, იფიქრეს – ხომ არ გაგიჟდაო! ძმის სიდედრმა იწყინა:

– რა მოგივიდა, ქალო, რას ჰგავს შენი საქციელი?!

ბაჩაჩომ ხელი დასტაცა ძმის შარვალ-ხალათს, მოსახამს, წაღებს და აგიზგიზებულ ბუხარში დაბერტყა. ტანსაცმლიდან უზარმაზარი შავი გველები გადასრიალდნენ და ცეცხლში ჩაცვივდნენ. დამ მოხვია ხელი ტანსაცმელს და ძმას მიაწოდა – ახლა შეგიძლიაო ჩაცმა.

– ჩემო დაიკო! – ჩაიხუტა იმედამ და როცა განმარტოვდნენ, შეეხვეწა: – რა იცოდი ჩემი განსაცდელის შესახებ, როგორ მიხსენი?! მიამბე!

ბაჩაჩო უარობდა. იმედა არ ეშვებოდა. გოგონას ძმა ძალიან უყვარდა, მის დაჟინებულ თხოვნას თავი ვერ დააღწია და საიდუმლოს გამჟღავნება გადაწყვიტა. მანამდე ჯიბიდან ბეჭდის თვალი ამოიღო და ჩასჩურჩულა:

– ელისაბედ, საბა, მიშველეთ!

ძმას ყველაფერი უამბო. დაასრულა თუ არა, ქვად იქცა!.. უსაზღვრო იყო იმედას წუხილი! თავში წაიშინა ხელები:

– ვაიმე, საყვარელო დაო! მე დაგღუპე! მე გაიძულე აღთქმა დაგერღვია! შენ კი... შენ კი ჩემზე ზრუნავდი!.. რამდენჯერ მიხსენი სიკვდილისაგან! რა ვქნა ახლა?! რაღა ვქნა?!...

ვიდრე ძმა ვიშვიშებდა, ელისაბედის თითზე ბეჭედი განათდა და ალაპარაკდა:

– ბაჩაჩო განსაცდელშია! ბაჩაჩო განსაცდელშია! წავედით! პონტო მოიცდის!

ელისაბედმა საბას ხელი ჩასჭიდა და ბეჭედმა ბავშვები ცაში აიტაცა. ცხრა მთა და მინდორი თვალის დახამხამებაში გადაატარა და მეფისწულის გვერდით დასვა.

– მიშველეთ! მიშველეთ! – ვაებით შეხვდა მათ იმედა, – ჩემმა დაიკომ დაღუპვას გადამარჩინა და მე რა ვქენი?!.

ელისაბედმა და საბამ ბიჭი დაამშვიდეს,რაც იცოდნენ ამის შესახებ ყველაფერი უამბეს და ბედისმწერლის ნების აღსრულებაში დახმარება აღუთქვეს.

ბეჭედს სამზეოში წაყვანა სთხოვეს – მზის პირნაბანი წყალი ხომ უნდა ეშოვათ! გაქვავებულ ბაჩაჩოს მოეფერნენ; სკაფანდრები ჩაიცვეს (კოსმოსში მიფრინავდნენ!), ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და მზის ქვეყანაში ლანდის უსწრაფესად აფრინდნენ.

სამზეო

სამზეოში ყველაფერი ოქროსფერში შერეული საოცარი სითეთრით კაშკაშებდა. მაღლობზე ალმასის კოშკიანი მზის სასახლე ბრწყინავდა. ვერ გაარკვევდით, რამდენსართუ-ლიანი იყო, რადგან წვერი ზეცაში, თვალუწვდენელ სივრცე-ში, იკარგებოდა! ხედვა სადამდეც მისწვდებოდა, ჩანდა, ყველა ფანჯარა ბაჯაღლო ოქროს-ფერი იყო; აივნებს კი ევლე-ბოდნენ ცისარტყელები, რომელთა ბოლოები სა-სახლის კედლებზე ციმ-ციმა ვარსკვლავებით მთავრდებოდა; კედლე-ბი, წყალში რომ მზე აირეკლება, ისე ლივ-ლივებდნენ სხვადასხ-ვაფრად. ამ მშვენიერებით აღფრთოვანებულებმა ნაბი-ჯი შეანელეს, ალმასის კოშკს ააყოლეს თვალი და კიდევ უფრო გაოცდნენ, ისე ახლოს ჩანდნენ პლანეტები! საბა-სა და ელისაბედს ძალიან უყვარდათ ასტრონომია, მიუხედავად იმისა, რომ პატარები იყვნენ, ცის სხეულებზე ბევრი გაეგონათ, წაე-კითხათ. გაახ-

სენდათ, როგორ აცნობდა ბებო „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულ მნათობებს.

– აი,ელ, შეხედე! მერკური, ანუ ოტარიდი -მზესთან ყველაზე ახლოს მყოფი, ჭკუისა და მოხერხებულობის მფარველი, ადამიანის ბედის გამგებელი! – აღტაცებული გაჰყვიროდა საბა.

– ეს ვენერაა, მეც ვიცანი, საბ, მეც!დაიცა, მეორე სახელი რა ჰქვია?! როგორ გვიხსნიდა ბებია?!... გამახსენდა! გამახსენდა! ასპიროზი, იგივე ცისკრის ვარსკლავი – სილამაზის, სიყვარულის, ბედიწერის პლანეტა.

– ესეც მშობლიური დედამიწა! -საუბარში ჩაერთო იმედა.

– რა ლამაზია და ცისფერი! – ერთად აღმოხდა ყველას.

დედამიწა ისე მეტისმეტად ახლობელი, ისე მშობლიური აღმოჩნდა, რომ მის დანახვაზე სამივეს ცრემლები მოერია... პლანეტების თვალიერება განაგრძეს.



– ეს მარსია, – წამოიძახა საბამ, – იგივე მარიხი. როგორ ელვარებს სისხლისფრად! ნამდვილი ომის პლანეტაა. ეს კი იუპიტერია, ანუ მუშთარი. იგი ბედნიერების მომცემ, სამართლიან მნათობადაა მიჩნეული.

– რა წითელი თვალი აქვს! თითქოს გვემუქრება! – გააგრძელა ელისაბედმა.

– ბავშვებო, აღფრთოვანებული ვარ თქვენი ცოდნით! ამდენი რამ მოზრდილებმაც კი არ იციან! გამოგიტყდებით, მეც მიყვარს ასტრონომია. აი, სატურნი, იგივე ზუალი. ძველად მას ასტროლოგები უბედურების მომტანად თვლიდნენ და შავი ფერის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. სინამდვილეში როგორი კაშკაშა აღმოჩნდა!.. აქვეა ურანი, ნეპტუნი, პლუტონი...

– გამარჯობა, მთვარევ, როგორა ხარ?! – ხელი დაუქნია ელომ დედამიწელების გაბადრულ მეგობარს.

ისე ახლო იყო ყველა პლანეტა, რომ აშკარად ხედავდნენ მათს ზედაპირზე არსებულ კრატერებს, ბორცვებს, მთებს, ამომშრალ ხეობებს... სამწუხაროდ, კოსმოსის დაწვრილებით დასათვალიერებლად ახლა არ ეცალათ, სხვა დიდი მიზანი ჰქონდათ და საჩქაროდ შევიდნენ მზის სასახლეში. ხელი არავის შეუშლია – მზის სახლის კარი ხომ ყველასთვის მუდამ ღიაა.

ჩვენი დიდებული მნათობი დედამიწაზე სამოგზაუროდ წაბრძანებულიყო. დედამისი შემოეგებათ. ძალიან მოეწონა სტუმრები და, მოსვლის მიზანი რომ შეიტყო, რა თქმა უნდა, დახმარებაც აღუთქვა.

მზის დაბრუნების დროც დადგა. დედამ ჩვენი გმირები მზეს მოარიდა, რომ შვილის სიმხურვალეს არ დაეწვა. მიუხედავად იმისა, რომ ბინდდებოდა, ოქროსფერი მნათო-

ბის შემოცურებისთანავე ყველაფერი უზომოდ აკაშკაშდა. მზე დედას ალერსიანად მიესალმა და მის მიერ მოწოდებულ ოქროს თასში, ოქროს სურიდან დასხმული წყლით პირი დაიბანა. მიზეზი არც ჰკითხა, იცოდა, დედა ამას მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ სხვათა დასახმარებლად რომ აკეთებდა (აბა მზე თავისით ვერ დაიბანდა პირს?!)

მზემ დაიძინა. დედამ შვილის პირნაბანი წყალი სტუმრებს ვერცხლის სურით გადასცა. ახალგაზრდები აღუწერელი მადლიერებით გამოემშვიდობნენ გულკეთილ ქალბატონს. იმედას სიდედრ-სიმამრის სახლში მალე ჩაფრინდნენ, სკაფანდრები სიარულშივე გადაიძვრეს. შეშფოთებული მეფე, დედოფალი, პატარძალი და მისი მშობლები, ახლობლები, მსახურები ეზოში წრიალებდნენ. კოსმოსიდან მოსულებმა გაქვავებულ ბაჩაჩოს მიაშურეს და მზის პირნაბანი წყალი თავიდან ფეხებამდე გადაავლეს! გოგონამ თვალი გაახილა, ირგვლივ შემოკრებილი საყვარელი ადამიანები რომ დაინახა, გაიღიმა, უცბად წამოხტა და საერთო ყიჟინსა და ტკრციალს შეუერთდა! სიცოცხლემ, სიკეთემ, მეგობრობამ იზეიმა! უსაზღვროდ ბედნიერი დღეები დაუდგათ!

იმედა და მისი ახალშერთული ცოლი გურიეს სახელმწიფოში დაბრუნდნენ. ზრაპრული ქორწილი გადაიხადეს, დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი – ყველა დაპატიჟეს.

ბაჩაჩოსა და ელისაბედს, იმედასა და საბას ერთმანეთი არ ეთმობოდათ, მაგრამ რა უნდა ექნათ! ზოგი უნდა დარჩეს, ზოგი უნდა წავიდეს... ასეთია ცხოვრება!

პონტო

ელისაბედი და საბა პონტოსაკენ მიმავალ გზას კვ-ლავ დაადგნენ! უფრო ზუსტად, ბეჭედმა მიაფრინა იმ ადგილამდე,სადაც ბაჩაჩოს გამო მოგზაურობა შეწყვიტეს. პონტოს ზღვა ყოველთვის აღაფრთოვანებდათ, ბებოსთან ერთად ყოველ ზაფხულს ისვენებდნენ მის სანაპიროე-ბზე, მაგრამ მარტო არასოდეს ყოფილან. თანაც ახლა ზემოდან დაჰყურებდნენ წყლის უზარმაზარ სივრცეს და აღტაცებას სიმღერით გამოხატავდნენ...

ზღვა საოცრად მშვიდი იყო...ნიავისაგან აქოჩრილი ტალღები მიყოლებით მილივლივებდნენ ნაპირისაკენ, ბავშვების ხმას აკომპანიმენტს ადევნებდნენ... უზარმაზ-არი ვეშაპები, ზოგი – ჭრელი, ზოგი – შავი, ზოგი – თეთ-რი, ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ. დროდადრო თავდაყირა ჩაეშვებოდნენ და ვეებერთელა მერცხალა კუდს ზედაპირზე ამოზიდავდნენ, ხან ცხვირს ამოჰყოფდ-ნენ და წყლის უხვ შადრევანს ამოიქშენდნენ... ათასგვარი ზომისა და შეფერილობის თევზები, ზოგი – ცალკე, ზოგი – გუნდ-გუნდად, ქარავნებად დაჰქროდნენ...ცხენთევზე-ბის დანახვამ ძალიან გაამხიარულა ბავშვები, გეგონე-ბოდათ, კი არ მიცურავენ, სკუპ-სკუპით გადაადგილდ-ებიანო... რვაფეხები საცეცებს კუმშავდნენ, შლიდნენ, კუმშავდნენ, შლიდნენ და დარბაისლური სიდინჯით მის-რიალებდნენ. ყველაზე დიდი აღტაცება დელფინების და-ნახვამ გამოიწვია. მათაც შენიშნეს ბავშ-ვები და ჭყლოპინს უმატეს. გაღიმებული სახით (დიახ, დიახ!) ხტებოდნენ ტალღები-დან, ცისკენ მიიწევდნენ და ელისაბედისა და საბას დაშვებულ ხელებს თავს უხახუნებდნენ,

ეალერსებოდნენ!...თოლიები მათ შორის დაფრინავდნენ, მერე, ტალღებში როცა საკბილოს შენიშნავდნენ, ისარივით ჩაერჭობოდნენ ზღვაში და ნისკარტში თევზგაჩრილნი, კვლავ ცაში აიჭრებოდნენ, ნადავლს თვალის დახამხამებაში სანსლავდნენ და კვლავ ზღვას უბრუნდებოდნენ.

კარგა ხანს ითამაშეს ცისა და ზღვის ბინადრებთან ელისაბედმა და საბამ. მერე მოშივდათ და ნაპირზე, ნაძვნარში, დაეშვნენ.

ბეჭედმა სუფრა გაშალა. ბავშვები დანაყრდნენ და კვლავ განაგრძეს გზა, ამჯერად, მდინარე რძისას ნაპირს აუყვნენ. იგი ისე სწრაფად მოჰქუხდა, რომ თეთრი ქაფი წყლიდან ამოშვერილ ლოდებს, ქვებსა და ნაპირებს რძესავით აჩნდა.

ლაზიეთში

ბავშვები სანაპიროს ჩაუყვნენ. ქვაზე მჯდარ მდიდრულად გამოწყობილ, რაინდული გარეგნობის ვაჟს წააწყდნენ. ახალგაზრდა მოწყენილი ჩანდა. პატარები თბილად მიესალმნენ. ისიც დაინტერესდა.

უცნობი ლაზიეთის სახელმწიფოს უფლისწული აზაზუ აღმოჩნდა. ერთი თვეა, რაც მამა გარდაცვლოდა. გულის გადასაყოლებლად, როგორც მიღებულია მამაკაცებში, ნადირობა გადაეწყვიტა. თან ახლდნენ მეგობრები, მარეკები, მგეშავები – მეძებარი ძაღლებით. ნადირობა-ნადირობით ერთ ტრიალ მინდორზე გასულან. ზურმუხტისფერ, ყვავილებით მოჩითულ ხასხასა ბალახში მოფარფატე ჩიტებს შორის უცბად მზეთუნახავი ქალი დაუნახავთ. იგი ყვავილიდან ყვავილზე ნიავივით მსუბუქად დაჰქროდა. ხან ერთთან დასკუპდებოდა ფუტკარივით, ხან – მეორესთან... ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, რომ თვალს ვერ მოაშორებდით! მონადირეებსა და უფლისწულს ქალის დაჭერა მოუსურვებიათ, ირემივით ალყაში მოუმწყვდევიათ, მაგრამ ქალი მათ თავზე აფრენილა, მოშორებით დაშვებულა და კვლავ ყვავილებზე დაუწყია ნიავივით ქროლა. ისევ მიპარვიან მონადირეები, მაგრამ – ამაოდ... ქალი ისევ დასხლტომიათ ხელიდან და ფარფატით გაფრენილა ყვავილიდან ყვავილზე...დევნაში მხლებლებს ცხენები დახოცვიათ და იძულებულნი გამხდარან, შეჩერებულიყვნენ. მხოლოდ უფლისწულის რაში დარჩენილა ცოცხალი და ქალის დაჭერის სურვილიც არ განელებია. თავისიანებს უთხოვიათ, სანამ უარეს ფათ-

ერაკს გადაეყრებოდა, შინ დაბრუნებულიყო, მაგრამ ვერ დაუთანხმებიათ! მარტო გაუგრძელებია დევნა...ბოლოს მისი ცხენიც უსულოდ დაცემულა!..

ზის ახლა ამ უცხო მხარეში, უმეგობროდ, უმსახუროდ, უცხენოდ... ზის და ფიქრობს, საით და როგორ წავიდეს... ქალი ხომ დაკარგა, სამშობლოსაკენ მიმავალი გზაც ვერ გაურკვევია... ამიტომ ყოფილა ასე სასოწარკვეთილი!...

ელისაბედმა და საბამ დაამშვიდეს (ხომ იცით, როგორ ეხერხებოდათ) და დახმარება აღუთქვეს. აზაზუმ არ აწყენინა პატარებს, გაკვირვება აშკარად არ გამოთქვა და გაუღიმა, გულში კი გაიფიქრა – ამათ როგორ უნდა მიშველონო?!...თუმცა, ჯადოსნური ბეჭდის არსებობა და მისი დახმარებით ადამიანთა ოცნებების რეალობად ქცევის ფაქტები რომ შეიტყო, იმედიც გაუჩნდა!... უფალმა

არ გამწირა და ეს ანგელოზები გამომიგზავნაო... მარჯვენა გაუწოდა. მათაც სიამოვნებით დაჰკრეს პაწაწუნა ხელის გულები. მერე იმ მიმართულებით გააგრძელეს გზა, საითაც მოფარფატე მზეთუნახავი თვალს მიჰფარებია... მიდიოდნენ, გარემოს ათვალიერებდნენ და თავგადასავლის დარჩენილ დეტალებს უყვებოდნენ ერთმანეთს.

უცბად სამ მოჩხუბარ ჭინკას წააწყდნენ. თითო მეტრის სიმაღლისა იქნებოდნენ. ტანი ბალნით (ერთს – წითლით, მეორეს – შავით, მესამეს – ყვითლით) ჰქონდათ დაფარული. პატარა თავზე სამკუთხედის ფორმის ყურები აცქვეტოდათ, თხელი დრუნჩი ვერ ფარავდა გრძელ ყვითელ კბილებს, მით უმეტეს, ახლა, როცა გაბრაზებულნი იყვნენ. უკანა ფეხებზე იდგნენ, წინა კიდურებით ერთმანეთს გამეტებით ურტყამდნენ, გრძელი კლანჭებით კაწრავდნენ, გლეჯდნენ, ყურებსა და კუდზე კბენდნენ: ხან ერთი გადადიოდა ყირაზე, ხან – მეორე, ხან გორგალივით გორავდნენ, ხან ისარივით იჭიმებოდნენ. მათი ბზრიალ- ტრიალისაგან მიწისა და ბალახის კორიანტელი ხის წვეროებამდე აღწევდა.

ელისაბედმა და საბამ ყელზე ჩამოკიდებული ჯვრები ერთდროულად ამოსწიეს, ავსულებს მიუშვირეს. ჭინკები შეჩერდნენ, მიახლოებულნი შენიშნეს.

– რა გჭირთ, რა გაჩხუბებთ?! ძმებს ჰგავხართ და არ გეკადრებათ! – შეარცხვინა საბამ.

– რა გაქვთ გასაყოფი? – დაუმატა ელისაბედმა.

– თქვენ ვის დაჰკარგვიხართ! რა თქვე-

ნი საქმეა! – დაიჭყიპინა ერთმა და უწესოდ გადააფურთხა.

– გასაყოფი სწორედაც გვაქვს! – დასჭყივლა მეორემ და უკანალი მოურიდებლად მოიფხანა.

– ძმები ვართ და მამისაგან სამი ძვირფასი ნივთი დაგვრჩა: სრიალა ხალიჩა, სალესი ქვა და კოკა, – დაიჩხავლა მესამემ.

– ვერ გაგვინაწილებია! – ყურისწამღები ხმით დაიჭყიპინა ისევ პირველმა.

– სამივე ჯადოსნურია და მოგვწონს! – დაიჭყავლა მეორემ.

– ხალიჩა მისრიალებს, სალესი ქვა კლდეს ლიპავს, კოკა ზღვას სვლეპს. სამივე გვჭირდება ავი საქმეების ჩასადენად. ცარიელი ხელებით ადამიანებს ვერ გაჯობებთ, ჭკვიანები ხართ! – ჩხაოდა მესამე. ყურთასმენა აღარ იყო! მერე მიუბრუნდნენ ერთმანეთს და კვლავ ჩხუბი განაგრძეს.

აზაზუ, ელისაბედი და საბა ცოტა ხნით განმარტოვდნენ. მუხის უკან დადგნენ, ბეჭედს მიმართეს რჩევისათვის. რჩევა მიიღეს თუ არა, ჭინკებისაკენ გაემართნენ, რომლებიც ერთმანეთს კვლავ კაწრავდნენ, გლეჯდნენ, ფლეთდნენ.

– მოიცათ, მოიცათ! – სცადა შეჩერება საბამ.

– წადით მინდვრის ბოლოში, დადექით გვერდიგვერდ, – მიმართა უწმინდურებს აზაზუმ, – ნიშანს რომ მოგცემთ, გამოიქეცით, რომელიც მოასწრებს ჩვენთან, სამივე ნივთს იმას ვარგუნებთ.

ჭინკებს გაუხარდათ: სამართლიანიაო და მინდვრის ბოლოსკენ გაიქცნენ... ჩვენმა გმირებმა სწრაფად აიღეს სალესი ქვა, კოკა, შედგნენ ხალიჩაზე და გასრიალება უბრძანეს (მიუღებელია სხვისი ნივთების აღება, მაგრამ ბოროტებას ხომ უნდა შებრძოლებოდნენ ?!). ხალიჩა ადგილს მოსწყდა. ჭინკები აკივლდნენ, აჭყიპინდნენ, აჩხავლდნენ... ხტოდნენ, იწყევლებოდნენ, ქვებს ისროდნენ, მაგრამ ვერაფერი ვერ მოახერხეს, პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ.

ხალიჩა მისრიალებდა და მისრიალებდა. მალე მინდვრის ქალს დაეწივნენ! თხელ, აშოლტილ ტანს ფიფქივით თეთრი და სიფრიფანა კაბა შემოკვართოდა, ქარვისფრად მზემოკიდებულ უნატიფეს ნაკვთებიან სახეს გიშრისფერი თმა უმშვენებდა, მაღალ ფეხებზე ძველბერძნული სტილის, წვივებზე სალტეებშეკრული თაფლისფერი სანდლები ეცვა. მიწაზე ფეხს არც აბიჯებდა, ოდნავ შეეხებოდა ცერის წვერებით და ჰაერში ნარნარით აიწევდა. აზაზუს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა! ქალმა რომ შენიშნა, მიახლოვდებიანო, გაუღიმა, მაგრამ ისკუპა და გაასწრო. ხან ფეხის წვერებით მირბოდა, ხან მიფრინავდა. სრიალით მისდევდა ხალიჩა... მინდორი უკან მოიტოვეს, უზარმაზარ დაკბილულ კლდეს მიადგნენ. ქალმა ბუმბულივით გადაუფრინა. აზაზუმ სალესი ქვა მოისროლა და კლდე მოილიპა. ხალიჩა ზედ ასრიალდა და ქალს მიჰყვა.

ასე გადაიარეს ცხრა მთა, ცხრა მინდორი, ცხრა ტყე და ერთ ზღვას მიადგნენ. ქალმა მერცხალივით გადაუფრინა. ხალიჩას ცურვა არ შეეძლო და აზაზუმ ზღვას სასწრაფოდ მიუშვირა კოკა. ამ უკანასკნელმა თვალის

დახამხამებაში ამოაშრო წყალი. გადაისრიალა ხალიჩამ ფსკერი და ისევ დაედევნენ ქალს.

კიდევ დიდხანს იარეს, იფრინეს და ცამდე აზიდულ მთას მიადგნენ. მთის წვერზე ხუთსართულიანი სასახლე იდგა. მაღალი და სქელი გალავანი ერტყა. ყოველი სართული და გალავნის ზედაპირი ისეთი წვეტიანი, ისეთი წამახული ქონგურებით ჰქონდა დაკბილული, რომ ჩიტიც ვერ მოიკიდებდა ფეხს. ეს მინდვრის ქალის სახლი აღმოჩნდა.

ქალის მიახლოებისთანავე ჩუქურთმებიანი მძიმე რკინის კარი გაიღო. ის იყო, უნდა შეესწრო, რომ ელისაბედმა, საბამ და აზაზუმაც იმარჯვეს – შეჰყვნენ. კარი როგორც კი დაიხურა, ქალი ჩვეულებრივად დადგა ფეხზე, მიუბრუნდა აზაზუს, გადაეხვია და უთხრა:

– უფალს როგორ მეუღლესაც ვთხოვდი, ისეთი მარგუნა! ეს შენა ხარ!

მერე ოთახში შეიპატიჟა ყველა და თავგადასავალი უამბო:

– მზისია მქვია. ბოროტმა ჯადოქარმა ჩვენი სასახლისა და დედულ-მამულის ხელში ჩაგდება მოინდომა. ჩემები შეებრძოლნენ. დედა, ძმები და მსახურები დამიხოცა... დაჭრილმა მამამ, ვიდრე სულს განუტევებდა, ვერცხლის ხანჯალი გულში სასიკვდილოდ ჩასცა. ჯადოქარმა ჩემი დაწყევლა მოასწრო: გამრავლება არ ეღირსოს, თუ ვაჟი სახლის გარეთ შეეხოს, უფრო მეტიც, ორივე მოკვდესო... ჩემი საცხოვრებელი კი, ხომ ხედავთ, სად დგას, ძეხორციელი ვერ მომაგნებს... კიდევ კარგი, კეთილმა ფერიამ დაობლებულს ხელი გამომიწოდა, გამზარდა, მაგრამ ძლიერი ჯადო მქონდა გაკეთებული და მხოლოდ ის შეძლო, რომ ფრენა მასწავლა... ჩემთვის ესეც დიდი შვება იყო... მას შემდეგ სადღა არ დავფრინავ... ვოცნებობ, ჩემი სულის მეგობარს, ცხოვრების თანამგზავრს შვხვდე!... წყევლის თანახმად, ჩემი საქმრო გახდებოდა ის, ვისაც ჩემი დევნა არ მობეზრდებოდა და სახლში შემომყვებოდა. ბევრმა მდია, მაგრამ ბეზრდებოდათ, ან მიზნისთვის ბრძოლის უნარიც არ ჰქონდათ!... მხოლოდ შენ შეძელი ბოლომდე გეერთგულა! ამიტომ ვაღიარებ: მე შენი საცოლე ვარ!

წამოიყვანა აზაზუმ მზისია საკუთარ სასახლეში და ჯვარი დაიწერა. ქორწილს, რა თქმა უნდა, ელისაბედი და საბაც ესწრებოდნენ!

ჩირგუეთში

ახალი მეგობრის შეძენით ბედნიერმა და-ძმამ მხიარულად ჩაირბინა ფერდობი და ჭრელაჭრულა მინდორზე დაეშვა. თვალსაწიერზე დაბურული ტყე გამოჩნდა. მინდვრის ბოლოს კი მხიარული წყარო მორაკრაკებდა. ნაპირზე მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი ათლეტური აღნაგობის მზეჭაბუკი მიმოდიოდა. რაღაცაზე ხმამაღა მსჯელობდა.

– ღმერთო, მხოლოდ შენი იმედი მაქვს, გთხოვ, გამოსავალი მაპოვნინო! სანამ უნდა ვიყო დაჩაგრული?! სუსტი და ლაჩარი რომ არა ვარ, შენც კარგად იცი! გაგვანადგურა სოფლის ბატონმა! ის ხომ ადამიანი არ არის! ხარბი, ბოროტი, გაუმაძღარი, დაუნახავი, გულქვა ნადირია!...რა ვუყო დედაჩემს, სხვაგან საცხოვრებლად არ მომყვება, თორემ იქნებ უკეთესი ადგილი მეპოვა... როგორ ვუშველო დედას?!...

ბავშვები მიუახლოვდნენ. გამარჯობა უთხრეს. ისიც თავაზიანად მიესალმა. იქვე, აყვავებული ვაშლის ხის ძირში, დასხდნენ. ერთმანეთის ამბავი გამოიკითხეს.

ვაჟი ქვრივი ქალის ერთადერთი შვილი, სახელგანთქმული მონადირე გორდა აღმოჩნდა. ნადირობით არჩენდა დედას, ისიც ძლივძლივობით, რადგან სოფელს მესაკუთრე

სავია ჩაგრავდა, ნანადირევი ხორცის 90% მას მიჰქონდა.

ერთხელ გორდამ საოცარი, სხვადასხვაფრად დაწინწკლული ირემი მოინადირა. გაატყავა და დედას უთხრა:

– მსგავსი არაფერი მინახავს! ბატონს მივართმევ, იქნებ ყმობიდან გაგვათავისუფლოს!

– პირიქით, შვილო, ასეთ ძვირფას საჩუქარს რომ დაინახავს, მეტს მოგთხოვს! – გააფრთხილა დედამ.

გორდამ არ დაუჯერა და მემამულეს საჩუქრით ეწვია. სავია ზუსტად ისე მოიქცა, როგორც დედამ ივარაუდა!

– შენ მართლა რა კარგი მონადირე ყოფილხარ! ამიერიდან მხოლოდ ჩემთვის ინადირებ! ამ ირმის კი არა მხოლოდ ხორცი, ტყავიც ჩემია! – უბრძანა ბიჭს.

რაღა უნდა ექნა! იძულებული იყო, დამორჩილებოდა! ამის შემდეგაც გააგრძელა ოჯახის ჩაგვრა. გულქვა მფლობელი დედისთვის ერთ კილოგრამ ხორცს არ ატანდა, მხოლოდ თავ-ფეხს მიუგდებდა...

გორდას თანასოფლელი მშვენიერი გოგონა უყვარდა, მაგრამ სიღარიბის გამო ჯერ ვერ ქორწინდებოდა. სოფელში ბევრი კარგი გასათხოვარი ქალი იყო, მაგრამ მოურავმა მაინცდამაინც მონადირის რჩეულს დაადგა თვალი. გოგონამ მოურავი უარით გაისტუმრა – გორდა მიყვარსო. ბატონის

ლაქია ამან გააგულისა, გორდას დაღუპვა გადაწყვიტა. მივიდა სავიასთან და უთხრა:

– ამ არაჩვეულებრივ ტყავს სათავსოდ გველეშაპის ძვლებისაგან აგებული პატარა სახლი შეეფერება. ხომ გყავს დიდებული მონადირე, ჰოდა, დაავალე, რაღას უცდი.

სავიას მოურავის აზრი მართლა მოეწონა. მოაყვანინა ბიჭი და სურვილის აღსრულება უბრძანა.

– აი, ამიტომ ვარ აღელვებული, სასოწარკვეთილი, არ ვიცი, როგორ შევასრულო ეს დავალება! -დაასრულა თხრობა გორდამ.

ელისაბედმა და საბამ დაამშვიდეს, ბეჭედი აჩვენეს, მისი ჯადოსნური შესაძლებლობები გააცნეს და წარმატების რწმენით აავსეს. მერე ბებოს საჩუქარს აკოცეს. ასე აფხიზლებდნენ ბეჭედს, რადგან ამ უკანასკნელს (თუ მათ არ ეხმარებოდა) ეძინა, ძალას იკრებდა მომდევნო რთული დავალებების შესასრულებლად.

– ჩვენო თილისმავ და მეგობარო, როგორ მოვიქცეთ?!

ბეჭედი აჩურჩულდა. სამივე გულდასმით უგდებდა ყურს და ნათქვამს იმახსოვრებდა. გადაწყვიტეს, დარიგებისამებრ ემოქმედათ.

ბიჭი ბატონთან დაბრუნდა და უთხრა:

– გველეშაპის მოკვლას და მისი ძვლებისაგან ოთახის აშენებას მაშინ შევძლებ, თუ მოურავი თავისი ფულით (არა სხვისით!) მიყიდის ოც უღელ ხარკამეჩს, დამიქირავებს ოც მეურმეს, ას მუშას, სამ აირწინაღს და ყველაფერს ნაღდი ფულით გადაიხდის (გორდამ იცოდა, მოურავი სავიასაც ატყუებდა, გლეხებსაც და

არაწესიერი გზით იგროვებდა ფულს)!

პირკატა ეცა მოურავს, მაგრამ სად წაუვიდოდა ბატონის ნება-სურვილს?! იმავე დღეს შეასრულა მოთხოვნა.

გორდა დედას დაემშვიდობა (რომ არ ენერვიულა, ირემზე სანადიროდ მივდივარო, აუხსნა. ტყუილი ასეთ შემთხვევაში გამართლებული იყო). საბა და ელისაბედი, რა თქმა უნდა, თან გაიყოლა. აბა, უიმათოდ საქმე გაკეთდებოდა?! ერთად დაადგნენ გზას. მეურმეები ურმის კოფოებზე წამოსკუპდნენ, მუშები და ახალგაზრდები ერთ ურემზე მოთავსდნენ და მგელკუდას მთისაკენ გასწიეს. გველეშაპი იქ ბუდობდა.

ერთი კვირის სიარულის შემდეგ საშინლად მყრალი სუნი ეცათ. ეს იყო მაუწყებელი იმისა, რომ მგელკუდას მთას უახლოვდებოდნენ. მთის ძირში, ტრიალ მინდორზე, ბალახის ნამცეციც არ ჩანდა, სამაგიეროდ, უხვად იყო მიმოფანტული უამრავი ზომისა და ფორმის გამოხრული ძვლები, ჩონჩხები... აქა-იქ მიწურებიც მოჩანდა, ალბათ, უწმინდურის ნანადირევის სამარაგო საწყობები იყო. გორდამ და ბავშვებმა აირწინაღები აიფარეს, რომ არ მოწამლულიყვნენ. გზა უზარმაზარი ქვაბულისაკენ განაგრძეს, სადაც გველეშაპი ღამეს ათენებდა. რამდენიმე საათის სვლის შემდეგ დაინახეს, რომ ურჩხული შესასვლელთან გაწოლილიყო. ეძინა.

გორდამ მეურმეები, მუშები და ხარ-კამეჩი ერთ-ერთ ცარიელ საწყობში დამალა. თვითონ, ბავშვებთან ერთად, ბეჭედმა გააუჩინარა. ამიტომ გველეშაპთან მიახლოება ადვილად შეძლეს. მხეცისა და ქვეწარმავლის ნაერთი ისეთი გრძელი იყო, რომ კუდი სად უთავდებოდა, არ ჩანდა.

ჩვენმა გმირებმა მოხერხებული პოზიცია დაიკავეს, გორდამ კაპარჭიდან ისრები ამოიღო, ელისაბედმა წამახულ წვერს ბეჭედი შეახო, უფრო რომ გაებასრებინა. ქვრივის ვაჟმა ისარი მოზიდა, კარგად დაუმიზნა და სტყორცნა! პირველმა ისარმა ერთი ყურიდან მეორეში გაუარა. ურჩხული მთელი სხეულით შეირყა, თვალები გაახილა, პირი დააღო, ყურისწამღებ ღრიალთან ერთად საზარელი მყრალი ჰაერი და ცეცხლის ნაკადი ამოუშვა, კუდი მიწას ისე მძლავრად დაჰკრა, რომ ყველაფერი შეზანზარდა, წვრილფეხა ცხოველები გულგახეთქილები შეცვივდნენ სოროებში, ფრინველები ფოთლებში მიყუჩნდნენ...გველეშაპი თავს

აქეთ-იქით ახეთქებდა, წინა თათებით ისარს ექაჩებოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ იძრობდა, სისხლი კი, აქოთებული, შავი საზიზღარი სითხე, ნაკადულად მიედინებოდა, მიედინებოდა და ყველაფერს შხამავდა. ჭაბუკმა მეორე ისარი მოზიდა და პირდაპირ გულში სტყორცნა! ურჩხული ერთხელ კიდევ შეირყა და თანდათან დასუსტდა... ბოლოს ძალა სულ გამოელია და თავი გრუხუნით დაანარცხა მიწას...

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა...მერე თანდათან ამოძრავდნენ ფრინველები და ცხოველები – ყველამ და ყველაფერმა თავისუფლად ამოისუნთქეს. გორდა და მისი მეგობრებიც გამოვიდნენ სამალავიდან, გამარჯვების ყიჟინა დასცეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ. მერე გორდამ მუშებს უხმო, გველეშაპისთვის ხორცის გაცლა დაავალა, თან ისე, რომ ძვალი არ დაეზიანებინათ. მეურმეებიც მიეშველნენ. სამი დღე-ღამე შრომობდნენ. ხორცით ტურა-მგლები, აფთრები, გიენები, სვავები და ყვავ-ყორნები გაახარეს; ჩონჩხი სახსრებში ფრთხილად გადახსნეს, ოც ურემზე დააწყვეს და მემამულის ეზოში მიზიდეს. საბა და ელისაბედი ისევ უჩინონი გახდნენ.

სავიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ხოლო მოურავი გულზე გასკდა! ბატონის ცოლ-შვილი, სტუმრები და მსახურები გაოცებისაგან პირღია იდგნენ! სავია ბავშვივით დახტოდა და გაჰყვიროდა:

– ახლა პატარა სახლი მინდა, სახლუკა, სახლუკა! პაატაარაა, პააატაარაა!



ქვრივის შვილმა მილოცვები რომ მიიღო, მემამულეს მიმართა:

– მოურავმა საკუთარი ფულით



დამხმარე ხელოსნები დამიქირავოს და ოთახს სამ კვირაში ავაშენებთ.

მოურავი ბოღმისაგან იღრჩობოდა, მაგრამ რაღას იზამდა! ხელოსნები დაიქირავა. გორდამ ნახაზი შეადგინა და მისი ხელმძღვანელობით შენება დაიწყეს. თუ რამე არ მოეწონებოდა, დააშლევინებდა და ხელახლა აგებინებდა.

ორ კვირაში მშენებლობა დასრულდა. პატარა შენობა არაჩვეულებრივი გამოვიდა: კედლები ღია ქარვისფრად ბზინავდა. ალაგ-ალაგ მოზაიკით შესრულებული პეიზაჟები ჩაესვათ. კედელთა კუთხეებში ირმის რქები დაემაგრებინათ. კარის პირდაპირ, ცენტრალურ კედელზე გადაჭიმული ირმის ტყავი ხომ საოცრად ალამაზებდა იქაურობას. ჭერად ფერად-ფერადი შუშა გამოეყენებინათ. მნახველები მონუსხულივით იდგნენ და თვალს ვერ აშორებდნენ ამ ზღაპრულ სილამაზეს.

მოურავს მზეჭაბუკის წარმატება ყელში ეჩხირებოდა. თავს იმტვრევდა, როგორ მოეშორებინა. მოიფიქრა და მივიდა ბატონთან:

– ცხრა მთის იქით რომ იადონი და ბულბული ბუდობენ, ისინიც რომ ამ ოთახში გყავდეთ, რა შორს გაგივარდებათ სახელი, რამდენი მნახველი მოვა და შესაბამისად უამრავი ფული შემოგივათ!

სავია ამ აზრით მოიხიბლა და სასწრაფოდ იხმო გორდა. ისევ დაღონდა ვაჟი. იცოდა, იადონსა და ბულბულს სამი უზარმაზარი არწივი დარაჯობდა, უძლიერესი და სისხლისმსმელი მტაცებლები. რას იზამდა, დაეთანხმა ბატონის ბრძანებას. რა

თქმა უნდა, ელისაბედისა და საბას დახმარების იმედი ჰქონდა.

ბეჭედთან თათბირის შემდეგ ბატონთან გამოცხადდა:

– თუ გსურთ, რომ დავალება კვლავ სრულყოფილად შევასრულო, მოურავმა საკუთარი ფულით ოცი თეთრი, ოცი წითელი, ოცი შავი ხარი იყიდოს. თქვენი ფული არ გაერიოს, თორემ ბრძანებას ვერ შევასრულებ (თუმცა, ბატონს გაფრთხილება რად უნდოდა, რისი გამცემი იყო)! მოურავი კვლავ იძულებული გახდა, ხარჯი გაეღო.

ელისაბედმა, საბამ, გორდამ და ბეჭედმა გადაიფრინეს სამი მთა, სამი მინდორი და არწივეთის პირველ ხეობაში დაფრინდნენ.

ირგვლივ საოცარი სითეთრე და სიწყნარე სუფევდა. ფოთლის შრიალიც კი არ ისმოდა. მხოლოდ ჩიტები ჟღურტულებდნენ ისე ხმადაბლა, რომ გაგეგონა, სმენა უნდა დაგეძაბა. ცა იყო ლურჯზე ლურჯი...გორდა და ბავშვები თეთრი ყვავილებით მოხატულ მწვანე მინდორში ჩასხდნენ. გარემოებით მოხიბლულნი ხმას არ იღებდნენ, თუმცა, სამივეს უტრიალებდა ფიქრი – „ნეტავ, სად არის არწივი?!”

უცბად, თითქოს გრიგალი მოვარდაო, ბალახებმა, ყვავილებმა, ფოთლებმა შრიალი, წრიალი, რყევა, ცახცახი დაიწყეს... ყველაფერი არაბუნებრივად გაფერმკრთალდა. აიხედეს და უზარმაზარი თეთრი არწივი დაინახეს. ფრინველი ფრთებით ცის მესამედს ფარავდა, მოკაუჭებული ნისკარტი გაეღო, ძლიერი კლანჭები მიწაზე დასაშვებად ოდნავ მოეხ-

არა. გორდამ, საბამ და ელისაბედმა ძლივს გადააასწრეს ბუჩქებში, თორემ გაისრისებოდნენ! არწივს ზეციდანვე შეენიშნა ისინი (მას ხომ არაჩვეულებრივად შორსმჭვრეტელი მზერა აქვს) და შეჰყეფა:

– ჩემი შიშით აქ ვერავის ვერ გაუვლია და თქვენ ვინა ხართ?!

– ჩვენ უწყინარი ადამიანები ვართ. დახმარება გვჭირდება და თქვენი დიდი გულის იმედი გვაქვს! სამაგიეროდ აი, ეს მშვენიერი თეთრი ხარები მოგართვით! ნუ გაგვიწყრებით!- სწრაფად უპასუხა გორდამ.

არწივი მოლბა, მიახლოების ნება მისცა, ფრთები შეიკეცა და უთხრა:

– ასი წელია, აქ ვცხოვრობ და ჩემთვის ერთი წიწილაც კი არავის მოურთმევია! შენ კი ვინა ხარ ასეთი გულუხვი, ასეთი გაბედული?! ხარები რატომ მაჩუქე?!

გორდამ უამბო, ვინც იყო და რაც სურდა. არწივმა უსმინა, გაითავისა ყმაწვილის გასაჭირი (თურმე კეთილი გული ჰქონია!) და საჭირო რჩევა მისცა:

– ვიცი, სადაც ბუდობენ თქვენთვის სასურველი მგალობლები. მათი გამოყვანა მხოლოდ ჩემს უფროს დას, შავ არწივს, შეუძლია, მაგრამ ჯერ ჩვენი შუათანა და, წითელი არწივი, უნდა ნახოთ. ამისთვის ექვსი მთისა და ექვსი მინდვრის გადალახვა მოგიწევთ.

თეთრმა არწივმა ფრთა გამოიძრო, ვაჟს მიაწოდა –

როცა გაგიჭირდება, მახსენე და შენთან გავჩნდებიო!

თბილად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

გაირეკეს დარჩენილი 40 ხარი და გზა განაგრძეს. მეექვსე მთა და მინდორი რომ გადაიარეს, ვრცელ ველზე გავიდნენ. სიმწვანში წითელი ყაყაჩოები და წითელი ვარდები ყვაოდნენ. ხეებზე ფოთლებს წითელი ზოლები დაჰყვებოდა; ტოტებზე წითელი ციყვები დახტოდნენ; წითელი პეპლები ყვავილების ნექტარს ეწაფებოდნენ. გორდა, ელისაბედი და საბა წითელი ნეკერჩხლის ქვეშ ჩამოსხდნენ და არწივს დაელოდნენ.

უცბად ცამ დაიქუხა, არემარე კიდევ უფრო წითლად გაღვივდა. წითელი არწივი შხუილით დაეშვა მიწაზე. ძლიერი წითელი კლანჭები მიწაში ჩაარჭო, გაიმართა, წითელი ბრიალა თვალები მიმოავლო და დაუპატიჟებელ სტუმრებს დაუღრიალა:

– ჩემი შიშით აქ ვეფხვს ვერ გაუჭაჭანებია, თქვენ როგორ ბედავთ?!

– ნუ გვიწყრები! – შეაგება გორდამ და თეთრი ფრთა დაანახვა, – შენი დისაგან მოვდივართ, თან წითელი ხარები მოგართვით! საგანგებოდ შენთვის შევარჩიეთ!

საჩუქარი ყველას სიამოვნებს, ყურადღება ვის არ მოსწონს! ჰოდა, არწივიც არ აღმოჩნდა გამონაკ-

ლისი – მასაც ეამა გემრიელი საკბილო, თანაც ამდენი! კარგა დიდხანს ეყოფოდა!

– 120 წელია, აქ ვბუდობ და საჩუქარი რა არის არ ვიცი! მადლობასაც პირველად ვამბობ! – თქვა და თავი ისე დახარა, ადამიანებისათვის თვალებში რომ ჩაეხედა. მერე განაგრძო:- მგალობელი იადონი და ბულბული ერთ, ადამიანისათვის მიუვალ, კლდეში სხედან. კლდე წამიერად იღება და იხურება. იქ შეფრენა და გამოფრენა მხოლოდ ჩემს უფროს დას შეუძლია. მასთან უნდა წახვიდეთ...იგი აქედან ცხრა მთისა და მინდვრის იქით ცხოვრობს. აი, ჩემი ფრთა (ბეჭიდან გამოიძრო და მისცა), როცა გაგიჭირდეთ, ხელში დაიჭირეთ, მახსენეთ და თქვენთან გავჩნდებიო, – დასძინა.

დამეგობრებულები დაშორდნენ ერთანეთს.

ჩვენებმა გაირეკეს შავი ხარები, ცხრა მთა გადაიარეს და უზარმაზარ ტრიალ მინდორში გავიდნენ. ბალახი, ყვავილები, ხეები, ბუჩქები, ფოთლები და ჩიტები – ყველაფერი შავი გახლდათ... თავზე ტყვიისფერი ცა დაჰყურებდათ. ასეთი ამაზრზენი სიმუქე აუტანელი იყო, მაგრამ რა უნდა ექნათ, შავ არწივს

უნდა დალოდებოდნენ. კარგა ხანს ისხდნენ ბინდ-ბუნდში. უცბად ტორნადო ამოვარდა, ხეებმა ისეთი რყევა დაიწყეს, რომ კენწეროებს საკუთარ ფესვებს ახლიდნენ, მიწა ზანზარებდა, ხიდან ტოტები ცვიოდა, ცა მთლიანად ჩამობნელდა -შავმა არწივმა ყველაფერი ჩამოაქუფრა და მიწაზე გრიალით დაეშვა; შავი ბრიალა თვალები არისხა მოსულებს, გორდას კლანჭებით მისწვდა, აიტაცა და შეჰღრიალა:

– ჩემი შიშით ლომს ვერ გაუვლია და თქვენ როგორ ბედავთ?!

გორდამ თეთრი და წითელი არწივის ფრთები აჩვენა:

– აქ მოსვლა თქვენმა დებმა გაგვაბედვინეს! საქმე გვაქვს თქვენთან. ამავე დროს საკვებად ხარები მოგართვით!

საჩუქართან ერთად დების ფრთებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და არწივმა ვაჟი ნელ-ნელა დაუშვა ძირს:

– 140 წელია, რაც აქა ვარ და ჯერ ჩემთვის საჩუქარი არავის მოურთმევია! ჩანს, მართლა გიჭირთ... თან ამხელა გზა გამოგივლიათ, ამდენი ხარჯი გაგიწევიათ!

გორდამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო, ბავ-

შვებიც გააცნო. შავი არწივი არც ისე საშიში აღმოჩნდა, როგორც ეგონათ! სიბრალულის უნარიც ჰქონია!..

– აქ დამელოდეთ, ბულბულსა და იადონს ახლავე მოგიყვანთ. ჩემს მოსვლამდე კი წაისაუზმეთ, -თქვა და ფრთა ფრთას შემოჰკრა. შემოცუნცულებულ კუდბუთქუნა ციყვებს ხილისა და წვენების შემოტანა დაავალა, მერე სტუმრები სუფრასთან მიიწვია. თვითონ კი, რაც შეეძლო, ნარნარად აფრინდა, ტორნადო რომ არ გამოეწვია.

ერთი საათიც არ გასულა, არწივმა ისევ ჩამოაბნელა ცა თავისი ფრთებითა და სხეულით. შეპირებული მგალობლები კლანჭებით ფრთხილად ეჭირა. ელისაბედსა და საბას გადასცა. ბავშვებმა გულში ჩაიკრეს ულამაზესი ჩიტუნები. იმათაც, იგრძნეს თუ არა და-ძმის სიყვარული, ისეთი გალობა დაიწყეს, ისეთი გაუგონრად საამო ხმები ამოუშვეს პაწაწინა ყელიდან, რომ არწივსაც კი გადმოსცვივდა ცრემლები... გორდამ ჩიტებს კოხტა გალია შეუჭედა, რომ ხელში დაჭერით არ შეწუხებულიყვნენ. მადლობა გადაუხადეს შავ არწივს, რომელმაც, დების მსგავსად, ფრთა გაატანა და დახმარება აღუთქვა, თუ დასჭირდებოდათ.

ყმაწვილებმა 18 მთა და მდელო გადმოიარეს და ბატონის სახლში დაბრუნდნენ. ელისაბედი და საბა კვლავ გაუჩინარდნენ.

ბულბული და იადონი გველეშაპის ჩონჩხისაგან აგებულ ოთახში დასვეს. ჩიტები გაუჩერებლად ჭიკჭიკებდნენ. მაყურებლები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ. აღარ იცოდნენ, რომლისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა: ძვლის კედლებიანი სახლის, ირმის უმშვენიერესი ტყავისა თუ მგალობელი

ფრინველებისათვის. სავია,რომელიც მნახველებს ფულს ართმევდა, კიდევ უფრო გამდიდრდა. ჩირგუეთმა მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი. სავია სიხარულისაგან ცაში დაფრინავდა. მოურავი კი ბოღმითა და შხამით ივსებოდა. ახალ ფანდს იგონებდა, ჭაბუკი რომ დაეღუპა. რაღაც მოიფიქრა და ბატონთან მივიდა:

– ახლა მართლა ხელმწიფის საკადრისი ქონების პატრონი ბრძანდებით, მაგრამ ვერცხლის ტბის გაღმა, ქალთა კუნძულზე, ბროლის კოშკი დგას. იქ გრძნეული მზეთუნახავი ქალი ცხოვრობს, ცისიო ჰქვია. როგორ დაგამშვენებდათ!

სვავზე უხარბეს სავიას ნათქვამი მოეწონა. დაიბარა ქვრივის შვილი და მოურავის მოგონებული დავალების შესრულება დაავალა, თან დასძინა:

– სანამ მზეთუნახავს არ მომიყვან, დედაშენი დღის სინათლეს ვერ ნახავს, ჯურღმულში მეყოლება!

გორდა შეევედრა, დედა გაეთავისუფლებინა, რომ დავალებას მაინც აუცილებლად შეასრულებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – გულქვა იყო სავია, ბოროტი, გულღრძო. ვაჟი ჯერ კიდევ მემამულეს ეკუთვნოდა და, მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა.

ბეჭედთან დიდი ხნით თათბირის შემდეგ ბატონთან მივიდა და მოსთხოვა:

– ისევ მოურავის ფულით, მოურავის ფულით, იყიდეთ ორი საუკეთესო და ძლიერი რაში, ერთი აქლემი და ფარჩა-აბრეშუმის თოფები, ასევე, ბაჯაღლო ოქროსა და ბრილიანტისაგან დამზადებული ქალის სამკაულები.

მოურავი საბოლოოდ გაკოტრდა. საშინლად გამწარე-

ბული იყო! თავს იმით ინუგეშებდა, გორდა ამ დავალებას შეეწირება, მე კი ისევ წავგლეჯ გლეხებს მოსავალს,ბატონს მოვპარავ და კვლავ დავიგროვებ ქონებასაო!

ელისაბედმა, საბამ და გორდამ ყველაფერი მოამზადეს; გულმხურვალედ ილოცეს და გზას დაადგნენ.

ზოგჯერ იფრინეს, ზოგჯერ იარეს და მიადგნენ ვერცხლის ტბას. ეს სახელწოდება მისი თვალისმომჭრელი ზედაპირის გამო მიეცათ. იგი, თურმე, უძირო ყოფილა. მასზე ერთი ბეწვის ხიდი იყო გადებული. ვისაც ქალთა კუნძულზე მისვლა სურდა, ამ უწვრილეს ხიდზე მხოლოდ ღამით, ახალი დღის დასაწყისში, 24:00 სთ.-დან 01:00 სთ.-მდე უნდა გაევლო, რადგან ტბის ზედაპირის სიბრჭყვიალის გამო დღისით ეს შეუძლებელი იქნებოდა – ყველა დაბრმავდებოდა. მგზავრს კიდევ ორი პირობა უნდა შეესრულებინა: ერთი – ტბაში არ უნდა ჩაეხედა, რადან იქიდან ტბის ბინადარი ქალთევზები მაცდურად იცქირებოდნენ და მზად იყვნენ, მათი შემხედვარე მგზავრი წყლის უძირო სივრცეში

ჩაენთქათ. ხიდზე გამსვლელს ამ ცდუნებისთვის უნდა გაეძლო და მხოლოდ წინ ეცქირა, მეორე პირობა- გადაფრენა არ შეიძლებოდა (წამში არ გადაიყვანდა ბეჭედი?!), აუცილებლად ბეწვის ხიდი უნდა გაევლოთ მიზნის მისაღწევად. ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ბებოს საჩუქარმა მიაწოდა ჩვენებს. თან დაამშვიდა: ჩემს უნარს შეძლებისდაგვარად გამოვიყენებ და სიმსუბუქეს შეგძენთო.

რა უნდა ექნათ! წინ გორდა დადგა, შემდეგ – ელისაბედი, მერე – საბა, აქლემი და რაშები. ელისაბედს ხელი აწეული ჰქონდა, რომ ბეჭდის ძალა და ენერგია ყველაზე გადანაწილებულიყო, რომ რაშებსაც და აქლემსაც ყურადღება არ გაფანტოდათ, ძირს არ დაეხედათ და უძირო ტბაში არ ჩავარდნილიყვნენ.

ფეხი შედგეს თუ არა, ხიდი დაირწა. ტბის ზედაპირი ვერცხლისფრად ბრჭყვიალებდა და ისეთ შუქს ჰფენდა სიბნელეს, შუადღე გეგონებოდათ. საოცარი სანახაობა იყო: რამდენიმე კილომეტრზე განფენილი ნათება უზარმაზარ ბნელ სამყაროში ისე ჩანდა, თითქოს უჩინარ თოკებზე ეკიდა...ნელა, ფრთხილად მიიწევდნენ წინ, მეორე ნაპირისაკენ. ის იყო, პირველი საათი ილეოდა, რომ უკანასკნელმა რაშმა მოასწრო ხიდიდან ნაპირზე გადაბიჯება. ყველამ შვებით ამოისუნთქა: ისინი უკვე ქალთა კუნძულზე იყვნენ! ხუთიოდე მეტრის გავლის შემდეგ გამოჩნდა ცისიოს უმცროსი დის, ცინცხალას, კოხტა სახლი. იქ, როგორც ბეჭედმა ამოიცნო, ხშირად დადიოდა მზეთუნახავი.

მგზავრებმა ჭიშკარზე დააკაკუნეს. მხევ-

ლებმა კარი გააღეს (მამაკაცები არსად ჩანდ-
ნენ) და განათებულ ეზოში შეიყვანეს. ბაღის
შუაგულში მაღალი, ქერათმიანი, ცისფერთ-
ვალება ქალი იდგა. ეცვა ტანზე მომდგარი
პირისფერი აბრეშუმის გრძელი კაბა, ვარდის-
ფერი მაქმანებით გაწყობილი. წელსაც ისეთივე
ფერის ქამარი უმშვენებდა. ყელი, ყურები და
მაჯები ოქროსა და ბრილიანტის სამკაულებით ჰქონ-
და დამშვენებული. ხელგაშლით მიეგება – სტუმარი
ღვთისაააო, – წარმოთქვა და იქვე, ვარდების წრეში
დადგმულ მაგიდასთან, დასხა. ელისაბედსა და სა-
ბას მიუალერსა, გორდას კი მისვლის მიზეზი ჰკითხა.
კარგად ესმოდა, რახან ასეთი რთული გზა გამოიარეს,
დიდი მიზეზი და მიზანი ექნებოდათ.

გორდამ ყველაფერი უამბო,თან ძვირფასი საჩუქარი – ფარჩა-აბრეშუმით დატვირთული აქლემი და რჩეული სამკაულები მიართვა. ცინცხალამ გაიღიმა:

– ამდენი საჩუქარი, თან ასე ძვირფასი, ჯერ არავის მოურთმევია! ასე თბილად ჯერ არავინ დამლაპარაკებია! გარდა ამისა, მიყვარს თანადგომა, გაჭირვებულისათვის ხელის გაწვდენა, რაც თქვენ ძალიან გჭირდებათ! ახლა ამ უკანასკნელ სიამოვნებას მოკლებული ვარ, რადგან ადამიანებს ძალიან იშვიათად ვხედავ – ტბაზე გადმოს-ვლა სახიფათოა! მინდა, სიკეთის ქმნის მადლი ჩემმა დამაც აღიდგინოს. სანამ აქ დავსახლდებოდით, სხვათა დახმარება მისი ყოველდღიური საქმე გახლდათ. ახლა, სამწუხაროდ, ადამიანებისადმი ნდობა დაკარგული აქვს, ჰქონდა საამისო საბაბი... იქნებ თქვენთან ურთიერთობის შემდეგ გამოიცვალოს! თუმცა, ერთი რამ მადარდებს: მე

გენდობით, მაგრამ ჯერჯერობით იგი არ მიგიკარებთ, არ წამოგყვებათ. ის კი არა, მეშინია, რამე არ დაგიშავოთ; გარეგნულად ნაზი აგებულებისაა, მაგრამ გოლიათის ძალა აქვს! ამიტომ იძულებული გავხდები, დავაძინო და ასე მოგატაცებინოთ. ძალიან ჩქარა უნდა ატაროთ, სანამ გაიღვიძებს, თორემ შეიძლება, მოგკლათ!

გორდას ცინცხალას გეგმა მოეწონა: მიზანსაც მიაღწევდა და მზეთუნახავიც უვნებელი დარჩებოდა!

მასპინძელმა აქლემი და რაშები საჯინიბოში შეაყვანინა. სტუმრები სახლში შეიპატიჟა, ოთახები დაათვალიერებინა. წითელი ხით მოპირკეთებული სარკესავით პრიალა იატაკი ფერადი ხალიჩებით მოეფინათ; დარბაზის კუთხეებს ირმის რქები ამშვენებდა; აღმოსავლეთის კედელზე გადაჭიმულ ხელით ნაქსოვ ულამაზეს ფარდაგზე უამრავი სახეობის იარაღი ეკიდა: ხმლები, ხანჯლები, თოფები, რევოლვერები, მშვილდ-ისრები. საბა, როგორც მომავალი ჭეშმარიტი რაინდი, ისე მოიხიბლა საბრძოლო აღჭურვილობებით, რომ კედელს ძლივს მოაშორეს. ცინცხალამ არაჩვეულებრივი ნაკეთობის მშვილდ-ისარი ჩამოხსნა კედლიდან და ბიჭს უსახსოვრა.

მასპინძელმა აბაზანა მიასწავლა სტუმრებს და მერე სათითაოდ მიუჩინა საძინებელი ოთახები.

ინათა თუ არა, ყველამ გაიღვიძა. სასადილოში მოიყარეს თავი, ისაუზმეს. მთელი დღე სასიამოვნოდ გაატარეს.

დაღამდა. ჭიშკართან ეტლის გრიალი გაისმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცისიო მოვიდა. ცინცხალამ სტუმრებს დასამალად შენობის ბოლო ოთახი შესთავაზა, მაგრამ ელისაბედმა

მადლობა მოახსენა და ბეჭდის დახმარებით სამივე გაუჩინარდა. მასპინძელი გაოცდა, ასეთი რამ არასოდეს ენახა, მაგრამ თავი შეიკავა და დის შესახვედრად მოემზადა.

მსახურმა ქალებმა ჭიშკარი გახსნეს და ეზოში ოქროსა და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ეტლი შემოგრიალდა. უცბად გაჩერდა, საფეხურები ჩამოიშალა და გამოჩნდა ლურჯ ჯინსებში გამოკვართული ქალის მაღალი წვივები. ორივე ფეხი მიწაზე დადგა, ნაქანდაკევი ტანი გამართა, მარცხენა ხელით გრძელი, წელამდე დაშვებული შავი თმის კულულები და ოქროსფერი ზედატანი შეისწორა, მარჯვენა ხელით ეტლის კარი მიხურა. მერე ორივე ხელი გაშალა და დისკენ გაემართა. ჰარმონიულად ნაკვეთი სათნო სახე მიმზიდველი ღიმილით კიდევ უფრო დაუმშვენდა და ისე გაუცისკროვნდა, ყველაფერს ნათელი მოეფინა. ცისიო არამიწიერი სილამაზით ბრწყინავდა! გაოცებულ ელისაბედს, საბასა და გორდას აღფრთოვანების შეძახილი კინაღამ ხმამაღლა აღმოხდათ, თავი კინაღამ გაამჟღავნეს! მათ წინ ქალი კი არა, ქალღმერთი იდგა!

დები ჩამოსხდნენ. ერთმანეთი მოიკითხეს. ცისიომ მი-

მოიხედა:

– დაიკო, რაღაც უცხო სუნი მცემს. ხომ არავის მალავ, ხომ არ მღალატობ?!

– მე შენ გიღალატებ?! – იწყინა ცინცხალამ.

– შეიძლება არასწორად ვთქვი, მაპატიე, მაგრამ იქნებ იმის გაკეთებას მოითხოვ ჩემგან, რაც არ მინდა! ხომ იცი, ჯერ უცხო ადამიანებთან ურთიერთობისთვის მზად არა ვარ! – დაუყვავა უფროსმა დამ. დასხდნენ.

მოსიყვარულე დებმა ბევრი რამ გაიხსენეს, გულიანად იცინეს. მაპინძელმა ყავა და ნამცხვრები დააწყო მაგიდაზე. საუბარში დრო მალე მიილია. საცაა ღამე მიიწურებოდა. ცისიო გავიდა; ცინცხალამ ყავაში დასაძინებელი წამალი ჩაუყარა. უფროსი და შემობრუნდა... ყავას მიირთმევდნენ და მშვიდად საუბრობდნენ. მზეთუნახავს მალე ჩაეძინა. ცინცხალამ, – იჩქარეთ, თორმეტზე უნდა გახვიდეთ, თორემ მეორე შუაღამემდე დარჩებითო,-გასძახა ყმაწვილებს. ისინიც გამოჩნდნენ, ცისიო სწრაფად შემოსვეს რაშზე, უკან გორდა შემოახტა, სხვები მეორე რაშზე შემოსხდნენ და სახიფათო გზას დაადგნენ. ის იყო, ბეწვის ხიდზე გავიდნენ, რომ მზეთუნახავს გამოეღვიძა! ერთი დაიწივლა, გორდა ძირს დაანარცხა და რაში კუნძულისაკენ მიაბრუნა!

მოულოდნელობისაგან ყველა გაშეშდა! მერე არწივები მოაგონდათ! გორდამ სამივე ფრთა ამოიღო და მეგობრებს საშველად უხმო! ლანდის უსწრაფესად მათთან გაჩნდნენ ფრინველები. გასაჭირი შეიტყვეს თუ არა, გაქცეულს დაედევნენ, წამოეწივნენ, ფრთხი-

ლად აიტაცეს და გორდასთან დააბრუნეს. ყმაწვილმა კაცმა დაუჩოქა მზეთუნახავს, ყველაფერს გიამბობო და პატიება სთხოვა. ცისიომ გაულიმა და უთხრა:

– ამ არწივების გული რაკი მოგიგია, ჩანს, ღირსეული ადამიანი ხარ! გადავწყვიტე, მეც დაგიმეგობრდე! რა საჭირო იყო ძალადობა, მტაცებლობა?! ვერ ვიტან! თავიდანვე გეამბნა შენი გასაჭირი! იქნებ ჩემს დასავით მეც გამეგო?! კარგი, რაც იყო, იყო! ახლა მაინც ამიხსენი, რა გაგჭირვებია?!

გორდამ ათასი ბოდიში მოუხადა, მეგობრების წრეში დაჯდა და ცისიოსთვის ყველაფერი თავიდან გაიხსენა.

მზეთუნახავს გული საბოლოოდ მოულბა:

– წამოგყვები და ნახავ, როგორ დავსჯი იმ შენს ღორ ბატონს!

ერთ დღეში გადაიფრინეს უკან სავალი გზა.

არწივები სოფლის დასაწყისში დაემშვიდობნენ დამეგობრებულ ადამიანებს. ბავშვები უჩინარნი გახდნენ. ბატონის ეზოში მხოლოდ ცისიო და გორდა შევიდნენ. ქალის სილამაზემ ისე გააბრწყინა იქაურობა, რომ დიდი და პატარა – ყველა გარეთ გამოვარდა, დაინახეს თუ არა, გაშეშდნენ! ბატონი გიჟივით დახტოდა, მზეთუნახავს გარს უვლიდა, ხელებს იქნევდა, ყვიროდა... მოურავს ელდისაგან გული წაუვიდა, ძლივს მოასულიერეს... ცისიო მოთმინებით იდგა და სიცილს ძლივს იკავებდა... სავიამ აკანკალებული ხელი მოჰკიდა, გველეშაპის სახლისაკენ წაიყვანა, შეიყვანა და უთხრა:

– აი, ამ მშვენიერებას შენ აკლდი! შენი ადგილი აქ

არის!

ქალმა ყველაფერი ყურადღებით მოათვალიერა, მოწონების ნიშნად თავი რამდენჯერმე დაიქნია და სავიას მიუბრუნდა:

– პირველ რიგში, პირობა შეასრულე და გორდას დედა გაათავისუფლე!

ბატონმა მოთხოვნა შეასრულა, მონადირეს დედა დაუბრუნა. როცა ცისიომ ბედნიერი დედა-შვილი ერთად იხილა, სავიას მიუბრუნდა:

– მაშ, ამ პატარა სახლის სამკაულად მოაყვანინე ჩემი თავი?!

– კიდევ ჩემი საყვარელი უნდა გახდე, – მიუგო სულელურად გაღრეჭილმა ბატონმა.

– აჰ! უნდა გავხდე?! ვინ იწვალა ჩემ ჩამოსაყვანად? – სიმკაცრე გაერია ხმაში ქალს.

– ჩემმა მსახურმა, ჩემმა მონადირემ, გორდამ,–- უპასუხა აცუნდრუკებულმა სავიამ.

– გველეშაპი ვინ მოკლა და მისი ძვლებისაგან დარბაზი ვინ ააგო?!

– გორდამ.

– იადონი და ბულბული ვინ მოგართვა?!

– გორდამ.

– შე, უსინდისო მოძალადევ! – ისე განრისხდა ქალი, რომ ბატონი და მოურავი შიშისაგან მოიხარნენ. – თუ ყველაფერი ამ ბიჭის ხელით გაკეთდა, შენი როგორღაა?! მოურავიც შენი მსგავსია! თქვენ ადამიანად ყოფნის უფლება არა გაქვთ! -სიტყვის დასრულები-

სთანავე წარბებს ქვემოთ გახედა, მშვენიერი საჩვენებელი თითი მიუშვირა და ბატონი ბუზად აქცია, მოურავი – კოლოდ! ერთი ერთ მხარეს გაფრინდა ბზუილით, მეორე მეორე მხარეს – წუილით...

ცისიომ გორდას თავისუფლება მიულოცა, ბავშვებიც გამოჩნდნენ, სასახლის აქამდე მოწყენილმა, დაღვრემილმა, შეშინებულმა, დამცირებულმა მსახურებმა გამარჯვების ყიჟინა დასცეს, ერთხმად შემოსძახეს სიმღერა, იმათაც კი, ხმა რომ არასოდეს ამოეღოთ და ვერ წარმოედგინათ, შეეძლოთ თუ არა სიხარულის გამოხატვა!

დიდხანს გაგრძელდა ზეიმი. სავიას ქონება, ყველას გადაწყვეტილებით, გორდას მიაკუთვნეს. მან კი ყმები გაათავისუფლა და ქონებაც ყველას თანაბრად გაუნაწილა, სხვაზე მეტი არ აუღია, მხოლოდ საკუთარი გეგმით შექმნილი პატარა სახლი, წვალებით მოპოვებული ბულბული, იადონი და მონადირებული ირმის ტყავი დაიტოვა. დედა ღარიბული ქოხიდან საცხოვრებლად იქ გადაიყვანა, ცოლად საყვარელი გოგონა მოიყვანა. ქორწილი მთელი სოფლის ზეიმად იქცა. ვის აღარ ნახავდით იქ?! სწავლულსა და უსწავლელს, მდიდარსა და ღარიბს, მოხუცსა და ახალგაზრდას, გლეხსა და ვაჭარს.

ამ ხნის განმავლობაში ცისიო და ჩვენი პატარა მოგზაურები გორდას გვერდით იყვნენ, ყველაფერში ეხმარებოდნენ.

დამშვიდობების დრო დადგა! განშორება გაუჭირდათ, მაგრამ თითოეულ ადამიანს ხომ საკუთარი ცხოვრების გზა აქვს! პირობა დადეს, რომ ერთმანეთს შეძლებისდაგვარად ხშირად მოინახულებდნენ. ცისიო საკუთარ კუნძულზე გაემართა, ხოლო ბავშვები, გორდას თხოვნით, ერთი დღე-ღამით კიდევ დარჩნენ.

ზაზვარდეთში

ელისაბედმა და საბამ გორდას ქორწილში ერთი მოხდენილი აღნაგობის თავაზიანი ვაჟი გაიცნეს. ერთმანეთი ძალიან მოეწონათ. გულთბილი საუბარი გააბეს და საკუთარი თავგადასვლები გაცვალეს. ყმაწვილი კაცი ზაზვარდეთის მილიარდელი სოვდაგრის, უძიას, შვილი, გორდას ბავშვობისდროინდელი მეგობარი, ლომგულა, აღმოჩნდა. იგი მუდამ მზად იყო, არა მხოლოდ მეგობრულად, ეკონომიურადაც დახმარებოდა და ბატონისაგან გამოსყიდვასაც სთავაზობდა ძმაკაცს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამის ნებას არ აძლევდა, მე თავად უნდა მოვიპოვო თავისუფლებაო...

ლომგულას მამას, უძიას, ახალგაზრდობაში, თურმე, შვილი დიდხანს არ ჰყოლია. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ბიზნესში საოცარი წარმატებისათვის მიუღწევია და მალე საერთაშორისო მნიშვნელობის გარიგებებში დაუწყია საქმიანობა. ერთხელ სხვა სახელმწიფოში დიდი ხნით მოუწია წასვლა. საყვარელ მეუღლეს, ამარტას, სთხოვა წაჰყოლოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა, მოიმიზეზა, ოჯახს დიდი ხნით ვერ დავტოვებთ, ვინმე უკეთურმა, ვაითუ, გაგვძარცვოსო. სინამდვილეში ერთი თვის ფეხმძიმედ იყო და სიმართლე არ გაუმხილა,თუმცა, თავს ძლივს იკავებდა! არ გაუმხილა, რადგან მაშინ მეუღლე წასვლას გადადებდა. ამით კი არა მხოლოდ საკუთარ თავს, მეგობარ საქმოსნებსაც ავნებდა. ამარტა უკეთილშობილესი ქალი იყო და პირადი ინტერესებისათვის სხვას არასოდეს გაწირავდა. მარტოც არ რჩებოდა-ერთგული მსახურები ჰყავდა.

თუმცა მათ მეგობრებად უფრო თვლიდა. ისინიც ათმაგად უბრუნებდნენ სიყვარულსა და მზრუნველობას. ტყუილად კი არ უთქვამს რუსთაველს: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია!"

– ჩემო ძვირფასო, – უთხრა გამომშვიდობებისას უძიამ ამარტას, – გზას და საქმეს, ვფიქრობ, 10 წელი დასჭირდება...თუ დროზე არ დავბრუნდი, მკვდრად ჩამთვალე და ისე წარმართე შენი ცხოვრება, როგორც მოგესურვება... რას იზამ, ურისკოდ წარმატებები არ მოდის.

ამარტას ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ნუგეშს შვილზე ფიქრი აძლევდა...რვა თვეში ბიჭი დაიბადა!.. დედამ ლომგულა დაარქვა...

ვაჭართუხუცესი ათის ნაცვლად თხუთმეტი წელი დაყოვნდა საზღვარგარეთ. ცოლმა ჩათვალა, რომ დაიღუპა და თავი ქვრივად გამოაცხადა...

ლომგულას 15 წელი შეუსრულდა. ისეთი ვაჟი დადგა, ავ თვალს არ ენახვებოდა! არაჩვეულებრივ გარეგნობას უმდიდრესი შინაგანი სამყარო ჰარმონიულად ერწყმოდა. მიუხედავად ჭაბუკობისა, მართლა ლომის ძალა ჰქონდა, თან ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული გახლდათ.

სოვდაგარმა მე-16 წლიწადს მოახერხა შინისაკენ გამომგზავრება. შეკრა მონაგებ-მონაგარი, ილოცა, პირჯვარი გადაიწერა და საკუთარი გემით გაემართა ზაზვარდეთში.

პონტოს ზღვაში შეცურდნენ. ფირუზისფერი ტალღები ერთმანეთის მიყოლებით,

რიტმულად მილივლივებდნენ. გემი ოდნავი რწევით მიაპობდა წყალს. უცბად მომხიბვლელ სირინოზთა გუნდი შემოერტყა გემს. მომაჯადოებელი გალობა გაისმა...საოცარ ხმათა ჰარმონიამ გააშეშა მთელი ეკიპაჟი, კინაღამ ხომალდის მართვაც დაავიწყდათ...

რამდენიმე წუთის შემდეგ სირინოზებმა სიმღერა უცბად შეწყვიტეს და გაქრნენ! ზღვა აიმღვრა, უზარმაზარ ტალღებად აიქოჩრა...გემის წინ, სილრმიდან, საშინელი არსება ამოიმართა. თავისა და ტანის ქვედა ნაწილი ადამიანისა ჰქონდა. ფეხების ნაცვლად ვეშაპის კუდი ება, ხელების ადგილზე რვაფეხას მსხვილი საცეცები უსხმარტალებდნენ, არწივისებურ თვალებს საზარლად აბრიალებდა, თავზე ცხენთევზას ბიბილო-ფარფლები უფარფალებდა, ერთი საცეცით ნეპტუნის ჩანგლის მსგავსი ოთხკაპა ეჭირა. კუდზე შემდგარი ტალღებზე ირწეოდა და ჭიხვინის მსგავს ხმებს გამოსცემდა.

ეს ზღვის ჯურღმულის ხელმწიფე ქაჯაჯა იყო!

ყველა შეშინდა! უძია შეწუხდა და ღმერთს საყვედური შეჰკადრა:

– უფალო, დიდება შენდა! მეთექვსმეტე წელს ძლივს ვბრუნდები სამშობლოში და რატომ დაუშვი, რომ ქაჯს ჩავვარდნოდი ხელში! რა დავაშავე?

– უფალი კი არა! – შესძახა ურჩხულმა, – აქ ჩემი სამფლობელოა! ღმერთიც მე ვარ და მბრძანებელიც! თუ გინდა, შინ გაგიშვა, შენი უცოდინარი უნდა მომცე! ეს იქნება შენი საბაჟო გადასახადი, ჩემს წყლებში რომ გაიარე! ხომ ხედავ, მონაგებ სიმდიდრეს არ გთხოვ. აი რა კეთილი ვარ!

უძია ჩაფიქრდა: -ცოლი რომ მყავს, ვიცი. კარგი სახლ-კარი რომ მაქვს, ვიცი... რა არ ვიცი?!... ბოლოს დაასკვნა: ბოროტია და ბოროტად მეხუმრებაო... ამიტომ დაეთანხმა.

– გახსოვდეს, – გაიღრიჭა ქაჯაჯა, – ის შენი უცოდინარი ამ დღიდან 1 წელში უნდა გამოცხადდეს ჩემთან! თორემ მთელს შენს საგვარეულოს ზღვაში ჩავნთქავ!

ჩაფიქრდა უძია, მაგრამ რა უნდა ექნა!

ქაჯაჯამ ჯადო ახსნა ხომალდს და გაუშვა. მერე ავი ხარხარით სიღრმეში ჩაეშვა...ზღვა დაწყნარდა, ტალღები ალივლივდნენ და გემს ისევ ნაზი ტლაშუნით მიელამუნენ. მერე კი, როცა ხომალდმა სვლას უმატა, აიქოჩრნენ...

სოვდაგარი გემბანზე იდგა და მოუთმენლად ელოდა ნაპირის გამოჩენას...

აი, ზაზვარდეთის თეთრ-ვარდისფერი შენობები გამოიკვეთნენ, ნაპირთან მდგარი უზარმაზარი ხომალდები და მოხდენილი კატარღები გამოჩნდნენ. ნავსადგური მზად იყო გემის მისაღებად.

ნაპირზე გადასულმა უძიამ, ვიდრე მის ბარგს გადმოტვირთავდნენ, ცოლთან მაცნე აფრინა (მაშინ მობილური ტელეფონები, სამწუხაროდ, გამოგონებული არ იყო).

ამარტა როგორ გაიხარებდა, ხომ წარმოგიდგენიათ?! მაშ-

ინვე შეაკაზმვინა ეტლი, გვერდით მოისვა 15 წლის მშვენიერი ვაჟიშვილი და ნავსადგურისაკენ გაემართა. გემს უკვე ჩაეშვა ღუზა. მეზღვაურები ჩამოდიოდნენ. ტვირთი გადმოჰქონდათ. უძია კიბესთან იდგა და ვიღაცას განკარგულებებს აძლევდა.

მონატრებული ცოლ-ქმარი ტირილით გადაეხვია ერთმანეთს! უძიამ ამის შემდეგ შენიშნა ამარტას თანმხლები. შეხედა თუ არა, საკუთარი ახალგაზრდობა გაახსენდა, თავი შეიცნო იმ ყმაწვილში! მღელვარებისაგან სული შეეხუთა, გული კინაღამ წაუვიდა, მუხლები მოეკვეთა და წაბარბაცდა. მეუღლემ მკლავში ჩაავლო ხელი, მსუბუქად შეანჯღრია და მიახარა:

– ჰო, ეს შენი ვაჟია! არ გითხარი, რომ წასვლაში ხელი არ შეგშლოდა! როგორ გგავს, არა?!

მამამ შვილი გულში ჩაიკრა და აუწერელი სიხარულისაგან ხმამაღლა აქვითინდა. ცოტა რომ დამშვიდდა, ქაჯაჯას ნათქვამი გაახსენდა. ახლა მიხვდა, რას ნიშნავდა სიტყვა „უცოდინარი“. უსაზღვრო ნაღველმა სახე მოუღრიცა! დედა-შვილი დაიბნა, შეწუხდა!

– რა მოგივიდა, რა დაგემართა?! რა ამბავია ჩვენს თავს?! – შეშფოთდა ამარტა.

– ცოტა მადროვეთ! სული მოვითქვა! – ამოღერღა უძიამ...

შინ მივიდნენ. მშობლიური სახლ-კარის ნახვამაც ვერ მოჰგვარა შვება. მერე გვერდით მოისვა ცოლ-შვილი, მთელი სახლეულობა და ქაჯაჯასთან შეხვედრის ამბავი დაწვრილებით გაიხსენა...

ამარტას გული წაუვიდა. ძლივს მოაბრუნეს. სასახლემ მოიწყინა... ლომგულამ ყველა



დაამშვიდა:

– ეს წელი დავტკბეთ ერთად ყოფნით! მერე უფალი გვიჩვენებს გზას, არ გაგვწირავს!

– აი, ერთი წელი სრულდება... – გააგრძელა თხრობა ლომგულამ, – ჩემი მეგობრის ქორწილში რომ არ მოვსულიყავი, როგორ შეიძლებოდა! ქაჯაჯასთან ერთ კვირაში უნდა გამოვცხადდე, ჩემებს განსაცდელში ვერ ჩავაგდებ! აი რატომ ვარ ნაღვლიანი...

ელისაბედმა და საბამ ვაჟი დაამშვიდეს და საკუთარი შესაძლებლობები გააცნეს. მერე ბეჭდის პაწაწინა თვალი მისცეს, როცა გაგიჭირდეს, გვახსენე და შენთან გავჩნდებითო. ლომგულამ თბილად გაუღიმა (რა თქმა უნდა, დახმარების შესაძლებლობისა არ სჯეროდა) და მადლობით დაემშვიდობა.

და-ძმამ გზა გააგრძელა. მიდიოდნენ და თან საუბრობდნენ:

– საბ, ხომ შენიშნე, როგორც აზაზუმ, ამანაც არ დაგვიჯერა!

– ნუ გიკვირს, ნურც გეწყინება. ელი, ჩვენ ხომ ბავშვები ვართ. სანამ ბეჭდის ძალას არ დაინახავენ, ვერ ირწმუნებენ ჩვენს შესაძლებლობას. დავუმტკიცოთ, რომ მართლები ვართ, რომ ბავშვებსაც შეუძლიათ სასარგებლო და სასიკეთო საქმის კეთება! გაიხსენე, რას გვიმეორებს ბებია წარამარა: სიტყვას დიდი ფასი აქვს, მაგრამ

ქმედებას მოჰყვება შედეგიო!

– ბებიკო!... ნეტა როგორ არის?!... მომენატრა!... – თვალები მოუწყლიანდა ელისაბედს.

– მეც მომენატრა!...- ყელში ბურთი მოაწვა საბას, მაგრამ თავი ვაჟკაცურად შეიკავა, – დავეხმაროთ ლომგულას, აუცილებლად დავჭირდებით! მერე კი დავბრუნდეთ, დროა...

ამასობაში სოვდაგრის ვაჟი შინ მივიდა. მშობლებთან გამოთხოვების სიმძიმე თავიდან რომ აეცილებინა, ორი დღით ადრე გაპარვა გადაწყვიტა. სამგზავროდ აუცილებელი ნივთები ჩაილაგა, სახლ-კარის ყოველი კუთხე-კუნჭული შემოიარა, მძინარე დედ-მამას დიდხანს უცქირა, სახლის კარს აკოცა და რწმენით თქვა:

– მე აუცილებლად დავბრუნდები! აუცილებლად დავბრუნდები!

თვითონაც არ იცოდა, საიდან გაუჩნდა ეს აზრი. გაუხარდა, ღვთიურ ნიშნად ჩათვალა! გამხნევებულმა გააგრძელა გზა ზღვისაკენ. უცბად შენიშნა, რომ ორი თეთრი მტრედი მიუძღოდა. ამ აღმოჩენამ ელისაბედი და საბა გაახსენა და ბეჭდის თვალი ამოიღო, აკოცა (როგორც დაარიგეს), ბავშვების სახელები ახსენა...ახსენა თუ არა, ისინიც მაშინვე იქვე გაჩნდნენ.

სამივეს გაუხარდა ერთმანეთის ხელახლა ნახვა. დრო აღარ დაკარგეს და ბეჭედს რჩევა ჰკითხეს.

ელისაბედმა მარჯვენა ყური მიუშვირა, საბამ მარცხენა, ლომგულა წინ ჩაცუცქდა და სმენად იქცა.

ბეჭედი დიდხანს ჩურჩულებდა, ლომგულას მოქმედების გეგმას აყალიბებდა...

ქალაქიდან მოშორებით, აღმოსავლეთ სანაპიროზე, ოქროს სილიანი პლაჟი ყოფილა. მისი არსებობა ზაზვარდეთელებმა არ იცოდნენ, რადგან ადამიანთა თვალთაგან უხილავი ჯადოსნური ფარდა ფარავდა. იმ პლაჟზე, თურმე, ქაჯაჯას სამი უმშვენიერესი ქალიშვილი ყოველ დილით ბანაობდა. გაგიკვირდათ ხომ?! მეც ახლა გავიგე ბეჭდისაგან, რომ საზიზღარ ურჩხულს პირველი ცოლისაგან (რომელიც, თურმე, პონტოს ზღვის სანაპიროდან, ლაზიეთიდან, ჰყავდა მოტაცებული) ჩვეულებრივი ადამიანები შეეძინა. გოგონებს მშობლების თვისებები გამოჰყვათ: ხმელეთსა და წყლის ქვეშ მამის მსგავსად შეეძლოთ ცხოვრება. დედასავით კეთილები და გულმოწყალენი ყოფილან.

სანაპიროზე ბეჭედმა გადაიყვანა. ლომგულა და ბავშვები უმალ აღმოჩნდნენ ოქროს პლაჟზე. გათენებას უნდა დალოდებოდნენ და გამოქვაბულს დაუწყეს ძებნა. იპოვეს და შევიდნენ. საოცრად სასიამოვნო, ზომიერი ჰავა ტრიალებდა. კედლებიდან გამოშვერილი მომცრო ლოდები სკამებად გამოიყენეს. ელისაბედი ცელქობის ხასიათზე დადგა: მარცხენა ხელის ცერა, საჩვენებელი და შუა თითით ბეჭედი დაიჭირა, მარჯვენათი კენჭი აიღო, ააგდო. ხან საბასკენ ისროლა, ხან – ლომგულასაკენ, ბეჭდის დახმარებით უცვლიდა მიმართულებას. საბამ უფროსი მეგობრის

ხანჯალი მოიმარჯვა და ფარივით შეაგება პაწაწინა ქვებს; ლომგულა მუშტით იგერიებდა, ან ჰაერშივე იჭერდა. თან თვალს არ აშორებდა ნაპირს, სადაც მეორე დილით ქაჯაჯას ქალიშვილები უნდა გამოჩენილიყვნენ. ბავშვები თამაშს განაგრძობდნენ. რამდენიმე კენჭი ქვაბულის სიღრმეში შევარდა. უცბად ღრენა გაისმა! თურმე იქ ვეფხვს ეძინა! მყუდროებადარღვეული ნადირი მათკენ გამოემართა! შეშინებულმა ელისაბედმა შეჰკივლა, მოულოდნელობისაგან ბეჭედი ფეხებთან დაუვარდა...ამასობაში მხეცი ლომგულას ეცა! ხელდახელ შეება ყმაწვილი კაცი (ხანჯალი ხომ საბას ეჭირა!), წინა ტორებში წვდა! ვეფხვმა უკანა ერთი ტორი ტყავკაბის კალთაზე ჩამოჰკრა და ჩამოჰფლითა! საბამ მოახერხა და ხანჯალი მიუგდო ლომგულას, ყმაწვილი კაცი მარდად დასწვდა იარაღს და ყალყზე შემდგარ ნადირს ქვემოდან დაახვედრა, მუცელი გაუფატრა. ვეფხვი უკანა ფეხებზე ჩაიკეცა, მაგრამ ღრიალით წამოიწია, უფრო გამძვინვარებულმა, თითქოს უფრო გაძლიერებულმა...ვინ იცის, რა საშინელება მოჰყვებოდა ამას, ელისაბედს ბეჭედი რომ არ ეპოვა! სასწრაფოდ ნადირს დაუმიზნა თხოვნით: მოკალი! ვეფხვი უსულოდ დაეცა ძირს! ელისაბედმა ბეჭედს აკოცა! ბიჭებმა თავისუფლად ამოისუნთქეს!

– ეჰ, რა სილამაზე მოვსპეთ! – დაენანა ელისაბედს, – იქნებ ბოკვერებიც ჰყავს?!...

– ეს სილამაზე ისე კარგად შეგვახრამუნებდა, ხორცის ნაფლეთიც არ მორჩებოდა! – გაიხუმრა საბამ

და ლომგულას ხანჯლის წმენდაში დაეხმარა. ელისაბედმა ბეჭედი შეახო უფროსი მეგობრის ჩამოფხრეწილ კალთას და გაამრთელა.

– ბებოსაგან გამიგია, ძველ საქართველოში ვეფხვს ღვთიურ ცხოვლად თვლიდნენ და სჯეროდათ, მის მკვლელს უფალი დასჯისო, – ქვაზე ჩამოჯდა საბა.

– რა მოგველის ?! – დაინტერესდა ელისაბედი.

– იმდენი მოთქმა უნდა წარმოვთქვათ, რამდენი ზოლიც აქვს, თან პატიება უნდა ვითხოვოთ! – ღიმილით აუხსნა ლომგულამ ბავშვებს. მერე დაძინება შესთავაზა.

გათენდა. სამივემ ადრიანად გაიღვიძა. ხელ-პირი დაიბანეს და მსუბუქად ისაუზმეს. ბაცი ოქროს დისკო წყლის უზარმაზარი სივრციდან ამოცურდა და თანდათან გაწითლდა...გაკვირვებულნი უცქეროდნენ ამ საოცრებას: მზის ჩასვლა ზღვის ჰორიზონტზე კი ენახათ და ბევრჯერ დამტკბარან ამ მშვენიერებით, მაგრამ ზღვიდან ამოსვლა- არასოდეს! მნათობს სიკაშკაშე მოემატა და სხივები ირგვლივ უხვად გატყორცნა. ახალგაზრდები ქვაბულში ისხდნენ და დილის ბრწყინვალებით ტკბებოდნენ...

უცბად სანაპიროს თავზე, ცაში სამი უთეთრესი თოლია გამოჩნდა. ფარფატით დაეშვნენ ნაპირზე და უმშვენიერეს ასულებად იქცნენ. მოქნილ ფეხებს ლამაზად ნაკვეთი ტანი უმშვენებდათ. უფროსი შავგვრემანი და შავთმიანი იყო, საშუალი – თეთრი და ქერათმიანი, უმცროსი – სპილოსძვლისფერი კანისა და შოკოლადისფერ თმიანი. მზისკენ პირშექცეულნი ხელგაშლილნი იდგნენ და სხივებს ეფიცხებოდნენ...ტალღები ეცელქებოდნენ

და ტერფებზე ელამუნებოდნენ. უკან დაიხევდნენ. მერე კვლავ მათკენ მიისწრაფოდნენ...გოგონები ფეხებს აბაკუნებდნენ და ერთმანეთს წყალს აწუწებდნენ... მერე ადგილიდან ერთად მოსწყდნენ და ზღვაში შეცურეს. შორს რომ გავიდნენ, ლომგულა გამოვარდა, უმცროსი დის ტანსაცმელს დასწვდა და სირბილით წამოიღო. კვლავ გამოქვაბულში დაიმალა.

დებმა გული იჯერეს და ნაპირზე გამოვიდნენ. უმცროსის ტანსაცმელი რომ ვერ იპოვეს, ისეთი წივილი ატეხეს, ქვა ქვას ეხეთქებოდა, ხე – ხეს! შეშინებული ფრინველები გადაიკარგნენ!... უფროსი და საშუალი იძულებულნი გახდნენ ჩაეცვათ, შინ უნდა გაბრუნებულიყვნენ, თორემ მამა აღარასოდეს გაუშვებდა სახლიდან. მართალია, ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, მაგრამ ქაჯაჯა ყოველთვის ამოწმებდა, ხომ არ იგვიანებდნენ. ჩაიცვეს და უმცროსი და დაამშვიდეს – ალბათ ჩიტებმა გაფანტეს. შენი მოხერხებულობის ამბავი რომ ვიცით, თავს ყველაფერს ადვილად გაართმევ. ჩვენ უნდა დავბრუნდეთ, რომ მამამ შენი არყოფნა ვერ გაიგოს. აკოცეს, თოლიებად იქცნენ და გაფრინდნენ.

მარტოდ დარჩენილმა ქალიშვილმა ნაპირზე გაიხედ-გამოიხედა, ვერავინ რომ ვერ დაინახა, ხმამაღლა იკითხა:

– ვინა ხარ?! თუ რა ხარ?! ხმა გამეცი!... დამენახე!... რაკი ამ ნაპირზე შემოაღწიე, ჩვეულებრივი ადამიანი არ იქნები!

ლომგულა (გეგმის თანახმად) ჯერ არ გამოეხმაურა.

– თუ ახალგაზრდა კაცი ხარ, ძმად მი-



გიღებ, თუ ხანდაზმული – მამად, თუ ქალი ხარ, დად გაგიხდები! – ყვიროდა ქალიშ-ვილი, – ტანსაცმელი მომეცი!

ქალმა რამდენჯერმე გაიმეორა თხოვნა. ვაჟი კვლავ არ გაეპასუხა. ბო-ლოს სასურველი წინადადება გაიგონა:

– კარგი, ოღონდ გამოჩნდი და შენ – ქმარი, მე – ცოლი!

აიღო ლომგულამ სპილოსძვლისფერ კანია-ნი გოგონას ტანსაცმელი, ელისაბედისა და საბას გამოწვდილ ხელისგულებს ხელი დაჰკრა და გამოქვ-აბულიდან გავიდა. საბანაო კოსტუმში გამოწყობილ მშვენიერ ქმნილებას მისი დანახვისთანავე გაუქრა სახიდან სიბრაზე და მოწონების ღიმილი გადაეფინა...

ყმაწვილი კაცი მოწიწებით მიესალმა, ლოდინისათვის ბოდიში მოუხადა და უთხრა:

– ბედისწერამ ჩვენი ერთად ყოფნა ინება. სერიოზული განსაცდელი მელოდება და მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი ხსნა.

გოგონამ ხელი გაუწოდა:

– ზღვისია მქვია. ტყუილს ვერ ვიტან, რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ, რასაც ვიტყვი – ვასრულებ! მომეწონე! თუნდ არ მომწონებოდი, ჩემს პირობას მაინც ავასრულებდი! ვიმეორებ: შენ – ქმარი და მე – ცოლი!

– როგორც კი დაგინახე, გულში ჩამივარდი! თუმცა ამ მიზნით არ მოვსულვარ, მაგრამ ასეთი ყოფილა ჩვენი ბე-

დისწერა! არაჩვეულებრივი ბედისწერა! – კიდევ ერთხელ სცა თაყვანი აღფრთოვანებულმა ვაჟმა.

– წამოდი ჩემს სახლში, – შესთავაზა ზღვისიამ, – იქ მიამბე, რა გაგჭირვებია და როგორც შემიძლია, დაგეხმარები.

– ვიდრე წავიდოდეთ, ნება მომეცი, გაგაცნო ჩემი საუკეთესო პატარა მეგობრები, რომელთა წყალობით ვარ აქ!

ბავშვები საჩინონი გახდნენ. ახლობელივით ჩაეხუტნენ ახალგაზრდა ქალს. მერე ერთად გაფრინდნენ.

წალკოტივით ბაღში ბროლის სასახლე გამოჩნდა. უამრავი ყვავილი დამათრობელ სურნელებას აფრქვევდა, ხეებზე, ბუჩქებზე, ყვავილებზე ჩიტები დახტოდნენ და ჟივჟივებდნენ, ვრცელ აუზში ყელმოღერებული თეთრი გედები ამაყად დაცურავდნენ-თითქოს ფრინველთა სამყაროს ნიშნს უგებდნენ; ფარშევანგები ულამაზესი ფერებით მოხატულ კუდებს შლიდნენ – გამვლელებს ეპრანჭებოდნენ, ციცრები დაკუსკუსებდნენ.

ზღვისიამ სტუმრები შინ შეიპატიჟა. მოწესრიგების შემდეგ სუფრასთან მიიწვია. ზღვის მრავალგვარი პროდუქტით დახუნძლულ თეფშებს შორის ხილით სავსე ლანგრები და ყვავილიანი ლარნაკები იდგა. მასპინძელი ხან ერთ კერძს სთავაზობდა ყმაწვილებს, ხან-მეორეს. ისეთი თბილი ატმოსფერო სუფევდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები, უფრო ზუსტად, ახლობლები იყვნენ.

– ჩემთან რა მოგიყვანათ?! – იკითხა ზღვისიამ.

ლომგულამ და ბავშვებმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბეს. ქალიშვილი ძალიან შეწუხდა,

მამამისი რომ აღმოჩნდა მთავარი დამნაშავე... ბოდიში მოუხადა და განაგრძო:

– დედა ადრე გარდამეცვალა... მამაჩემი, მიუხედავად ასეთი გარეგნობისა, ძალიან, დიახ, ძალიან კეთილი იყო...ახლა მეორე ცოლი ჰყავს, საშინლად ბოროტი ქალი! უფრო მეტიც, კაციჭამია! მან შეცვალა მამაჩემი, გააავა! ურჩხულად აქცია! შენც, ალბათ, ჩვენი დედინაცვლის სალუკმოდ უნდიხარ (კიდევ კარგი, ამ ბავშვებს არ იცნობს!)! მე და ჩემი დები ცალკე ვცხოვრობთ. იმასთან რა გაგვაძლებინებს! ცუდ დღეში ჩავარდნილხარ!... უცბად კი არ შეგჭამს, ოთხ ურთულეს დავალებას მოგცემენ, შენი წვალებით რომ გაიხარონ... – სათქმელი დაასრულა და ატირდა...ბიჭმა დაამშვიდა:

– არაფრის მეშინია, ისეთი მეგობრები მყავს! ყველა დაჩაგრულის თანადგომაა მათი საზრუნავი. მიზნის მიღწევაში ბებოს ნაჩუქარი ბეჭედი ეხმარებათ. მოდი, დროს ნუ დავკარგავთ. სანამ მამაშენთან გამოვცხადდები, გეგმა შევიმუშაოთ. ყველა დაეთანხმა. ბეჭედს მიმართეს. მდგომარეობა გააცნეს...

ის ღამე ზღვისიას სასახლეში გაათენეს. ბავშვები მასპინძელთან დარჩნენ. დილით ლომგულა ქაჯავჯასთან გაემართა ხმელეთის სასახლეში (ზღვის ფსკერზე ჰქონდა!). მივიდა, მიესალმა და უთხრა:

– მე ზაზვარდეთის სოვდაგრის შვილი გახლავარ. პირობის თანახმად მოვედი. რას მოითხოვთ ჩემგან?!

ზღვის უფსკრულთა ხელმწიფემ ყმაწვილ კაცს ახედ-დახედა, ხელები მოიფშვნიტა და ცოლს გასძახა:

– მოდი, საყვარელო, ნახე, როგორი სტუმარი გვეწვია!

„საყვარელი ცოლი“, რომელსაც მაჯლაჯაჯა ერქვა, ნიანგის ფეხებზე იდგა, ტანი ადამიანის ჰქონდა, მკლავები – მსხვილი გველთევზებისა, თითებზე არწივის კლანჭებისებური ფრჩხილები წაზრდოდა, სახე ზღვის ღორს მიუგავდა, კისერს 360 გრადუსით ატრიალებდა, თავზე შხამიანი მედუზების ქუდი ეხურა. იდგა და ზვიგენის კბილებს აღრჭიალებდა. ლომგულასაკენ გაიწია, მაგრამ ქაჯაჯამ შეაჩერა, ჩასჩურჩულა:

– ძვირფასო, კატა თაგვს რომ დაიჭერს, კი არ სანსლავს, მასთან თამაშით ტკბება. -მერე ლომგულას მიუბრუნდა:

– გახედე მინდორს, დილამდე ისეთი გალავანი უნდა შემოარტყა, რომლის სიმაღლე 3 მეტრი იქნება, სისქეც – 3. თუ ვერ შეასრულებ, იცოდე, ცეცხლზე შეგწვავ და შეგახრამუნებთ მე და ჩემი მაჯლაჯაჯა! – თქვა და საძაგელი სიცილით მუცელზე მოისვა ხელი.

სოვდაგრის ვაჟი ცოლთან დაბრუნდა, ელისაბედი და საბაც მოუთმენლად ელოდებოდნენ. ბეჭედთან მოკალათდნენ. ლომგულამ დავალების შინაარსი გააცნო...

ბეჭედი მცირე ხნით დუმდა, მერე მზე-

სავით განათდა და ერთ წამში ყველას თვალწინ გაჩნდა ასი კალატოზი. ასივე, რომ დაღამდა, ბეჭედთან ერთად მინდორში გავიდა სამუშაოდ. გამთენიისას კი გაქრნენ. დილით, კაცი-ურჩხული რომ მივიდა, ლომგულა გალავანთან იდგა, ქაფჩით ხელში და კედელს ასწორებდა...

გაკვირვებულმა და გაავებულმა ქაჯთა ხელმწიფემ – მომავალ დავალებას დაელოდეო, – მიაჯღავლა, შინ მივარდა და ცოლს მიახალა: – არ გაამართლა შენმა წინადადებამ, შეასრულა!

– დაგიდგეს თვალი! – დასჭყივლა მაჯლაჯაჯამ. – ვიღაც დაეხმარა! ამას ადამიანი ვერ შეძლებდა!

სოვდაგრის შვილი ისევ ეახლა ახალი დავალების მისაღებად. ქაჯთა ხელმწიფემ, ცეცხლივით აპილ-პილებულმა, მიაყარა:

– ამ გალავანში დილამდე ისეთი ბაღი უნდა გააშენო, რომ რიგი ყვაოდეს, რიგი მწიფდეს, რიგი იკრიფებოდეს. შეასრულებ, ხომ კარგი, არადა, შამფურზე წამოგაგებთ და შეგბრაწავთ!

დაღონებული ბიჭი ცოლის სასახლეში დაბრუნდა. მეგობრები სათათბიროდ შეიკრიბნენ და ბეჭედს დავალება გადასცეს. ბეჭედი კარგა ხანს ჩუმად იყო, მერე მზერის მომაჯადოებლად აკაშკაშდა... თვალის დახამხამებაში გაჩნდა მათ წინ 200 მებაღე. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა და და-ძმამ დაიძინეს. მებაღეები სიბნელეში ნიავივით ჩაიპარნენ და ბეჭედთან ერთად ბაღის გაშენებას შუდგნენ.

ინათა თუ არა, მებაღეები გაქრნენ...

ქაჯაჯა რომ მოვარდა, წინსაფარაფარებული ლომგუ-

ლა მსხმოიარე ხის ძირში იდგა და ფორთოხალს კრეფ-და. კაც-ურჩხული გაშტერდა: ლარივით გაჭიმულ ერთ მწკრივში ალუბალი ყვაოდა, მეორეში – მწიფდა, მესამესა და მეოთხეში – ვაშლი, მეხუთესა და მეექვსეში – ბა-ნანი, დანარჩენში – მსხალი, კივი, ბროწეული, მანდარინი, ყურძენი, ლეღვი და სხვა... მოკლედ – ყველანაირი ხილი!

ქაჯთა ხელმწიფე საზიზღარი ღრიალით გავარდა. სული ძლივს მოითქვა:

– მართლა გაუკეთებია!

ცოლმა იკივლა, იწივლა, ქოქოლა მიაყარა:

– სულ გამოჩერჩეტდი, ბებერო! კი არ გაუკეთებია, გაუკეთეს! შეიძლება შენი შვილიც დაეხმარა!

– გეყოფა, ალქაჯო დედაკაცო! შვილები ხომ გამი-ყარე ჩემი სახლიდან, ეს არ კმარა?! მოასვენე! ავად მაინც ნუღა ახსენებ!

სოვდაგრის ვაჟი უფრო თამამად მიუახლოვდა ქაჯა-ჯას და მესამე დავალება მოითხოვა.

სიმამრმა ხელი წაავლო, მდინარე დაანახვა:

– მასზე სპილოს ძვლის ისეთი ხიდი უნდა ააგო,ცხრა სადროშო ჯარმა თავისი ტანკებით, თოფ-ზარბაზნებით ზედ გაიაროს და არც კი შეირყეს! გააკეთებ, ხომ კარგი, არ გააკეთებ, გაგახმობთ და ისე შგჭამთ!

ბიჭს საქმე ეძნელა. ცოლსა და ბავშვებს შესჩივლა:

– სპილოს ამდენ ძვალს სად ვიშოვით?! ამ სიგრძე და ასეთ მყარ ხიდს როგორ ავაშენებთ?!

ბიძაშვილ-მამიდაშვილმა და-ამშვიდა და ბეჭდის შესაძლებლო-ბები შეახსენა. ბებოს საჩუქარს ერთად დაუგდეს ყური.

ბეჭედი ურიცხვი ვარსკვლავის გუნდივით აციმციმდა...ლანდის უსწრაფესად გაჩნდა ეზოში 300 მშენებელი.

ზღვისიამ, ლომგულამ და ბავშვებმა დაიძინეს. მშენებლები და ბეჭედი მთელი ღამე მუშაობდნენ.

სოვდაგრის ვაჟი უთენია ადგა, წინსაფარი მიიფარა, ხელში ჩაქუჩი დაიჭირა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს-ესაა, საქმე დაასრულაო!

ქაჯაჯა მივიდა და ეს რომ დაინახა, გაცოფებისაგან დაბარბაცდა, მძვინვარებისაგან აცახცახდა, ლამის თვალები შუბლზე აუცვივდა!.. ცოლთან გავარდა:

– მაჯლაჯაჯაააა! აუშენებიაააა! აუშენებიაააა! ეს ვინ არის, ლამის გვაჯობოს!

– ბრმა ხარ და სულელზე სულელი!ის ბიჭი ჯადოქარი არ არის! რაღაცის თუ ვიღაცის ჯადოქრობა დაიხმარა!- წივილ-კივილით მივარდა ქმარს და ბრჭყალებით ჩააფრინდა! ძვირფასი მეუღლეც არ ჩამორჩა ვალში და ერთმანეთს წეწვა-გლეჯვა დაუწყეს. ბოლოს არაქათგამოცლილები ძირს დაეყარნენ.

– ურთულესი დავალება უნდა მივცე! – წამოხტა ქაჯაჯა.

– მე მივცემ! – წამოხტა მაჯლაჯაჯაც.

– ოჯახის უფროსი მე ვარ! ჩემი სიტყვა კანონია! -შეუტია ქაჯთა ხელმწიფემ, ხელი ჰკრა და ზღვის სიღრმეში გადაუძახა. სანამ ის ზედაპირზე ამოვიდოდა, ლომგულასთან შესახვედრად ქარიშხალივით გავარდა...სოვდაგრის ვაჟი გზაში შეხვდა.

– რას მიბრძანებთ?! – ჰკითხა ბიჭმა.

წყლის ხელმწიფეს ორი რაში ჰყავდა: ნიავქარივით მქროლავი „თვალთუალა“ და გულთმისანი „თვალჩიტა“.

თვალთუალა სახლში ება-სატარებლად იყენებდა, ხოლო თვალჩიტა ჯოგში იყო, პატრონს არ ემორჩილებოდა; ვერავინ მოახერხა მისი გახედნა. სწორედ ამ უკანასკნელის დაჭერა მოსთხოვა ვაჟს.

– თუ ვერ დაიჭერ, ცოცხლად გადაგყლაპავთ! – ღრიალებდა გიჟივით.

სოვდაგრის შვილს გაუხარდა, ცხენს როგორ ვერ დავიჭერო! ცოლს რომ შეატყობინა, მისი განმარტების შემდეგ მიხვდა, ყველაზე რთული საქმე რომ დაევალა. ის ჩვეულებრივი კი არა, ადამიანთა აზრის მკითხველი, გულთმისანი და დაუმორჩილებელი ცხენი ყოფილა!

ყველაფერი უამბეს ბეჭედს და დაიძინეს...

ბეჭედი მთელი ღამე კოცონივით გიზგიზებდა...



მზე ამოიწვერა. გაეღვიძათ. მოწესრიგდნენ. ისაუზმეს. ლომგულა აივანზე გავიდა და აღტაცებისაგან შეჰყვირა. სხვებიც მიცვივდნენ: კიბესთან საუკეთესოდ შეკაზმული არაჩვეულებრივი რაში ება, იქვე იდო ძვირფასი თვლებით მოჭედილი ლაგამი და უნაგარი, თვალჩიტასათვის! ბეჭედთან მივარდნენ და რჩევა მოისმინეს.

ლომგულამ მეუღლე და ბავშვები რაშზე შემოისვა და ქაჯაჯას რემასაკენ გაეშურა. ნახევარი საათის ჭენების შემდეგ ვრცელ მინდორში გავიდნენ. შორს რემა გამოჩნდა, რომელსაც თვალჩიტა მიუძღოდა. ქარივით მიჰქროდნენ ცხენები. წინმავალი ფრთოსანი რაში მაღალ, ღონიერ ფეხებზე იდგა, ულამაზესი მოყვანილობის სხეულის ყოველი კუნთი უთრთოდა, თავი მაღლა აეწია, ნიავი გრძელ ფაფარს უფრიალებდა, დაბერილი ნესტოებიდან ოხშივარი ამოსდიოდა. რომ შენიშნავდა, სხვა ცხენებს გავუსწარიო, მობრუნდებოდა, რემას უკან მოექცეოდა, მერე კვლავ წინ გაიჭრებოდა და ისევ დაბრუნდებოდა. სხვები რომ დასასვენებლად შეჩერდებოდნენ, ის ირგვლივ უვლიდა.

ელისაბედმა ლომგულას ბეჭედი შეახო და ძალა შემატა.

ბიჭმა უფალს შემწეობა სთხოვა, პირჯვარი გადაისახა

და ცხენისაკენ მარტო გაემართა.

თვალჩიტა, როგორც მოგახსენეთ, გულთმისანი გახლდათ. მაშინვე მიხვდა, ძლიერი, კეთილი ძალა რომ ეხმარებოდა მისკენ მიმავალს, რომ ქაჯაჯას ვაჟის დალუპვა სურდა, რომ ეს ახალგაზრდა უკეთილშობილესი ადამიანი, მშობლებზე დადარდიანებული, მეგობრების დამფასებელი და ცოლზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი იყო; მიხვდა და გაუჩერდა:

– ვიცი, ვინცა ხარ! შემასხედით ზურგზე, ბავშვებიც დაეტევიან. ნუ გიკვირს, მე ხომ გულთმისანი ვარ, – თქვა და, ადამიანივით, გულკეთილად ჩაიცინა.

ზღვისიას, ლომგულასა და ბავშვებსაც გაეცინათ, მათ შორის დაფარული აღარაფერი იყო! უნაგირი დაადგეს, ლაგამი ამოსდეს და შესხდნენ. ცხენი, რომელმაც იქამდე მიიყვანა, მიჰყვა.

თვალჩიტამ ახალი მეგობრები ზღვის გაღმა ქვეყნისაკენ გააქანა.

ლომგულა რომ აღარ გამოჩნდა, ქაჯაჯამ ცოლს მიახარა, – ალბათ თვალჩიტამ გათელაო!

– რა იცი, იქნებ დაეხმარა! თვალჩიტა ხომ შენ ვერ გიტანს! დაეწიე თვალთულათი და შეამოწმე!

ქაჯთა ხელმწიფე გაცოფდა. ცხენზე შეჯდა და დაედევნა.

თვალჩიტა კვლავ ყველაფერს მიხვდა. ლომგულას შესთავაზა, უკან მიეხედა, ხომ არაფერი ჩანსო. შორს ბუზის ტოლა საგანი ჩანდა.

– ეს ქაჯაჯაა, თვალთულაზე ზის, იგი ჩემზე სწრაფია, მალე დაგვეწევა, რაღაც უნდა მოვიფიქროთ, – დაავალა თვალჩიტამ.

ბებოს ბეჭედმა უმალ გააჩინა ვენახი, რაშს მუშა ცხენის აგებულება მისცა და ფურგონში შეუბა, გლეხის ქალებად სახენაცვალი ზღვისია და ელისაბედი ყურძნის მკრეფავებად გარდაქმნა, გლეხის ბიჭად ქცეულ საბას ვედრო დააჭერინა ხელში, ხოლო ლომგულას გოდორი წამოჰკიდა ზურგზე.

ქაჯაჯა მივარდა და „გლეხკაცს“ შეუყვირა:

– ცხენიან ახალგაზრდა კაცსა და ქალს ხომ არ ჩაუვლიათ?!

არაო, უპასუხა ლომგულამ. სიმწრისაგან აყმუვლებული კაცი-ურჩხული შინ გაბრუნდა. ცოლთან შევარდა ღრიალით -შემაცდინე, იმ გზით არ წასულანო.

– გზაზე არავინ შეგხვედრია?! – არანაკლებ იღრიალა მაჯლაჯაჯამ.

– ვენახის მკრეფავები.

– ისინი იქნებოდნენ! დაგიდგეს თვალები, რატომ არ მოკალი?!

ზღვის უფსკრულთა ხელმწიფე ისევ მოახტა თვალთულას და გაქცეულებს დაედევნა.

თვალჩიტამ იგრძნო თუ არა მდევრის მოახლოება, თავს უნდა ვუშველოთო, მიმართა თავისიანებს.

ბეჭედმა საყდარი გააჩინა, ლომგულა მღვდლად აქცია, ზღვისია, ბავშვები და რაში – მლოცველებად. დგას მღვდელი და „მამაო ჩვენოს“ კითხულობს... მივარდა ქაჯაჯა და ჰკითხა:

– ცხენიან ქალსა და ვაჟს ხომ არ ჩაუვლიათ?!

არაო, უპასუხა „მღვდელმა“.

გაბრუნდა თუ არა ზღვის ქაჯთა ხელმწიფე, ყველა ჩვენიანს საკუთარი სახე დაუბრუნდა. მაშინვე გააგრძელეს გზა.

შინ მისულმა ქაჯაჯამ ცოლს შეუტია:

– მერამდენედ დავრჩი მოტყუებული შენი ახირებული შეხედულებების გამო! აღარ დაგიჯერებ!

– რომ არ მიჯერებ, იმიტომ ხარ ამ დღეში! – დასჭყივლა გაპილპილებულმა ცოლმა, – სამივე გინახავს და ცოცხალი დატოვე! ხომ გითხარი, რომ ვიღაც ეხმარებათ – მეთქი. ამჯერად აღარ დაგიჯერებ და მე დავედევნები, მე! მე! არ გაბედო მოშლა!

ქმარს ხელი ჰკრა, თვალთულას შეახტა და გააჭენა! მაჯლაჯაჯა მიჰქროდა და კიოდა:

– ეშმაკად რომ იქცეთ, მაინც გიპოვით!

მიფრინავს თვალჩიტა, იცის, ვერ გაასწრებს... ზღვის გალმამდე კიდევ რამდენიმე კილომეტრი დარჩათ... მიხვდა, მაჯლაჯაჯა უახლოვდებოდათ. შეატყობინა ბეჭედს. ამ უკანასკნელმა რაში ვრცელ ტბად აქცია, სოვდაგრის ვაჟი და ზღვისია – გედებად, ბავშვები უჩინრად დარჩნენ, მზად იყვნენ, თუ საჭირო იქნებოდა, ბეჭედი გამოეყენებინათ.

მოვარდა ქაჯთა ხელმწიფის ცოლი და ტბას სვლეპა დაუწყო... ხვრიპა და სვლიპა, ხვრიპა და სვლიპა... ბოლოს ქაჯაჯას ძვირფასი მეუღლე გასკდა! ნაფლეთებად იქცა!..ბეჭედმა ყველას საკუთარი სახე დაუბრუნა. მაჯლაჯაჯას ნარჩენები სასწრაფოდ დაწვეს, რომ აღარ გაცოცხლებულიყო.

ყველამ შვებით ამოისუნთქა. სიკეთემ საბოლოოდ გაიმარჯვა! საზეიმო ყიჟინა დასცეს! თვალთულაც მათ შეუერთდა. როცა დამშვიდნენ, გადაწყვიტეს, ზღვისიას მამასთან დაბრუნებულიყვნენ და კეთილად გარდაქმნაში დახმარებოდნენ. ის ხომ ნამდვილ ურჩხულად მაჯლაჯაჯამ აქცია!

ზღვისიამ დებს გაუარა და ერთად ეწვივნენ მამას.

ქაჯაჯა აღარ ჰგავდა საშინელ ურჩხულს, რადგან მაჯლაჯვაჯას ჯადოსაგან გათავისუფლებულიყო. არა, ნაკვთები არ შეცვლოდა, მაგრამ ისე საშინლად აღარ გამოიყურებოდა, პირიქით, შეგებრალებოდა! ქალიშვილები რომ დაინახა, წამოხტა და აცრემლებული გადაეხვია (ეს კარგი ნიშანი იყო, რადგან ტირილის, სიბრალულის, სიყვარულის უნარი დაკარგული ჰქონდა). ლომგულაც გულთბილად მიიღო. უფროსი და საშუალი ქალიშვილი მამასთან დარჩნენ. ზღვისია კი ლომგულას მშობლების გასაცნობად წაჰყვა.

თვალჩიტამ და თვალთულამ უსწრაფესად მიიყვანეს ახალგაზრდები ზაზვარდეთში. ამარტასა და უძიას სიხარულს ენა ვერ აღწერს! მამა კინაღამ გაგიჟდა... დედას გული წაუვიდა!.. ძლივს მოვიდა გონს შვილის მკლავებში. მთელმა სახლმა მოიყარა თავი. აღტაცებისაგან ზოგი იცინოდა, ზოგი ხტოდა, ზოგი მღეროდა – მოკლედ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ!

ზღვისიას ხელები მოეხვია ელისაბედისა და საბასათვის, იდგნენ და ცრემლმორეულნი შეჰყურებდნენ ამ სანახაობას. როგორც იქნა, მათი წარდგენის საშუალება მიეცა ლომგულას. სოვდაგარმა და მისმა მეუღლემ, მთელმა სახლეულობამ, ზღვისია და ბავშვები გულში ჩაიკრეს. მერე სახლ-კარი დაათვალიერებინეს.

სასახლე სამი შეერთებული ნაგებობისაგან შედგებოდა: შუაში ოთხსართულიანი 25 მეტრის სიგანის თეთრი მარმარილოს შენობა იდგა. გვერდზე ებმოდა წითელი მარმარილოსაგან აგებული ხუთ-ხუთსართულიანი 10-10 მეტრის სიგანის შენობები. ძირითადი ნაწილი ოჯახისთ-

ვის იყო განკუთვნილი, ხოლო გვერდითი შენობები – მსახურებისა და სტუმართათვის. ეზოში ათასფერი ყვავილებით მოხატული ბაღი ყვაოდა. ყვავილნარს წითლად და თეთრად მოკენჭილი ბილიკები ნაკვეთებად ჰყოფდა. ცენტრში შადრევანი და ლურჯი აუზი იზიდავდა მნახველს. ეზოს ერთ კუთხეში ეგზოტიკური ფრინველებისა და ცხოველების ზოოპარკი მოეწყოთ.

ზღვისია ქრისტიანად მონათლეს და არნახული ქორწილი გადაიხადეს. ელისაბედი და საბა საპატიო ადგილას დასვეს. ყველა უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა. სოვდაგარი და მისი ცოლი ეხვეოდნენ, განსაკუთრებული სითბოთი ეფერებოდათ სოვდაგრის დედა. ბავშვები ამ უკანასკნელს აღარ შორდებოდნენ, რადგან საკუთარ ბებიას ამსგავსებდნენ!...ხან კალთაში უსხდებოდნენ, ხან თმაზე ეალერსებოდნენ. გული უსაზღვრო სიყვარულითა და სათნოებით ჰქონდათ სავსე! მიხვდნენ, როგორ მონატრებოდათ ბებიკო!...მიხვდნენ, რომ მოგზაურობის შეწყვეტის დრო დამდგარიყო. წასვლის სურვილი რომ გა-

მოთქვეს, მასპინძლები შეეხვეწნენ- ცოტა ხნით კიდევ დარჩითო...ელისაბედი და საბა ერთი კვირით კიდევ დარჩნენ. მერე გუითბილად დაემშვიდობნენ ზაზვარდეთელებს. ზურგჩანთები მოიგდეს და გზას დაადგნენ.

ბეჭედმა ერთ საათში დარბაისკარის ტყეში დასვა ბავშვები. მუხისა და კაკლის უზარმაზარი ხეები დინჯად და მძლავრად შრიალებდნენ. ფოთლებს შორის მზის ცელქი სხივები ციმციმებდნენ; წითელ-ლურჯ-ყვითელ ბუმბულიანი ჩიტები ჭიკჭიკით მიაცილებდნენ, ხანდახან ტყიდან კურდღელი გამოხტებოდა, დაცუცქდებოდა, ყურებს უკან გადაილაგებდა, თათს დაუქნევდა და ისევ ტყეში გაუჩინარდებოდა.

გზა არსად არ უხვევდა, ფართოდ გაწოლილიყო და მთაზე ადიოდა.

ელისაბედი და საბა მთის წვერზე რომ მოექცნენ, მზე აღმოსავლეთის კარს აღებდა...

ბავშვებს სხივების სიკაშკაშემ მზერა მოსჭრა, თვალი დახუჭეს და მთელი სხეული ნათელი ძალით აევსოთ... მერე თვალი გაახილეს თუ არა, დაინახეს საყვარელი ბებიკო, რომელმაც მათი საძინებლის კარი შეაღო!

ორივე წამოხტა ლოგინიდან და ბებიის ტკბილ მკლავებში ჩაიმალა!...

– გაიღვიძეთ, ჩემო გვრიტებო?! თქვენ შემოგევ-ლოთ ჩემი სიცოცხლე! – ორივეს ეალერსებოდა ბებია, – ისაუზმეთ, ხაჭაპური გამოგიცხვეთ, სკოლაში წასვლის დროა...ხომ არ დაგავიწყდათ, საკუთარი ზღაპარი უნდა წეროთ ქართულის გაკვეთილზე. მოიფიქრეთ რამე?

– აბა, რა! – ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა, – აბა, რა!

მერე ბებოს მარცხენა იღლიაში შეყუჟულმა საბამ და ბებოს მკერდის მარჯვენა მხარეს განაბულმა ელისაბედმა ერთმანეთს მომუჭული თითები შეაჯახეს, შემდეგ გაშლილი ხელის გულები შეაგებეს და კიდევ უფრო ჩაეკონენ დიდედას.

სარჩევი

რკალებში ხალხური ზღაპრის დასახელებაა მოთავსებული

შინ	4
საზღაპრეთისაკენ	5
დარბაისკარი (ბაქია კურდღელი)	7
წყალთელა (ალქაჯის მოშორება)	13
ნიგვზანი (ალქაჯის მოშორება)	17
ჯუმაეთი (სიმართლის სიყვარული)	20
კოინდარეთი (სიმართლის სიყვარული)	25
ცაცხვისანი (სამი გამოცანა)	28
ვარდიფენი (სამი გამოცანა)	30
ხატულეთი (ხუთკუნჭულა)	35
სუფა (ხუთკუნჭულა)	40
იაეთი (ქალქვა)	46
გურიე (ქალქვა)	51
სამზეო (ქალქვა)	55
პონტო (მინდვრის ქალი)	59
ლაზიეთი (მინდვრის ქალი)	61
ჩირგუეთი (ქვრივის შვილი)	68
ზაზვარდეთი (სოვდაგრის ვაჟი)	91